

ენიო გვენეტაძე
მერაბ ტურავა

სისხლის სამართლის საქმეებზე

**გადაწყვეტილებათა
მიღების მეთოდობა**

საქართველოს მონაგართლეთა ასოციაცია

თბილისი 2005

რედაქტორი
ნინო ძიძიგური

ნიგნზე მუშაობდნენ:
ირმა ბეჟაური
ლელია კოშკაძე
ნინო კინდურაშვილი

დიზაინი
ბესიკ დანელია

© 2005, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაცია



ნიგნი მომზადებულია
ეუთო-ს შინაინსური მხარდაჭერით

შესავალი	7
თავი I	
სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში	12
1. რა მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრებას სამოსამართლეო საქმიანობაში	12
2. სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და იურიდიული არგუმენტაციის საფუძვლები	13
3. მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ	23
4. კანონის ახსნა-განმარტების მეთოდები	24
5. განსჯადობის საკითხის გადანყვეტა	57
6. სამართალში მიცემა	59
7. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე	78
8. სასამართლო განხილვის პრინციპები	80
9. საქმის განხილვის ეტაპები	95
10. განაჩენის დადგენა	97
11. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება	106
12. შემთხვევის დამუშავების მეთოდთა	108

თავი II

**სისხლის სამართლის საქმეებზე
მიღებული სასამართლო განაჩენი
(განაჩენის ჩამოყალიბება)**

110

თავი III

საპროცესო შეთანხმება

135

I. ზოგადი დებულებანი

135

II. საპროცესო შეთანხმების
ქართული მოდელი

140

III. საპროცესო შეთანხმების ახალი მოდელი

142

IV. საპროცესო შეთანხმების საფუძვლები

144

V. საქმის არსებითი განხილვის გარეშე
განაჩენის გამოსატანად პროკურორის
მიერ შუამდგომლობის შედგენა

147

VI. საქმის არსებითი განხილვის გარეშე
განაჩენის დამდგენი სასამართლოები
და განსჯადი სასამართლოს მიერ საქმის
არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის
გამოტანის თაობაზე პროკურორის
შუამდგომლობის განხილვა

151

VII. საქმის არსებითი განხილვის გარეშე
სასამართლო განაჩენი

159

VIII. საქმის დაბრუნება პროკურატურისათვის
საბრალდებო დასკვნის შედგენის
საკითხის გადასაწყვეტად

172

IX. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად
გათავისუფლება

179

განჩინება

184

საქართველოში ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად, რომლის პირველი ეტაპი 1999 წლის 15 მაისისათვის განხორციელდა, არსებითად შეიცვალა სასამართლო სისტემა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოში შეიქმნა საერთო სასამართლოების ერთიანი სისტემა. სასამართლო სისტემამ 2005 წლის 23 ივნისის კანონით არსებითი ცვლილებები განიცადა. დღეისათვის საქართველოს სასამართლო სისტემა შედგება: რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, სააპელაციო სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოსაგან. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მაგისტრატი მოსამართლეები.

სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი სასამართლოების სისტემა და ინსტანციურობა თითქმის ყველა სისხლის სამარ-

თლის საქმეზე საქართველოში ასეთია: პირველი ინსტანციის სასამართლოები და სააპელაციო სასამართლოები. ამასთან, ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციით ხდება მხოლოდ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში. მხარის (მხარეთა) სააპელაციო საჩივრის საფუძველზე თითქმის ყველა სისხლის სამართლის საქმე ექვემდებარება ასევე ხელახალ არსებით სავალდებულო განხილვას სააპელაციო სასამართლოში.¹ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს საკასაციო საჩივრისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. 2005 წლის 23 ივნისის კანონით არსებითად შეიცვალა საკასაციო სასამართლოს ბუნება: განისაზღვრა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები (სსსკ-ის 547-ე მუხლის მე-2 ნაწილი); შემოღებულ იქნა საკასაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ინსტიტუტი (სსსკ-ის 552-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებს. ჯერ კიდევ 2005 წლის 25 მარტის საქართველოს კანონით, რომელიც ძალაში შევიდა ამავე წლის 3 მაისიდან, საპროცესო კოდექსმა განიცადა არსებითი ხასიათის ცვლილება-დამატებები. ამ კანონის მიხედვით, საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებს პირველი ინსტანციით განიხილავდნენ: რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, ასევე ავტონომიური რესპუბლიკებისა და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები. ამ კანონის ამოქმედებამდე, პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენდა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც განიხილავდა მის განსჯად სისხლის სამართლის საქმეებს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. 2005 წლის 25 მარტის კანონის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო

სააპელაციო გასაჩივრებას არ ექვემდებარება განაჩენი და სხვა გადაწყვეტილება მხოლოდ ისეთ დანაშაულზე, რომლის ჩადენისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმა სასჯელად არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსჯავრდებული ითხოვს გამართლებას.

კოლეგიის უფლებამოსილება გადაეცა ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი და საოლქო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიებს. უზენაესი სასამართლო იქცა საკასაციო სასამართლოდ, რომელსაც ჩამოსცილდა პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის უფლებამოსილება. შესაბამისად, ისტორიას ჩაბარდა მსაჯულთა მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა. ხალხის მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში საქართველოში დღეს არსებული სასამართლო სისტემისათვის არ არის დამახასიათებელი. 2005 წლის 25 მარტის კანონით, ძალადაკარგულად ჩაითვალა „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ“ კანონი.²

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონით პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის საქმეებს განიხილავს ერთპიროვნულად, ხოლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებს – კოლეგიურად, სამი მოსამართლის მონაწილეობით.³ ასევე სააპელაციო და საკასაციო პალატები განიხილვენ სისხლის სამართლის საქმეებს ყოველთვის კოლეგიურად, სამი მოსამართლის მონაწილეობით.

² საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობის ფორმად მიიჩნევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას. კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიც მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით, მაგრამ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში დღეისათვის საკანონმდებლო წესით არ არის რეალიზებული. იუსტიციის სამინისტროს მიერ ჯერ კიდევ 2004 წლის დასაწყისში შეიქმნა კანონპროექტის სამუშაო ვარიანტი, რომელიც ანგლო-ამერიკული სისტემის მიხედვით აწესებს 12 ნაფიც მსაჯულის მონაწილეობას საქმის განხილვაში. ნაფიც მსაჯულთა უიური გამოიტანს ვერდიქტს პირის ბრალეულობის შესახებ, ხოლო მოსამართლე, უიურის რეკომენდაციით, გადაწყვეტს სასჯელის ღონისძიების შესახებ.

³ 2005 წლის 23 ივნისის კანონით, რაიონული (საქალაქო) სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე კოლეგიურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით, განიხილავს 2006 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა ასევე კოლეგიურად, მაგრამ 9 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს საკასაციო და კერძო საკასაციო საჩივრებს და ლებულობს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოების მიერ დადგენილ განაჩინებასა და განჩინებებზე.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თავისი ბუნებითა და საქმეთა განხილვის წესით არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო. იგი არ წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის ზედა ინსტანციას, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ პალატის განჩინებათა სამართლებრივი რევიზია. ზოგჯერ მხარეებს საჩივარი არასწორად შემოაქვთ სწორედ ამ მიმართებით, კერძოდ, საკასაციო პალატის განჩინების გასაჩივრებას ცდილობენ დიდ პალატაში, რაც სამართლებრივად არასწორია.

დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა ხდება არა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, არამედ თვით საკასაციო პალატის საქმის განმხილველი სამკაცციანი შემადგენლობის ინიციატივით. კანონი, მართალია, კონკრეტულად არ განსაზღვრავს, მაგრამ ეს საკითხიც უნდა გადაწყდეს ხმათა უმრავლესობით, მაგრამ ზეპირი მოსმენის გარეშე და არ არის სავალდებულო, რომ გადაწყვეტილება ერთხმად იქნეს მიღებული.

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს: „უზენაესი სასამართლოს პალატის საქმის განმხილველ შემადგენლობას მოტივირებული განჩინებით შეუძლია საქმე განსახილველად გადასცეს დიდ პალატას, თუ:

- ა) საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის;
- ბ) საქმის სირთულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს ნორმის ახლებურ განმარტებას;
- გ) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას.“

პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლეს როგორც ერთპიროვნულად, ასევე კოლეგიალურად, ისევე როგორც სააპელაციო

სასამართლოს, რომელიც ყოველთვის კოლეგიურად განიხილავს საქმეებს, გამოაქვს განაჩენი, რომელიც შეიძლება იყოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი, ხოლო სხვა საკითხებზე, მაგალითად, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების დროს, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ერთპიროვნულად გამოაქვს დადგენილება, ხოლო იმავე საკითხებზე პირველი ინსტანციის სასამართლოს კოლეგიურ შემადგენლობას და სააპელაციო პალატას – განჩინება. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატისა და დიდი პალატის მიერ გამოტანილი სამართლებრივი აქტი ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლება იყოს მხოლოდ განჩინება.

ქვემოთ განხილული იქნება საკითხები, რომლებიც შეეხება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას სასამართლოში და გადაწყვეტილებების მიღებას.

**სისხლის სამართლის საქმეთა
განხილვა პირველი ინსტანციის
სასამართლოში**

**1. რა მნიშვნელობა აქვს
იურიდიული მეთოდების შესახებ
მოძღვრებას მოსამართლეო
საქმიანობაში?**

მოძღვრებას იურიდიული მეთოდების შესახებ სხვადასხვა ასპექტი აქვს. პირველ რიგში, იგი წარმოადგენს სწავლებას იმ წესების შესახებ, რომელსაც კარგად უნდა იცნობდეს ინტერპრეტატორი, უპირველეს ყოვლისა, მოსამართლე, როცა იგი არკვევს სამართლის ნორმის არსს. „სამართლის გამოყენების მეთოდების“ წესების ადრესატი, უპირველეს ყოვლისა, არის მოსამართლე. ბუნებრივია, ასევე სხვა იურიდიული პროფესიის ადამიანები, რომელთაც საქმე აქვთ ნორმის გამოყენებასთან. არ არსებობს არავითარი არსებითი განსხვავება „ინტერპრეტაციის პრაქტიკულ მეთოდსა“ და თეორი-

ული დოგმატიკოსის ინტერპრეტაციის მეთოდს შორის. არ არსებობს ცალკე ინტერპრეტაციის მეთოდი დოქტრინისა და ცალკე პრაქტიკისათვის, განსხვავებულია მხოლოდ მუშაობის მიზნები და ამოცანები. ეს მოძღვრება ზოგადად იწოდება, როგორც „სამართლის გამოყენების მეთოდი“. ინტერპრეტატორმა უნდა იცოდეს, მაგალითად, რა იგულისხმება „ადამიანის“ ცნების ქვეშ სსკ-ის 108-ე მუხლში. რა მომენტიდან წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე სისხლის სამართლის დაცვის ობიექტს: დაბადების პროცესის დაწყებიდან, დაბადების შემდეგ თუ უფრო ადრე? წარმოადგენს თუ არა ჯერ დაუბადებელი ცოცხალი არსება, ჩანასახი დედის ორგანიზმში ასევე „ადამიანს“ სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში? რა არის „ნივთი“ სსკ-ის 177-ე ან 187-ე მუხლის მიხედვით? არის თუ არა „ცხოველი“, „ფრინველი“, „ელექტროენერჯია“, „ბუნებრივი გაზი“ ნივთი? რას ნიშნავს „მეუღლე“ სისხლის სამართლის პროცესში, გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ ურთიერთობას ცოლ-ქმარს შორის, თუ აგრეთვე მოიცავს ფაქტობრივ კავშირებს პარტნიორებს შორის? ამ და სხვა კითხვებზე პასუხს სისხლის სამართლის კანონი არ იძლევა, არამედ იგი ნორმის სამოსამართლეო ინტერპრეტაციით დგინდება.

2. სამართლებრივი ინტერპრეტაციისა და იურიდიული არგუმენტაციის საფუძვლები

სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს სამართლებრივი შეფასება შეიძლება ორ სფეროში განხორციელდეს: ფაქტობრივი გარემოებების დადგენა-შეფასება და კანონის ინტერპრეტაცია. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დროს დიდ როლს ასრულებს ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილება. ჩვენი მიზანია, ქვემოთ განვიხილოთ ნორმის ახსნა-განმარტების საფუძვლები.

როგორც ცნობილია, ნორმის ახსნა-განმარტების დროს ხდება საკანონმდებლო დებულების და მისი ცალკეული ელემენტების ინტერპრეტაცია. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოსამართლეს ნორმის სწორად გამოყენება, როცა იგი კარგად ჩანვდება ნორმის შინაარსში. როცა მოსამართლემ იცის ნორმის შინაარსი, მხოლოდ ამ შემთხვევაში

შეუძლია გადაწყვიტოს, ეს ნორმა საერთოდ შეესაბამება თუ არა იმ შემთხვევას, რომელიც მას აქვს გადასაწყვეტი. ვინაიდან თითქმის ყველა საკანონმდებლო ცნება, გარდა ციფრებისა და თარიღებისა, მეტნაკლებად მრავალმნიშვნელოვანი და, შესაბამისად, შეფასებითი შეიძლება იყოს. შემფასებლისათვის ხშირად წარმოიშობა სიძნელეები, ცნების სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის აირჩიოს სწორი, ადეკვატური.

მოძღვრებამ იურიდიული მეთოდების შესახებ განავითარა ნორმის ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდები და გარკვეული არგუმენტაციის ტიპები, რომლითაც მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს კონკრეტული ნორმის გამოყენების დროს.

როგორ უნდა მოიქცეს ინტერპრეტატორი, როცა იგი ნორმის არაკონკრეტიზირებულ, განუსაზღვრელ ტექსტს შეხვდება? იგი უნდა შეეცადოს, ისტორიული კანონმდებლის ნება გაარკვიოს, თუ პირიქით, შეძლებისდაგვარად დროის შესაბამისი ინტერპრეტაცია გააკეთოს? მან ტექსტის სიტყვები ვინ როდ (რესტრიქტიულად), თუ პირიქით ფართოდ (ექსტენსიურად) უნდა ახსნას? შეუძლია თუ არა მას, რომ სხვადასხვა აზრობრივი ალტერნატივის დროს ტექსტის თავისი შეხედულებით („დეცისიონისტურად“) სწორი მნიშვნელობა აირჩიოს, რომელსაც ის პერსონალურად, სუბიექტურად მისაღებად მიიჩნევს? ასეთი დეცისიონიზმი მიუღებელია თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. ზოგადად, არის თუ არა ინტერპრეტატორი კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის საზღვრებით შეზღუდული, თუ შეუძლია (ან იქნებ ვალდებულიცაა) სამართლებრივი პრობლემის ახსნა გარკვეულ გარემოებებში „*praeter verba legis*“ (ნორმის სიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებს გარეთ) ან საერთოდ „*kontra verba legis*“ (სიტყვის მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ) ეძებოს? რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშობა სრულიად ახალი ისეთი საკითხები, რომლებიც ისტორიულ კანონმდებელს საერთოდ არ შეიძლებოდა გაეთვალისწინებინა? სად გადის სამოსამართლეო სამართალშემოქმედების საზღვრები?

ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ინტერპრეტატორს ეუბნებიან, თუ როგორ უნდა მოიქცეს ნორმის ინტერპრეტაციის დროს,

არის სამართლის მეთოდოლოგიის შინაარსი, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან: იგი წარმოადგენს სწავლებას სამართლის გამოყენების მეთოდების შესახებ (როცა არსებული ნორმის ინტერპრეტაცია ხდება) და სწავლებას სამოსამართლო სამართლის შესახებ (როცა მოსამართლის მიერ ხდება ახალი ნორმის შექმნა). მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ არ გვაძლევს არავითარ პირდაპირ ინფორმაციას ნორმის შინაარსის შესახებ, არამედ მეთოდების შესახებ, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რომ ნორმის შინაარსი „lege artis“ ამოვიცნოთ, რათა ნორმის არსი ნათელვყოთ. მაშასადამე, მოძღვრება მეთოდებზე არის იურიდიული „მეტადისციპლინა“. მაშინ, როდესაც კერძო, სისხლის ან სახელმწიფო სამართლის უშუალო შესწავლის საგანია, თუ რა შინაარსი ეძლევათ კონკრეტულ ნორმებს სასამართლო პრაქტიკასა და თეორიაში, იურიდიულ მეთოდოლოგია შეეხება უფრო ადრეულ ეტაპს, წინარე საკითხს, თუ რა მეთოდების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ნორმის ეს შინაარსი. კანონის ტექსტში ეს საკითხი, როგორც წესი, არ არის გარკვევით ან ყოველ შემთხვევაში საბოლოოდ რეგლამენტირებული.

რა არის იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების ნორმატიული საფუძველი? არის ეს ის პოსტულატები, რომლებიც საკანონმდებლო საფუძველების გარეშე, თეორეტიკოსების მიერ არის ჩამოყალიბებული, თუ ნორმის გამოყენების პრაქტიკაში იღებს სათავეს? ეს პოზიცია მხოლოდ ნაწილობრივ არის სწორი: თეორია და პრაქტიკა და ის ტრადიციები და პარადიგმატა, რომლის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა სამართლის ნორმა, რომლის ტრადიციებს თვით რომის სამართალმდებცე კი მივყავართ, იურიდიული მეთოდების შესახებ სწავლებაში თუმცა თამაშობდნენ და დღესაც თამაშობენ დიდ როლს, მაგრამ სამართლის გამოყენების ნორმატიულად კორექტული მეთოდისათვის ასევე არსებობს საკანონმდებლო ბაზა და ამით მეთოდების შესახებ პოზიტიური სამართალი. დღეს საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ კანონის ნორმის უბრალო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ყოველთვის არ არის გადამწყვეტი და რომ არსებობს კანონის ხარვეზი, რომელიც უნდა შეივსოს სამოსამართლო სამართალშემოქმედებით, თუმცა სამართლის სხვადასხვა დარგში განსხვავებულია ამ ხარვეზის შევსების წესი. სამოქალაქო სამართალში იგი ფართოდ

გამოიყენება და მოსამართლე ვალდებულია, რომ სამართლებრივი დავა გადაწყვიტოს მხარეებს შორის იმ შემთხვევაშიც, თუ ეს საკითხი კანონმდებელს არა აქვს ან ზუსტად არა აქვს დარეგულირებული. სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ასეთ შემთხვევაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის საზიანოდ გადაწყვეტა არ დაიშვება. სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, დანაშაული არის მხოლოდ ისეთი ქმედება, რომლის ჩადენაც მისი ჩადენის დროს სისხლის სამართლის კანონით სასჯელის მუქარით არის აკრძალული. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლში მოცემულია სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვა და მისგან გამომდინარეობს ასევე სისხლის სამართლებრივი ანალოგიის აკრძალვა, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს უფლება არა აქვს განსასჯელის საზიანოდ („in malam partem“) დანაშაულის ახალი შემადგენლობა შექმნას ან არსებული გააფართოოს, თუ ამ ქმედებას შინაარსობრივად არ მოიცავს არსებული ნორმის შინაარსი. ასეთი შინაარსის ანალოგიის აკრძალვა სამართლის სხვა დარგებში, განსაკუთრებით კერძო სამართალში, პრინციპულად მიუღებელია, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ სამართლის გამოყენების მეთოდები ორიენტირებულია საინტერპრეტაციო სამართლებრივ მასალასა და მის სპეციფიკურ მიზანმიმართულულებებზე, ამასთან განსხვავებული სამართლებრივი მასალის მიხედვით ნამდვილად განსხვავებული ახსნა-განმარტების მეთოდები გამოიყენება. მართალია, მოძღვრება სამართლის მეთოდების შესახებ აყალიბებს წესებს სამართლის ყველა დარგისათვის, მაგრამ სამართლის ყველა დარგი ხასიათდება ასევე დარგის სპეციფიკით, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კანონის გამოყენების დროს. სამართლის მეთოდების გამოყენებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა უკანასკნელი პერიოდის საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში. ნორმის ახსნა-განმარტების საჭიროება და აუცილებლობა საკონსტიტუციო სამართალში გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სამართლის სხვა დარგებზე, ვინაიდან კონსტიტუცია სამართლის სხვადასხვა დარგებისათვის წარმოადგენს ყველაზე მაღალი რანგის სამართლის წყაროს.

კანონის ანალოგია, როგორც წესი, არ დაიშვება სისხლის სამართ-

ლის სფეროში, თუმცა ეს დებულება აბსოლუტური ხასიათის არ არის. მაგალითისათვის ავიღოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილში წერია, რომ სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებისას ანალოგიის ან კანონის განვრცობითი განმარტების გამოყენება დაუშვებელია. კანონის ეს დებულება გულისხმობს ექვმიტიანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვას სახელმწიფოს თვითნებობისაგან, რის გამოც დაუშვებელია მათი ინტერესების საზიანოდ მოქმედება, ხოლო რაც შეეხება მათ სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებას ანალოგიით, ასეთი, ამ ნორმიდან გამომდინარე, დასაშვებია.

ანალოგია უნდა განვასხვავოთ კანონის ნებადართული ახსნა-განმარტებიდან.

კანონის უკუძალის საკითხთან დაკავშირებით მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი. თუ კანონმა დაანესა ხანდაზმულობის ან ნასამართლობის გაქარწყლების ახალი ვადები, გამოიყენება ახალი კანონი, მაშინაც კი, თუ ის აუარესებს პირის მდგომარეობას. იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდეს კონსტიტუციის დარღვევას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მომენტი: თუ პირის მდგომარეობის ასეთი გაუარესება ხანდაზმულობის ვადის გასვლის ან ნასამართლობის გაქარწყლების შემდეგ მოხდა, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ახალ კანონს არ ექნება უკუძალა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გაუარესება მანამადე მოხდა, მაშინ გამოიყენება ახალი კანონი.

იურიდიული მეთოდოლოგიისათვის ცენტრალური მნიშვნელობისაა კონსტიტუციურ-სამართლებრივი და სახელმწიფოებრივ-თეორიული დეტერმინანტები: ასე, მაგალითად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, რაც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში. მეთოდური სწავლებისათვის კონსტიტუტიური მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციურ დებულებას იმის შესახებ, რომ მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, პრინციპი, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (მონტესკიე) ეფუძნება.

სამართლის მეთოდოლოგიის შინაარსი გვიჩვენებს, რომ მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ ნაწილობრივ ცალკეული ნაციონალური სამართლებრივი სისტემების შინაარსით არის განსაზღვ-

რული. ასე, მაგალითად, აშკარაა, რომ ვინაიდან ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემაში უპირატესობა აქვს სამოსამართლეო სამართალს და პრინციპს პრეიუდიციების სავალდებულობის შესახებ, სამართალი სულ სხვა მეთოდოლოგიურ ნანამძღვრებს შეიცავს, ვიდრე კოდიფიკაციის პრინციპს დაფუძნებული კონტინენტალურ-ევროპული ე.წ. „Civil Law“ სისტემა. მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ არის, მაშასადამე, „ნაციონალური“ სამართლებრივი დისციპლინა, თუმცა აშკარაა, რომ კონტინენტალური ევროპის სივრცეში, ჯერ კიდევ რომის სამართლის ტრადიციის საფუძველზე, შეიმჩნევა მეთოდური საწყისების ფართო პარალელიტეტი, უკანასკნელ ათწლეულებში „Civil Law“ ქვეყნებში ფართოდ მოიკიდა ფეხი სამოსამართლეო სამართალმა, ისევე როგორც ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სივრცეში უფრო მეტი ყურადღება ექცევა კოდიფიკაციის საკითხებს.

მიუხედავად სამართლის გამოყენების მეთოდების საკანონმდებლო და საკონსტიტუციო-სამართლებრივი ნანამძღვრებისა, იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების სრული საკანონმდებლო დეტერმინიზაცია სრულიად შეუძლებელია. ერთის მხრივ, საკანონმდებლო ინტერპრეტაციის მიმართულებები ძალზე მრავალფეროვანია, მეორე მხრივ, იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების სრული საკანონმდებლო რეგლამენტაცია სამართლის ლოგიკის თვალსაზრისით, იმიტომ არის მიუღებელი და შეუძლებელი, რომ ინტერპრეტაციის წესების შესახებ ნორმები, თავის მხრივ, ისევ ინტერპრეტაციას მოითხოვენ. რომელი მეთოდების მიხედვით უნდა განხორციელდეს ინტერპრეტაციის შესახებ ნორმების ინტერპრეტაცია?

ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, მაგალითად გერმანია, არსებობს ცენტრალური მეთოდოლოგიური საკანონმდებლო ნორმირების გარეშე, მაშინ როდესაც ინტერპრეტაციის წესებს შეიცავს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსი (მუხლი 1), ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი (პარ. 6;7), ასევე იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და სხვა ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა. მართალია, ეს მეთოდოლოგიური შინაარსის ნორმები, ძირითადად, მოცემულია სამოქალაქო კოდექსებში, მაგრამ მათ აქვთ ზოგადმეთოდოლოგიური გამოყენება სამართლის ყველა დარგისათვის. მაგალითად, ავსტრიის მეთოდოლოგიური ხასიათის საკანონმდებლო ნორმების შინაარსი დაახლო-

ებით ასე უღერს: კანონს მისი გამოყენების დროს არ შეიძლება მიენიჭოს სხვა მნიშვნელობა, ვიდრე ეს გამომდინარეობს მისი ნამდვილი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან და იმ კონკრეტული კონტექსტიდან, რომელშიც ის იმყოფება და კანონმდებლის ნათელ განზრახვასთან შესაბამისობაში. თუ სამართლებრივი შემთხვევის გადაწყვეტა კანონის არც სიტყვებით და არც მისი ბუნებიდან გამომდინარე არის შესაძლებელი, მაშინ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს მსგავსი, კანონებში კონკრეტულად გადაწყვეტილი შემთხვევების ანალოგიით, მსგავსი კანონების საფუძველზე. თუ სამართლებრივი შემთხვევა მაინც გადაუწყვეტელი იქნება, მაშინ იგი უნდა გადაწყდეს ზოგადი სამართლებრივი პრინციპების მიხედვით.

მიუხედავად ამისა, სამართლის გამოყენების შესახებ მოძღვრება ითვლება როგორც „ნორმატიული“, „დოგმატიური“ დისციპლინა, მაშასადამე, მოძღვრება, პრესკრიფტიულად განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოახდინოს ინტერპრეტატორმა (მოსამართლემ) კანონის ახსნა-განმარტება განსაზღვრული სამართლებრივი დებულებების საფუძველზე. ამასთან ერთად, მსოფლიოს მასშტაბით არსებობს ძალზე ბევრი გამოკვლევა იმის შესახებ, ფაქტობრივად, თუ რომელი თვალსაზრისების საფუძველზე აკეთებენ მოსამართლეები ინტერპრეტაციას და ლებულობენ გადაწყვეტილებას. ეს სამოსამართლეო სოციოლოგიური და სამოსამართლეო ფსიქოლოგიური გამოკვლევები სასამართლოთა ფაქტობრივი ინტერპრეტაციის ქმედებების შესახებ ხშირად მიდიან დასკვნამდე, რომ ინტერპრეტატორები ბევრ შემთხვევაში ძალზე პერსონალური მოტივებით, მათი სუბიექტური, პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით აკეთებენ ინტერპრეტაციას და რომ ამათუი მეთოდის (მაგალითად, ისტორიული კანონმდებლის ნება) მოხმობა ემსახურება სუბიექტური, თავისი შინაგანი სამართლებრივი რწმენით სასურველი შედეგის დასაბუთებას, ასე, რომ, შეიძლება ითქვას, რომ მას ორნამენტალური ხასიათი აქვს. ინტერპრეტაციის სუბიექტურობის შთაბეჭდილება წარმოიშობა, უპირველეს ყოვლისა, იმ თვალსაზრისიდან, რომ აღიარებული მეთოდური წესების, მეთოდების არჩევა, აშკარად შედეგზე ორიენტირებულია და ძალზე არასისტემურად ხორციელდება: ერთ შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს ისტორიული კანონმდებლის ნებით, სხვა შემთხვევაში ამ

მეთოდის გამოყენება ნორმის ობიექტური არსიდან გამომდინარე, კანონის სისტემატური, შესაბამისად, თელეოლოგიური თვალსაზრისისათვის უპირატესობის მინიჭებით, გვერდზე გადაიდება. მაშასადამე, სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. მეთოდური პლურალიზმის პრინციპი. მთლიანობაში, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ტოვებს ე.წ. მეთოდური „anything goes“ შთაბეჭდილებას.

სინამდვილეში მართლაც ისეა, რომ იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების წესები და მასთან დაკავშირებული თეორიული პოზიციები პრაქტიკულად ილუზორულ ხასიათს ატარებენ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ნორმის ინტერპრეტატორის შედეგზე ორიენტირებული, სუბიექტური შეხედულებებით მიიღება? ამის შესახებ მოკლედ უნდა ითქვას, რომ მართლაც სინამდვილის, ობიექტური რეალურობის საწინააღმდეგო იქნება რომ იფიქრო, რომ ინტერპრეტატორი მოსამართლის სახით ყოველგვარი შინაგანი რწმენისა და შეხედულებებისაგან დაცლილი „სუბსუმციის მანქანაა“, რომელსაც საკუთარი სუბიექტური შეფასებებისაგან დამოუკიდებლად, წინასწარ განსაზღვრული ზუსტი მეთოდოლოგიური ჩარჩოებით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება. უდავო და აუცილებელია, რომ ინტერპრეტაციული საქმიანობის „კოგნიტიური“ ელემენტების გვერდით ასევე ყოველთვის არსებობს „ეპოლიტიური“ სფერო და ამის შესაბამისად, ინტერპრეტაციისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ასევე „მოსამართლის პიროვნება“. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საკონსტიტუციო სასამართლოებთან მიმართებაში, ხშირად გამოიყენება ტერმინი ე.წ. ლიბერალური და კონსერვატორული შემადგენლობა, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსიდან გამომდინარე. იგივე სისხლის სამართალში დანაშაულის სამართლებრივი კვალიფიკაცია, ისევე როგორც სასჯელის ზომის განსაზღვრა განსაზღვრულ კრიტერიუმებს ეფუძნება. თუმცა დანაშაულის ჩადებისათვის სანქციის ფარგლებში შვიდი ან ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ რომელია უფრო სწორი, ხშირად მათემატიკური სიზუსტით არ განისაზღვრება. სასამართლო შემადგენლობამ განაჩენში შეიძლება ისევე წარმატებულად დაასაბუთოს 20 (ან 25) წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარ-

დება, როგორც სხვა შემადგენლობამ უვადო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. სამართალი, მათ შორის სისხლის სამართალი, არ არის ზუსტი მეცნიერება, არამედ წარმოადგენს შეფასებებზე დაფუძნებულ ნორმატიულ დისციპლინას, რომელიც არ ეფუძნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ კატეგორიებს. მსოფლიო სამართლებრივ პრაქტიკაში არ არის უცხო ის მოვლენა, რომ იცვლება სასამართლო პრაქტიკა ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით იმ შემთხვევაშიც კი, როცა კანონმდებლობა არ შეცვლილა. ეს არის ნორმალური, ბუნებრივი პროცესი. საქმის განმხილველ მოსამართლეს შეიძლება შეეცვალოს შეხედულება და გააკეთოს ახალი ინტერპრეტაცია, რომელიც განსხვავდება მის მიერ ანალოგიურ საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებისაგან. თეორიასა და პრაქტიკაში აღიარებულია დებულება, რომ ნორმის ინტერპრეტაციის შეცვლას უკუძალა არა აქვს ანალოგიურ საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილებებისათვის.

იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების ამოცანას და საგნის ლოგიკიდან გამომდინარე, არა ილუზორულ ამოცანას წარმოადგენს ის, რომ წმინდა სუბიექტივიზმის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება თვითნებობად იქცეს, რაც შეიძლება შეიზღუდოს და ამით მოხდეს ინტერპრეტაციის შეძლებისდაგვარად ობიექტივიზაცია, რაციონალიზაცია. საბოლოო ჯამში, მოძღვრებას იურიდიული მეთოდების შესახებ აქვს მნიშვნელოვანი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი ფუნქცია. მხოლოდ მეთოდურად სწორი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს რაციონალურად დასაბუთებული. გარდა მეთოდოლოგიური ინსტრუქციისა, არსებობს სხვა „ინსტიტუციური“ თუ პროცესუალური საშუალებები, რათა ჩარჩოებში იქნეს მოქცეული სამოსამართლო სუბიექტივიზმი, განსაკუთრებით ასეთ საშუალებებს მიეკუთვნება სასამართლოთა სწორი ორგანიზაცია, საქმის განაწილების წესის სწორად დადგენა და პრაქტიკაში განხორციელება, საქმეთა განხილვის ინსტანციურობა და გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებით სასამართლო შეცდომისა, თუ თვითნებობის გამოსწორებისა და აღმოფხვრის შესაძლებლობა.

იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრების ტრადიციული ასპექტია სამართლის გამოყენების მეთოდები, რომლებიც ასევე წარმო-

ადგენენ მოსამართლის საქმიანობის ცენტრალურ სფეროებს. ამასთან, იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრება არ არის „რეტროსპექტიულად“ მხოლოდ უკვე ფორმულირებული ნორმების ინტერპრეტაციის მეთოდით დაკავებული. ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ ყურადღებას ჰპოულობს აგრეთვე თეორიაში დიდი ხნის მანძილზე შედარებით უყურადღებოდ დატოვებული „პროსპექტიული“, შემოქმედებითი, იურიდიულ საქმიანობაში სტრატეგიული ასპექტი, ერთი მხრივ, სამართლებრივი საქმიანობის დაგეგმვის შესახებ მოძღვრების საშუალებით, რომელმაც უნდა გასცეს პასუხი კითხვაზე, რომელ ასპექტებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება, როცა კომპლექსური ხელშეკრულება უნდა დაინეროს (ხელშეკრულების მიზნის ჩამოყალიბება, ფაქტიურ და სამართლებრივ რესტრიქციონებზე ყურადღების გამახვილება და ა.შ.), მეორე მხრივ, კანონმდებლობის შესახებ მოძღვრებით, რომლის შინაარსი მდგომარეობს იმაში, მეთოდური აზრობრივი ნაბიჯები ჩამოაყალიბოს, რომელიც უნდა გაითვალისწინოს რაციონალურმა კანონმდებლობამ, ისევე როგორც ტექნიკები განავითაროს, რომელთა დახმარებითაც ნორმის ტექსტი ფორმალურად სტრუქტურირებული და სისტემატიზირებული შეიძლება გახდეს.

ურთიერთშეჯერება, ერთის მხრივ, სამოსამართლეო სამართლის ქმნის რეტროსპექტიული მეთოდისა და, მეორეს მხრივ, სამართლებრივი საქმიანობის დაგეგმვისა და კანონმდებლობის სტრატეგიულ-პროსპექტიული მეთოდისა არ შეიძლება დიხოტომიურად (ან/ან) იქნეს წარმოსახული. შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ მოსამართლის საქმიანობა ყოველთვის – აგრეთვე უბრალო „ნორმის კონკრეტიზაციის“ შემთხვევაში – პროდუქტიული, შემოქმედებითი „სამართლის ქმნის“ ელემენტებს შეიცავს.

შეიძლება ითქვას, რომ ასევე კანონის ახსნა-განმარტება წარმოადგენს გარკვეული ხარისხით სამართლის განვითარებას.

სამართლის მქმნელი, რომელიც სინამდვილეში „სამართლის განმახორციელებელია“, სამართლის გამოყენების პროცესში ახდენს სამართლის განვითარებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის სამართალგამოყენებით ახალ ნორმებს ქმნის.

თუ შევაჯამებთ უკვე ნათქვამს, მაშინ შეგვიძლია მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ სტემატურად დაიყოს ორ ნაწილად:

მოძღვრება სამართლის ქმნის შესახებ და მოძღვრება სამართლის გამოყენების შესახებ. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ორივე სფეროს შორის, სახელდობრ, სამოსამართლეო სამართლის მეთოდსა და კანონის ახსნა-განმარტების მეთოდს შორის სტრუქტურული ერთიანობა და მხოლოდ არამყარი საზღვრები არსებობს.

სამოსამართლეო სამართლის მეთოდოლოგიის ორი სფეროა: სამოსამართლეო სამართალშემოქმედება და კანონის სასამართლო ინტერპრეტაცია. ვინაიდან ისინი ხშირად ერთმანეთს გადაკვეთავენ, მათ ერთმანეთთან ბევრი შემხებლობის ნერტილი აქვთ. ისინი უპრობლემოდ ერთიანდებიან ერთ გვარეობით ცნებაში: „სამოსამართლეო სამართლის ქმნა“. ამასთან, ამ ტერმინოლოგიის გამოყენების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ სამოსამართლეო სამართლის ფარგლებში, განსაკუთრებით როცა საქმე გვაქვს ზეკანონურ სამოსამართლეო სამართალთან, არა უკვე არსებული ნორმის გამოყენება ხდება, არამედ ნამდვილ სამართალშემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

1.3. მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ

ა. სამართლის ქმნის მეთოდი

- I სწავლება კანონმდებლობაზე;
- II. სამართლებრივი საქმიანობის დაგეგმვის (განსაკუთრებით ხელშეკრულების დაგეგმვა) მეთოდი;
- III. სამოსამართლეო სამართლის მეთოდი (სამართლის განვითარება სამოსამართლეო სამართალშემოქმედებით).

ბ. სამართლის გამოყენების მეთოდი (სამართლის ინტერპრეტაციის მეთოდი)

- I კანონის ახსნა-განმარტების მეთოდი;
- II. სამართლებრივი საქმიანობის ახსნა-განმარტების (განსაკუთრებით ხელშეკრულების ინტერპრეტაციის) მეთოდი.

ბ (I) და ა (III) ნაწილებში მოცემულ სფეროებს, განსაკუთრებული შემხებლობა აქვთ სამოსამართლეო საქმიანობასთან.

4. კანონის ახსნა-განმარტების მეთოდები

4.1 კანონის ახსნა-განმარტების (ინტერპრეტაციის) კლასიკური ელემენტები და მათი იერარქია

ზოგიერთი კონცეფტუალური მითითება

დღევანდელი მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ ჩვეულებრივად განასხვავებს ორ საკითხს შორის: ჩვეულებრივი ინტერპრეტაცია (მას ხშირად ეძახიან ასევე კანონის ახსნა-განმარტებას ვინაშე ვაგებთ ან სამართლის გამოყენებას) და სამოსამართლო სამართალი (სამოსამართლო სამართალგანვითარება ან სამართალშემოქმედება). ერთი მოძრაობს ნორმის შესაძლებელი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში (ინტერპრეტაცია „intra verba legis“), აბსტრაქტული ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში დამაკონკრეტებელი, ამხსნელი და განმავითარებელი ახსნა-განმარტებაა, მას ეწოდება ასევე შიდატექსტობრივი ინტერპრეტაცია, ხოლო მეორე ცდება ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებს (ინტერპრეტაცია „praeter verba legis“) ან ეწინააღმდეგება ნორმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას (ინტერპრეტაცია „contra verba legis“). ეს განსხვავება უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ამ სფეროს შორის არ არსებობს რაიმე მყარი საზღვრები, არამედ ისინი წარმოადგენენ ერთმანეთთან მუდმივ კავშირში მყოფ ერთიანობას: ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს ნორმის სიტყვითი მნიშვნელობის ექსტენსიური ახსნა-განმარტება ან იგი შეიძლება წარმოადგენდეს კანონის ხარვეზის შევსებას და ამიტომ ნორმის სიტყვასიტყვით ახსნა-განმარტებას არ წარმოადგენდეს. ეს ორი პროცესი სამართლის გამოყენების პრაქტიკაში გვხვდება არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, მონყვეტილად, არამედ ურთიერთკავშირში, ურთიერთშენაცვლებადობაში. სამოსამართლო სამართალშემოქმედება ენაცვლება კანონის სიტყვასიტყვით ახსნა-განმარტებას იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია. ვიდრე ინტერპრეტაციის პრობლემის გადაწყვეტა ნორმის სიტყვასიტყვითი ახსნა-განმარტებით არის შესაძლებელი, არ დგება სხვა იმ

მეთოდოლოგიური აზრობრივი სქემების გამოყენების საჭიროება, რომლებიც სპეციფიურად ახორციელებენ სამოსამართლო სამართალშემოქმედებას *praeter* ან *contra verba legis*. ეს არგუმენტი სრულიად ნათელია, როცა საქმე ეხება ზეკანონურ სამოსამართლო სამართალს. ამ ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ფენომენის ანალიზისათვის აუცილებელია საეხებით თვითმყოფადი მოსაზრებები, რომლებიც ნორმალური ინტერპრეტაციის დროს ძირითადად არ გვხვდება. სამოსამართლო სამართლის მეთოდოლოგია დიდი ხნის განმავლობაში იდგა სამართლის გამოყენების მეთოდის შესახებ ტრადიციული მოძღვრების ჩრდილში. სამოსამართლო სამართალი განიხილებოდა ნორმალური ინტერპრეტატორული მუშაობისაგან განსხვავებით, როგორც გამონაკლისი და ამიტომ მეთოდოლოგიურად არასაკმარისად იყო საყურადღებო.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის ურთიერთკავშირი და ერთიანობა არსებობს. ასე, მაგალითად, გენერალური კლასიფიკაციის კონკრეტიზაცია ხდება პოზიტიურ ნორმათა სისტემის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობის ფარგლებში, მაშასადამე, ფორმალურად რომ ვთქვათ, ახსნა-განმარტების ფარგლებში, თუმცა აშკარაა, რომ ამ კონკრეტიზაციას საბოლოო ჯამში დამოუკიდებელი სამოსამართლო სამართლისაკენ მივყავართ. მნიშვნელოვანია ის არგუმენტები, რომელთაც სამოსამართლო სამართლის ლეგიტიმაციისაკენ მივყავართ. სამოსამართლო საქმიანობის ამ ორივე სფეროს მჭიდრო ურთიერთკავშირი გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ თელეოლოგიური მოსაზრებები (მოსაზრებები, რომლებიც ნორმის სამართალ-პოლიტიკური მიზნიდან გამომდინარეობს), როგორც საკუთრივ ნორმის ინტერპრეტაციის, ასევე პოზიტიური დებულებებისაგან განსხვავებული „სავალდებულო სამოსამართლო სამართლისათვის“ თანაბრად საფუძველს წარმოადგენენ. მაშასადამე, არსებობს როგორც პოზიტიური სამართლის ნორმების თელეოლოგიური ინტერპრეტაცია, ასევე „სავალდებულო სამოსამართლო სამართლის“ თელეოლოგიური დასაბუთება.

4.2 ინტერპრეტაციის ცალკეული ელემენტები

ა) შესავალი

ახსნა-განმარტების კლასიკური ელემენტები, რომელსაც ასევე ახსნა-განმარტების კრიტერიუმებს ან ინტერპრეტაციის კანონებს უწოდებენ, ჯერ კიდევ სავიგნის მოძღვრებიდან მომდინარე, წარმოდგენილია შემდეგი სახელწოდებით: ენობრივ-გრამატიკული, სისტემატური, ისტორიული და თელეოლოგიური. ეს უკანასკნელი სავიგნისთან ფართო მხარდაჭერით არ სარგებლობდა. ის მიუთითებდა: გრამატიკული, ლოგიკური, სისტემატური და ისტორიული ახსნა-განმარტების შესახებ. თელეოლოგიური ინტერპრეტაცია, მართლაც, გულისხმობს სამოსამართლო შეფასებისათვის ძალზე დიდ ასპარეზს და მოითხოვს მაღალ სამართლებრივ კულტურას, რომ სამართალი ბოროტად არ იქნეს გამოყენებული. მართალია, ტრადიციულ მოძღვრებაზე დაფუძნებული მეთოდების შესახებ სწავლებას ყოველთვის ჰყავდა მონინაალმდეგებიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრადიციული მოძღვრება დღემდე კვლავაც ინარჩუნებს თავის მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას და წარმოადგენს საფუძველს თანამედროვე სამოსამართლო სამართლისათვის. ამ ტრადიციული მოძღვრების ცოდნა იმიტომაც არის აუცილებელი, რომ ამის გარეშე მისი კრიტიკის გაგებაც შეუძლებელია, გარდა ამისა და, უპირველეს ყოვლისა, იმიტომაც, რომ მან დაადასტურა, რომ ტრადიციული მოძღვრების ძირითადი პოზიციები, რომლებიც, ბუნებრივია, ახალი აზროვნებების ზეგავლენით განვითარდა, თანამედროვე კანონშემოქმედებისა და სამართალგამოყენების პროცესში კანონის ახსნა-განმარტების სფეროსათვის კვლავაც ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას. მეთოდის შესახებ ტრადიციული მოძღვრების ძირითადი ნაკლი იყო ის, რომ სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართალშემოქმედების პროცესი, მასში სათანადოდ არ იყო წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი მოძღვრება უფრო ბოლო პერიოდის განვითარების შედეგია. ის ავტორებიც, რომლებიც მეთოდების შესახებ ტრადიციული მოძღვრების ცალკეულ პრობლემებს საფუძვლიანად აკრიტიკებენ, ფიქრობენ, რომ სამართლის გამოყენების ამოცანები ასიდან 99 შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ინტერპრეტაციის გაბატონებული მეთოდებით.

ბ) ენობრივ-გრამატიკული ინტერპრეტაცია
(„ლიტერატურული“ ახსნა-განმარტება)

აა) შესავალი

გრამატიკული ახსნა-განმარტების მიხედვით, ნორმის შინაარსი გაგებულნი უნდა იქნეს მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. კანონის ინტერპრეტაცია სწორედ ამ მეთოდით იწყება, ვინაიდან კანონმდებელი ცდილობს ისე ჩამოაყალიბოს კანონის ტექსტი, რომ მისი გრამატიკული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა შეესაბამებოდეს ნორმის შინაარსს. სისხლის სამართალში ინტერპრეტაციის ამ მეთოდს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც წესი, აკრძალულია ანალოგია და კანონის განვრცობითი ახსნა-განმარტება ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის საზიანოდ, რის გამოც ნორმის შესაძლებელი სიტყვითი მნიშვნელობა ასევე ინტერპრეტაციის საზღვრებს წარმოადგენს. ამით, სამოქალაქო და საჯარო სამართლისაგან განსხვავებით, სისხლის სამართალში ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენება კანონის ახსნა-განმარტების ეს მეთოდი. მაგალითად, პიროვნების საზიანოდ კანონის ანალოგიით გამოყენების აკრძალვის საწინააღმდეგო იქნება, თუ სსკ-ის 108-ე ან 109-ე მუხლით დასჯად ქმედებაში, რაც გულისხმობს ადამიანის განზრახ მკვლელობას, „ადამიანის“ ცნების ქვეშ მოაზრებული იქნება დედის ორგანიზმში ჩასახული, ჯერ კიდევ დაუბადებელი სიცოცხლე, თუნდაც მშობიარობის პროცესამდე რამდენიმე ხნით ადრე.

დანერვილი სამართლის სიტყვათყვერალობა და მასში მოცემული სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, ბუნებრივია, წარმოადგენს ყოველგვარი ინტერპრეტაციის საწყისს („starting point“). იმავდროულად, ზოგადად, სიტყვის ენობრივი შინაარსი წარმოადგენს მნიშვნელოვან „ინდიცს“ ნორმის არსის დასადგენად. ნორმის ნათელი სიტყვათყვერალობის დროს შეიძლება არც გახდეს საჭირო შემდგომი ახსნა-განმარტებები ინტერპრეტაციის სხვა მეთოდების გამოყენებით. როგორც წესი, თანამედროვე კანონშემოქმედებისათვის დამახასიათებელია კანონის არაერთი ნორმის სიტყვითი შინაარსის მრავალმნიშვნელოვნება, რაც თავისთავად აუცილებლობით წარმოშობს ინტერპრეტაციის

სხვადასხვა მეთოდის ფართოდ გამოყენების საჭიროებას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ნორმის სიტყვითი შინაარსი მკაფიოდ ნათელი და ცალსახაა, ენობრივ-გრამატიკული მეთოდის გარდა გამოიყენება ინტერპრეტაციის სხვა მეთოდებიც.

ნორმის ინტერპრეტაციის დროს უნდა ვიცოდეთ, რომ მისი ნორმატიული საკანონმდებლო სტრუქტურა, ძირითადად, ორი ნაწილისაგან შედგება: (1) ქმედების შემადგენლობა და (2) სამართლებრივი შედეგი („სანქცია“). ასეთია სხვადასხვანაირად ჩამოყალიბებული „ნორმის ტექსტის ელემენტები“. უპირველეს ყოვლისა, ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქცია, ჩვეულებრივად, უნდა დაიყოს ქმედების შემადგენლობის აღწერილობით („დესკრიპტიულ“) და შეფასებით („ნორმატიულ“) ელემენტებად.

ბბ) ქმედების შემადგენლობის აღწერილობითი („დესკრიპტიული“) ელემენტები და „სამი სფეროს მოდელი“

ქმედების შემადგენლობის დესკრიპტიული ელემენტები მიუთითებენ სინამდვილის ამსახველ ფაქტობრივ გარემოებებზე. ასე, მაგალითად, ადამიანი ცხოველი, შენობა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ქმედების შემადგენლობის ასეთი ელემენტები, ვინაიდან ისინი ფიზიკურად ხელშესახებ საგნებს გამოხატავენ, მეტად თუ ნაკლებად ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული არიან. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ რამდენადაც დესკრიპტიულია ცნება, იმდენად უფრო თავისთავად გასაგებია საზოგადოდ მისი შინაარსი. მხოლოდ რამდენიმე მაგალითით შეიძლება დადასტურდეს, რომ საქმე სამართალში, როგორც წესი, ისე მარტივად არ არის, როგორც ბევრს წარმოუდგენია. რას ჰქვია ტყის შესახებ კანონმდებლობაში „ტყე“ (როდიდან ითვლება ერთი ხის ჯგუფი ტყედ?), რას ნიშნავს საგზაო მოძრაობის შესახებ კანონმდებლობით „ბინდი“ (ავტომანქანის მძღოლი ვალდებულია, სალამოს ბინდის დაწყების მომენტიდან გამოიყენოს ავტომანქანის განათება, რათა იმოდროს უსაფრთხოდ) ან „ნასვამ მდგომარეობაში ყოფნა“, არიან თუ არა მიკროორგანიზმები ცხოველები, მშობლების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ თუ არა ბებია და ბაბუა და – რაც სამართლებრივად სადავოა – ვის ჰქვია „ადამიანი“ სამართლებრივი მნიშვნელობით, ადა-

მიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, ასევე კონსტიტუციური, სამოქალაქოსამართლებრივი თუ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, რა მომენტიდან კარგავს პიროვნება ადამიანის სამართლებრივ თვისებას, როდის არის სიკვდილი დამდგარი? ამ და სხვა მსგავს შემთხვევებში კანონმდებელი ცდილობს შექმნას ლეგალური დეფინიციები, რათა აღმოიფხვრას გაუგებრობა სამართლის გამოყენების დროს, მაგრამ ხშირად ასეთი საკანონმდებლო რეგლამენტაციის მცდელობები არ არის ცალსახად ერთმნიშვნელოვანი, რადგან ისინი თავის მხრივ თავად მოითხოვენ ინტერპრეტაციას.

დასახელებული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ქმედების შემადგენლობის დესკრიპტიული ელემენტები ყველა შემთხვევაში ღიად ტოვებენ „სემანტიკურ სივრცეს“ სამართლებრივი ახსნა-განმარტებისათვის: ისინი შეიცავენ – როგორც ფილიპ ჰეკი მიუთითებდა – „ცნების (ნორმის) ბირთვს“ და მის გარემომცველ არაკონკრეტიზირებულ „სივრცეს ცნების (ნორმის) ინტერპრეტაციისათვის“; ან ანალიტიკური ენის ფილოსოფიის ტერმინოლოგიით: აბსტრაქტული ცნებების გამოყენებას მივყავართ შემდეგ სიტუაციამდე: ზოგიერთ საგანთან მიმართებაში შეიძლება კატეგორიულად ითქვას, რომ სამართლის ნორმა მის მიმართ გამოყენებადია (პოზიტიური კანდიდატები), სხვა ზოგიერთი საგნის მიმართ ეს ნორმა უეჭველად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს (ნეგატიური კანდიდატები), საბოლოოდ რჩება ერთი ჯგუფი საგნებისა, რომელთა მიმართებაშიც ნორმის გამოყენებისა თუ არგამოყენების შესახებ არ არის გადაწყვეტილი (ნეიტრალური კანდიდატები).

იმის დადგენა, კანდიდატი ნეგატიურია თუ არა, მაშასადამე, რომ იგი სიტყვის შინაარსში არაფრით არ მოიაზრება, განსაკუთრებით სისხლის სამართალში, ამ დარგში არსებული ანალოგიის პიროვნების საზიანოდ აკრძალვის გამო, მნიშვნელოვანია. სამოქალაქო სამართალში კი საკითხი წყდება სხვაგვარად, ვინაიდან სამართლის ამ დარგში ანალოგია პრინციპში ფართოდ გამოიყენება.

მოკლედ რომ ვთქვათ, სემანტიკურ „სამი სფეროს მოდელს“ აქვს კლასიფიკატორული მნიშვნელობა. მისი უპირატესობა, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ მას ინტერპრეტაციის პროცესში

მეთოდოლოგიური დანიშნულება აქვს. რესტრიქტიული ინტერპრეტაციის დროს ნეიტრალური კანდიდატების სუბსუმცია არ ხდება და მხოლოდ პოზიტიური კანდიდატების სფეროთი შემოიფარგლება, ექსტენსიური ინტერპრეტაცია ასევე ნეიტრალურ კანდიდატებს მოიცავს. ანალოგიის გამოყენების დროს ასევე ნეგატიური კანდიდატები საკანონმდებლო დებულებებს ექვემდებარება, ხოლო თელეოლოგიური რელუქციის დროს არ ხდება პოზიტიური კანდიდატების სუბსუმირება.

ნორმის სიტყვით ურერადობას აქვს ორგვარი ამოცანა: ის არის ამოსავალი წერტილი ნორმის არსის სამოსამართლეო გამოკვლევისათვის და იმავდროულად განსაზღვრავს მისი ინტერპრეტაციის საზღვრებს. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ექსტენსიურ ინტერპრეტაციასა და ანალოგიას შორის. სისხლის სამართლისათვის ექსტენსიური ინტერპრეტაციის ფართო ცნება წარმოადგენს დამაფიქრებელ ალტერნატივას ანალოგიის აკრძალვის პრინციპისა.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გადასვლა ამ სამ სფეროს შორის გარდამავალია, ასე რომ ზოგჯერ ნათლად შეუძლებელია იმის თქმა, ესა თუ ის კანდიდატი ჯერ კიდევ პოზიტიური ან ნეიტრალური, შესაბამისად როგორც ჯერ კიდევ ნეიტრალური, თუ უკვე როგორც ნეგატიური უნდა განვიხილოთ. მარილმუჟავა, რომელიც გამოყენებული იქნა როგორც თავდასხმის საშუალება, არის თუ არა ნეიტრალური კანდიდატი „იარაღთან“ მიმართებაში?

გვ) ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ელემენტები

ქმედების შემადგენლობის დესკრიპტიული ელემენტებისაგან განსხვავებით, ნორმატიული ელემენტები დგინდება არა ფიზიკური სინამდვილის სფეროში, არამედ შეეხებიან აბსტრაქციებსა და შეფასებებს.

ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ელემენტები ვინრო გაგებით არიან საკანონმდებლო ენაზე გამოყენებული იურიდიული დარგობრივი ტერმინები (termini tecnici), როგორცაა, მაგალითად, „მნიშვნელოვანი ზიანი“. მათი მნიშვნელობის დადგენა ან დაზუსტება ზოგჯერ ხდება ლეგალური დეფინიციების საშუალებით. თუმცა, ისევე როგორც ქმედების შემადგენლობის დესკრიპტიული ელემენტების დროს, ამ შემთხვევაშიც ლეგალური დეფინიციები ძალზე ხშირად ღიად ტოვებენ კითხვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიდამავე ჟრერადობის სამართლებრივ ცნებებს სხვადასხვა სამართლებრივ კონტექსტში, რომელშიც ისინი გამოიყენებიან, სხვადასხვა შინაარსი შეიძლება ჰქონდეთ (ე.წ. „სამართლებრივი ცნებების რელატიურობა“. ასე, მაგალითად, „ახლო ნათესავს“ მატერიალურ სისხლის სამართალში, სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნიდან გამომდინარე, აქვს სხვა მნიშვნელობა, ვიდრე „ახლო ნათესავის“ საპროცესო სამართლებრივ ცნებას (სსსკ-ის 44-ე მუხლის 21-ე ნაწილი). „გაუფრთხილებლობას“ სისხლის სამართალში აქვს სხვა მნიშვნელობა, ვიდრე სამოქალაქო სამართალში მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტის დროს.

მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც წესი, ეფუძნება გაუფრთხილებლობის ობიექტურ მასშტაბს. დამზიანებლის სუბიექტური ფაქტორები, მაგალითად, გადალდა, როგორც წესი, მხედველობაში არ მიიღება როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. სულ სხვანაირია სისხლისსამართლებრივი გაუფრთხილებლობის კრიტერიუმები, სადაც პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ნორმის ადრესატს ჰქონდა შესაძლებლობა შეესრულებინა ნორმის შესაბამისი მოქმედება.

„ნივთი“ იურიდიული მნიშვნელობით სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვანაირად განისაზღვრება. ასე, მაგალითად, საგნის ცნებამ შეიძლება ასევე მოიცვას არასხეულებრივი სიკეთეები (როგორიცაა, მოთხოვნები). ხშირად საკანონმდებლო ენა იყენებს ასევე ცნებებს მეცნიერების სხვა დარგებიდან, როგორიცაა კონკურენცია და ჯანმრთელობის დაზიანება. აქედან გამომდინარეობს ინტერპრეტის ძნელი ამოცანა, რომ ორიენტირებული იყოს ამ დისციპლინების სამეცნიერო მიღწევებზე (კონკრეტულ შემთხვევაში, ეკონომიკა და მედიცინა).

(2) ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ელემენტები, რომლებიც სპეციფიკურ იურიდიულ კატეგორიებს არ წარმოადგენენ, არამედ საზოგადოებრივ შეფასებებს ემყარებიან, თანამედროვე კანონებში უხვად არის მოცემული. როგორც მაგალითი ასეთი „შეფასებითი ცნებებისა“ სისხლის სამართლიდან შეიძლება დავასახელოდ არაერთი: „განსაკუთრებული სისასტიკე“, „ხულიგნური ქვენაგრძნობა“, „მძიმე შეურაცხყოფა“, „მძიმე ამორალური ქმედება“, „ამორალური ქცევა“, „სასტიკი მოპყრობა“, „ადამიანის უფლების არსებითად ხელყოფა“,

„მძიმე შედეგი“, „მნიშვნელოვანი ზიანი“, „პორნოგრაფიული ნაწარ-
მოები“ და ა.შ. თეორიაში ქმედების შემადგენლობის ასეთ ელემენ-
ტებს ასევე ეწოდება „განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები“ ან
„მიხედულებითი ცნებები“, რადგან ისინი მხოლოდ შეფასებებით
დგინდება და სამართლის გამომყენებელს აძლევს შესაძლებლობას,
მოახდინოს ცნების შემდგომი კონკრეტიზაცია. განუსაზღვრელი ცნე-
ბები ზოგჯერ იწოდებიან როგორც „გენერალური კლაუზურები“.

შეიძლება ითქვას, რომ ქმედების შემადგენლობის ნორმატიული
ელემენტებიც სემანტიკური სამი-სფეროს-სქემით შეიძლება განხი-
ლულ იქნეს, ზუსტად ისე, როგორც ეს ქმედების შემადგენლობის
დესკრიპტიული ელემენტების მიმართ გაკეთდა. როცა საქმე ეხება
გენერალურ კლაუზურებს, მაშინ მათი დამახასიათებელი თვისება ex
definitione მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეიძლება მივაკუთვნოთ
ნეიტრალური კანდიდატების განსაკუთრებით დიდი რიცხვი, მაშინ
როდესაც პოზიტიული კანდიდატების რაოდენობა, რომლებიც გარკ-
ვევით სუბსუმირებას ექვემდებარებიან, მაშასადამე, ცნების ბირთვს
წარმოადგენენ, შედარებით ცოტაა.

დდ) გენერალური კლაუზურები

გენერალურ კლაუზურებს წარმოადგენენ სოციალურ შეფასებებ-
ზე დაფუძნებული ქმედების შემადგენლობის ნორმატიული ელემენ-
ტები, რომლებიც ხასიათდებიან განსაკუთრებული განუსაზღვრე-
ლობით.

გენერალური კლაუზურები განსაკუთრებით ბევრია კერძო სამარ-
თალში. ასე, მაგალითად, უფლებით ბოროტად სარგებლობის აკრძალ-
ვის პრინციპი; ან: გარიგების შინაარსი არ უნდა ხელყოფდეს საჯარო
წესრიგს, საზოგადოებაში გაბატონებულ კარგ ზნე-ჩვეულებებს და
პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს.

გენერალური კლაუზურების გამოყენება ზოგჯერ სამართალგა-
მოყენების ძალზე პოზიტიური ელემენტია, თუმცა იგი ზოგჯერ დამა-
ფიქრებელიცაა. გასაგებია, რომ გენერალური კლაუზურების გამოყე-
ნება ხშირად სამართლებრივ უშიშროებას აყენებს საფრთხის ქვეშ.
სამართალგამომყენებელს შემხებლობა აქვს განუსაზღვრელ, ზოგად

საკანონმდებლო ფორმულირებებთან, რის გამოც სამართლის მაძიებელს (პროცესის მონაწილე მხარეს) ძნელად თუ შეუძლია განსაზღვროს, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან არ არსებობს საკანონმდებლო ორიენტირები. დროის განმავლობაში ყველა სამართლებრივი სისტემის ქვეყანაში ვითარდება სასამართლო პრაქტიკა, რომელსაც ასევე ემატება კანონთა მეცნიერული კომენტარები, რომელთა მეშვეობითაც ხდება გენერალური კლაუზურების კონკრეტიზაცია. სწორედ ამაზე ხდება როგორც სამართლის მაძიებლის, ასევე სამართლის გამოყენების ორიენტაცია. ისინი ემსახურებიან იურიდიულ თანაბარ მოპყრობას. გენერალური კლაუზურების გამოყენებას სისხლის სამართალში აქვს სპეციფიკური პრობლემები, რაზედაც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

ე.წ. „რეზინის მუხლები“ სისხლის სამართალში სინამდვილეში სამართლებრივად ძალზე დამაფიქრებელია. კანონი არ წარმოადგენს საიმედო ინფორმაციის წყაროს მხარეებისათვის, არც კანონის ამოცანაა შესრულებული, განსაზღვროს, როგორია სამართალშესაბამისი ქმედების შინაარსი. რადგან ნორმის არსი მოსამართლის განსაზღვრავია, ვინაიდან კანონმდებელი ზუსტ საკანონმდებლო დეფინიციებს არ იძლევა, ეს მხარეებს უბიძგებს სამართალი ეძებონ სასამართლო ინსტანციებში, ვიდრე სამართლებრივი გასაჩივრების ყველა საშუალება არ ამოიწურება. მხარეებს აქვთ იმის შანსი, რომ პროცესი მოიგონ ზედა ინსტანციებში, რადგან შესაძლებელია, ქვედა ინსტანციაში სამართლის კეთილსინდისიერად გამოყენების შემთხვევაშიც, გასაჩივრების სასამართლომ განსხვავებული სამართლებრივი შეფასებები გააკეთოს.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარეც წარმოიშობა გარკვეული შეკითხვები გენერალურ კლაუზურებთან მიმართებაში. იქ, სადაც კანონმდებელი გენერალურ კლაუზურებს იყენებს, ამით იგი საკუთარი ნორმაშემოქმედების ფუნქციას გადასცემს სამართლის გამომყენებელს და აღჭურავს მას სამართალშემოქმედების უფლებამოსილებით. ართურ კაუფმანის თქმით, ეს არის მხოლოდ ნედლი მასალა, რომელსაც ჯერ კიდევ გადამუშავება უნდა, რომ მისგან სამართალი გამოვიდეს. შვეიცარიული მოძღვრება სამართლის

მეთოდების შესახებ მას ხარვეზს „intra legem“ უწოდებს. თეორიაში მას ასევე ეწოდება გენერალური კლაუზურების „დელეგირების ფუნქცია“.

ერთის მხრივ, ე.წ. „სიმბოლური კანონმდებლობის“ განვითარების ტენდენცია წარმოადგენს კანონმდებლის მიერ გარკვეული პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებას და სამართალგამომყენებლისათვის ნორმის დაკონკრეტების ფუნქციის გადაცემას, რაც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად გარკვეულწილად დამაფიქრებელია. მეორეს მხრივ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ გენერალურ კლაუზურებს აქვთ დიდი და აუცილებელი უპირატესობები, რომლებიც წარმოადგენენ კანონმდებლობის „open texture“ ელემენტებს: გენერალური კლაუზურები აღებენ კანონმდებლობის „ფანჯარას“ მის საფუძვლად დადებული სოციალური შეფასებითი ჰორიზონტისათვის, რომლითაც კანონმდებლობას აკავშირებენ ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისათვის კონსტიტუტიურ სოციალურ საბაზო შეფასებებთან. სოციალური შეფასებების ამ „რეცეფციით“ (ამ გაგებით ლაპარაკობენ ასევე გენერალური კლაუზურების „რეცეფციულ ფუნქციაზე“) ხდება სამართლის „საზოგადოებრივი აქცეპტანდის“ არსებითი მხარდაჭერა. იმავედროულად – და ეს არის ჩვენი ჩქარა განვითარებადი დროის გადამწყვეტი უპირატესობა – გენერალური კლაუზურები შესაძლებლობას იძლევა „built – in flexibility“ გაგებით, სამართლის კონტინუირი ინტერპრეტატორული შეხამების შესაძლებლობას საზოგადოებრივ ღირებულებით ცვლილებებთან, რომლის გარეშე ყოველთვის კანონმდებელი უნდა ჩარეულიყო: „Tempora mutantur lex et mutatur in illis!“ ამასთან დაკავშირებით საუბარია ნორმის ცვლილებიდან გამომდინარე გენერალური კლაუზურების სამართლის შემდგომი განვითარების ფუნქციაზე, რაც გამოიხატება „მნიშვნელობის ცვალებადობაზე“ და შესაბამისად „ფუნქციონალურ ცვალებადობაზე“. ამის მაგალითად მოჰყავთ ის შემთხვევა, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ევროპაშიც კი დაუქორწინებელი წყვილის მიერ სასტუმროს ოთახის დაქირავება მოსამართლის მიერ მიიჩნეოდა როგორც ზნეობის საწინააღმდეგო და შესაბამისად ბათილი (არანამდვილი). სექსუალური მორალის აშკარა ლიბერალიზაციის შედეგად ასეთი გადანწყვეტილება დღეს, მიუხედავად სიტყვასიტყვით იდენტური საკანონმდებლო ბაზის არსებობისა,

აღიქმება როგორც აშკარად არაადექვატური და, მაშასადამე, სამართლებრივად არასწორი. დღევანდელი სამართლებრივი განვითარების ტენდენციაა ზნეობანიანალმდეგობის კრიტერიუმების აშკარა ლიბერალიზაცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასამართლებრივ სახელმწიფოებში არსებობს გენერალური კლაუზურების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზირების საფრთხის მაღალი ხარისხი.

გენერალური კლაუზურებისა და განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებების გამოყენების საკანონმდებლო ალტერნატივას გეთავაზობს ე.წ. „ენუმერაციის პრინციპი“. ამ პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ურთიერთობები კონკრეტულად, „კასუსისტიკურად“ დაარეგულიროს და ამ კაზუსისტიკას ამომწურავი, დასრულებული („ტაქსატიური“) ხასიათი მისცეს. კანონმდებლობაში, მათ შორის სისხლის სამართალში, ხშირად იყო სამართლებრივი ურთიერთობების კაზუსისტურად დარეგულირების მცდელობა, რაც გულისხმობს, მაგალითად, არა ქურდობის ზოგადი შემადგენლობის არსებობას კანონმდებლობაში, არამედ ცხენის, ძროხის და ა.შ. ქურდობის ცალ-ცალკე შემადგენლობების შექმნას. სამართლებრივმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სამართლებრივი ურთიერთობები იმდენად ამოუწურავი და მრავალფეროვანია, რომ ყველა დეტალის წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ხშირად გამოიყენება „ენუმერაციისა“ და „გენერალური კლაუზურის“ ურთიერთშეხამება, ვინაიდან იგი ყველაზე კარგად შეესაბამება, ერთის მხრივ, სამართლებრივი უშიშროების მოთხოვნებს, ხოლო, მეორეს მხრივ, ანგარიშს უწევს მომავალზე ორიენტირებულ საკანონმდებლო განვითარებას. ცალკეული კონკრეტული შემადგენლობები არეგულირებენ კანონის მიღების დროისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან და გამოკვეთილ შემთხვევებს, რითაც ნორმის ადრესატს და გამომყენებელს აძლევენ ორიენტაციის შესაძლებლობას და იმავდროულად სამართლის გამომყენებელს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ გადანყვიტოს, თუ შემადგენლობაში მოცემული ძირითადი დებულება არ არის შესრულებული, რა მიმართულებით მოახდინოს კანონმდებლობაში მოცემული ზოგადი მითითების განვითარება. არ არის გასაკვირი, რომ კანონმდებელი ამ მეთოდს ხშირად იყენებს, მათ შორის სისხლის სამართალში. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კო-

დექსის 408-ე მუხლი „ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის“ ობიექტური შემადგენლობის ჩამონათვალში უთითებს კონკრეტულ ქმედებათა სახეებს, რომელშიც შეიძლება გამოიხატოს ეს დანაშაული. მაგრამ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რადგან ბოლოს მითითებულია, რომ იგი შეიძლება გამოიხატოს სხვა არაპუმანურ ქმედებაში, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას. ასევე ინტერესთა ურთიერთშეჯერებისა და ანონვის მოდელს აქვს იგივე სტრუქტურა. იგი ფართოდ გამოიყენება კერძო სამართალში, მაგრამ მას ასევე სისხლის სამართალშიც აქვს გამოყენება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი უთითებს, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მხოლოდ მაშინ არის დანაშაული, როცა ეს ქმედება ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევას იწვევს. კანონმდებელი კონკრეტულად არ უთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც ინტერესთა ურთიერთშეჯერების დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული.

თუ კანონმდებელი, დამატებით გენერალური კლავზურის გათვალისწინების გარეშე, შექმნის მითითებითი (ე.წ. „დემონსტრაციული“) კაზუსტიკის კატალოგს, მაშინ სამართლის გამოყენებელს არ შეუძლია გაცდეს ამ ჩამონათვალის ფარგლებს, ვინაიდან მას არ ექნება პროკლამაცია – „*idee directive*“ როგორც ორიენტაციის დამხმარე საშუალება, რომელიც მოსამართლეს შესაძლებლობას მისცემდა მოეხდინა ცალკეული შემადგენლობების სამართლებრივი დაკონკრეტება.

კანონმდებლობაში მოცემულია შედარებით ბევრი მაგალითი ცალკეული შემადგენლობების სრულყოფილი, ამომწურავი („ტაქსაციური“) ჩამონათვალისა (ე.წ. „ტაქსაციური კაზუსტიკა“), რომელიც გამოიხატება სიტყვით: „კერძოდ“ (მაგალითად, სსკ-ის 411-ე მუხლი). ასეთი ამომწურავი კატალოგი არ ექვემდებარება სამოსამართლეო სამართლით განვრცობას და მას აქვს თავისი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა განსაკუთრებით სისხლის სამართალში. იგი გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როცა კანონმდებელი ფიქრობს, რომ ამ საკითხის

ზუსტი საკანონმდებლო მონესრიგების მიზანია სამართლებრივი უშიშროების განსაკუთრებით მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა. სისხლის სამართლისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს გენერალური კლასიფიკაციისა და ე.წ. „დემონსტრაციული კაზუსტიკის“ გამოყენების რაც შეიძლება შემცირებას, რადგან სამართლის ეს სფერო, კერძო სამართლისაგან განსხვავებით, ექვემდებარება პრინციპს: „nulla poena sine lege“ („არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“) და ამით ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნას. სსკ-ის 109-ე მუხლში მოცემულია განზრახი მკვლელობის მაკვალიფიცირებელი გარემოებების კატალოგი, რომელიც ამომწურავი ხასიათისაა და არ შეიძლება ამ კატალოგის განვრცობა სხვა ისეთი გარემოებებით, რომლებიც იქ არ არის მითითებული, მიუხედავად ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და ბრალდებულის სუბიექტური ქვენაგრძნობებისა. მაგალითად, „ანგარება“ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებაა და ნიშნავს დამნაშავეს (ან/და თანამონაწილის) მიერ ქონებრივი ან სხვაგვარი მატერიალური გამორჩენის მიღებას. იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობა ხდება სხვა ისეთი ქვენაგრძნობით, როგორცაა კონკურენტის ჩამოცილება ასპარეზიდან, როცა ეს ქმედება არ არის დაკავშირებული მატერიალურ გამორჩენასთან, არ შეიძლება ანალოგიით დაკვალიფიცირდეს როგორც განზრახი მკვლელობის კვალიფიცირებული შემადგენლობა. განზრახი მკვლელობის მაკვალიფიცირებელი გარემოებაა განსაკუთრებული სისასტიკე (სსკ-ის 109-ე მუხლი). სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებულ სისასტიკედ ითვლება არა მარტო ის შემთხვევა, როცა მკვლელობა ხდება დანაშაულის მსხვერპლისათვის განსაკუთრებული ტანჯვა-წამების ან ტკივილების მიყენებით, არამედ მაშინაც, როცა განზრახ სიცოცხლის მოსპობა ხდება მსხვერპლის ახლო ნათესავის თანდასწრებით. ქმედების ასეთი კვალიფიკაცია ხდება ნორმის ინტერპრეტაციის გზით. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში სასამართლო პრაქტიკა განვითარდეს სხვა, სანინალმდეგო მიმართულებით.

ნორმა დემონსტრაციული თუ ტაქსაციური ხასიათისაა, ზოგჯერ კანონის ტექსტიდან ადვილად არ დგინდება. კანონის ტექსტის შინაარსის გარკვევაში ხშირად გვეხმარება სიტყვები: „ანდა სხვა ქმედება“, „სულ მცირე“, „განსაკუთრებით“, „მათ შორის“ და სხვ. ამ სიტყვების კანონის ტექსტში არ მითითება ავტომატიურად არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს e contrario ე.წ. „ტაქსაციურ კაზუსტიკასთან“.

როგორც ითქვა, სამართლის გამოყენებელს გენერალური კლასიფიკაციის დაკონკრეტების დროს აქვს უზარმაზარი ინტერპრეტაციის თავისუფლება და შესაძლებლობა. მართალია, იგი გადანყვეტილებას ღებულობს არა თვითნებურად, არამედ „intra legem“ (ზუსტად რომ ვთქვათ, ნორმის სამართლებრივი შინაარსის საზღვრების ფარგლებში). მართალია, მოსამართლე ფორმალურად ყოველთვის სამართლის გამოყენებელია, მაგრამ საბოლოო ჯამში საქმე ეხება კანონმდებლობის ხარვეზის შევსებას და ამით „კომპლემენტარული კანონმდებლობის“ შექმნას სამოსამართლეო სამართლის მეშვეობით.

საკანონმდებლო ტექნიკას აქვს თავისი ენობრივი პრობლემები. საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრეთვე – აფხაზური (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 8). საქართველოს კანონმდებლობის ოფიციალური ენაა სახელმწიფო ენა. საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების ოფიციალური ენა სხვადასხვა, საქართველოს სახელმწიფო ენისაგან განსხვავებული ენებია. სამართალგამოყენების პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ქართული ტექსტი, რომელიც ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულების ოფიციალურ ტექსტს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სამართლებრივ ენაში არსებული ტერმინოლოგიური განსხვავებების გამო ზოგჯერ თვით ხელშეკრულებათა ინგლისურ და ფრანგულ ოფიციალურ ტექსტებს შორისაც არის განსხვავება. ასევე ვინაიდან უახლოესი პერიოდის ქართული კანონმდებლობა ვითარდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობის ზეგავლენით, ხშირად ნაციონალურ კანონთა პროექტების შექმნის დროს გამოიყენება სხვა ქვეყნების გამოცდილება. აქაც საჭიროა ქართული სამართლებრივი ენის სწორად განვითარება, რომ კანონის ტექსტი გასაგები იყოს, ხოლო უცხო ტერმინოლოგია – შეძლებისდაგვარად კარგად და გასაგებად ახსნილი.

დასკვნა

როგორც ითქვა, კანონის სიტყვასიტყვითი ჟრერადობა წარმოადგენს ნორმის არსის გასარკვევად უპირველეს და უმნიშვნელოვანეს

ინდიცს. ამიტომ კანონის სწორი ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია ნორმის ტექსტი ყურადღებით იქნეს ნაკითხული, ვინაიდან ტექსტის ენობრივ-ლოგიკური ანალიზი წარმოადგენს ყოველგვარი ახსნა-განმარტების აუცილებელ წინაპირობას. უპირველესი კლასიკური რჩევაა: სამართლის გამომყენებელმა, საკითხის გადაწყვეტის დროს, მიუხედავად იმისა, როგორი კანონის მცოდნეც არ უნდა იყოს, ხელში კანონის ტექსტის გარეშე არ უნდა ილაპარაკოს და გადაწყვეტოს. ასე, მაგალითად, ზუსტად უნდა შემომხედეს, ქმედების შემადგენლობისა თუ სამართლებრივი შედეგების ელემენტები კუმულაციურად („და“) თუ ალტერნატიულად („ან“) უნდა იყენენ წარმოდგენილი, ან რას ეხება ნორმატიული ნეგაციები. მაგალითად ავიღოთ სსკ-ის მე-200² მუხლი. კანონმდებელი ასევე იყენებს „და/ან“ კონსტრუქციას, რაც გასაგებია, რომ ქმედების შემადგენლობის ელემენტთა კუმულაციურ და ალტერნატიულ კომბინაციას გულისხმობს.

არსებობს საკანონმდებლო პრაქტიკაში მაგალითები, როცა კანონთა ტექსტები გრამატიკულად იმდენად გაუგებარია, რომ მას სპეციალური ინტერპრეტაცია უნდა. მაგალითისათვის ავიღოთ, საქართველოს 2004 წლის 24 დეკემბრის კანონი „ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“. ამ კანონის მე-4 მუხლის განმარტებას უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება დასჭირდა (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 6 აპრილის განჩინება, ადმინისტრაციული საქმე: კასატორის შპს „კვარციტის“ მონაწილეობით).

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სიტყვას აირჩევს კანონმდებელი აზრის გამოსახატავად. ასე, მაგალითად, კანონმდებელმა გამოიყენა შემდეგი სიტყვათწყობა: ქურდობა „ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში უკანონო შელწევით“ (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ინტერპრეტაცია: თუ რას ნიშნავს ბინა, სადგომი ან სხვა საცავი, უნდა გააკეთოს სამართალგამომყენებელმა. ერთ-ერთი ასეთი ახსნა-განმარტების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: როგორც საცხოვრებელი ბინა, ასევე სადგომი და საცავი მიწასთან მყარად უნდა იყოს დაკავშირებული, რომ დანაშაულის კვალიფიკაციური შემადგენლობა მივიღოთ.

სასამართლო პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როცა ქუჩაში მდგომი ავტომანქანის სალონში უკანონო შეღწევით მოხდა ვიდეომაგნიტოფონის მართლსაწინააღმდეგო დატაცება. აღნიშნული წარმოადგენს თუ არა ქურდობის კვალიფიციურ შემადგენლობას, თუ სახეზე გვაქვს მისი ძირითადი შემადგენლობა. ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა აღნიშნული შეაფასეს როგორც ქურდობა შეღწევით. აღნიშნული შეფასება არ გაიზიარა საკასაციო სასამართლომ შემდეგი თვალსაზრისიდან გამომდინარე: ავტომანქანის მთლიანად ვიდეომაგნიტოფონიანად დატაცება დაკვალიფიცირდებოდა როგორც ქურდობის ძირითადი შემადგენლობა, შეღწევის გარეშე, რის გამოც კარების გატეხვით მისგან მაგნიტოფონის წაღება უფრო მძიმე შემადგენლობას ვერ მოგვცემდა, რადგან ეს იქნებოდა კანონის არსის საწინააღმდეგო, რის გამოც კანონი თელეოლოგიურად იქნა ინტერპრეტირებული და ასეთი ქმედება არ შეფასდა, როგორც შეღწევით ჩადენილი.

ნორმის სიტყვა-სიტყვითი უღერადობის ძლიერმა ინდიციურმა ეფექტმა (მნიშვნელობამ) არ უნდა მიგვიყვანოს სემანტიკური ახსნა-განმარტების არგუმენტის გადაჭარბებულ შეფასებასთან ან მთლად „სიტყვის ფეტიშიზმთან“. სწორედ არაიურისტებისა და არაპროფესიონალი იურისტების ინტერპრეტაცია ხასიათდება ნაივურად სიტყვათა ტყვეობაში ყოფნით. მართალია, ინტერპრეტაცია კეთდება კანონის სიტყვითი ურერადობიდან გამომდინარე, მაგრამ ეს არ არის ნორმის ერთადერთი სავალდებულო ახსნა-განმარტება. ნორმა რესტრიქციულად თუ ექსტენსიურად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, არ შეიძლება წინასწარ დეფინიციურად განისაზღვროს. ამ საქმეში ინტერპრეტატორს ეხმარება სამართლის მეთოდოლოგია, რომელსაც ნორმატიულად ვერ დაადგენ და კანონში ვერ ნაიკითხავ, არამედ მხოლოდ სამართლის თეორიაში შეისწავლი. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა უნდა დადგინდეს, გადანყვეტილება კანონის სიტყვასიტყვითი უღერადობის ფარგლებს გარეთ („*praeter verba legis*“) თუ „*contra verba legis*“ უნდა იქნეს მიღებული.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა ნორმის სიტყვითი უღერადობა, იზოლირებულად ინტერპრეტირებული, ფაქტიურად ცალსახაა, ასეთ შემთხვევაშიც კი შესაძლებელია, რომ მისგან გამომდინარე „ნორმის არსი“ წარმოადგენ-

დეს იშვიათ კონსტელაციას, რის გამოც მოითხოვდეს კრიტიკულად შეფასებას ინტერპრეტაციის სხვა მეთოდების გამოყენებით.

სამართლის თეორიაში არსებობს პოზიცია, რომ არ არსებობენ ცნებები, უფრო ზუსტად პრედიკატორები, რომლებიც, თავისთავად აღებული, სემანტიურად ერთმნიშვნელოვნად ცალსახაა, ისე, რომ მათი ექსტენსიის შესახებ არავითარ შემთხვევაში ეჭვი არ შეიძლება წარმოიშვას. მაგრამ იმავე თეორიის მიხედვით, კანონმდებელი ყოველთვის როდი ახერხებს, საკმარისად გასაგებად ჩამოაყალიბოს ნორმა, ისე, რომ პროცესის ყველა მონაწილეს კანონის სიტყვითი ჟღერადობა ერთნაირად ესმოდეს.

არსებობს ორი ფუძემდებლური საკითხი ნორმის გრამატიკული (სიტყვა-სიტყვითი) ინტერპრეტაციის შესახებ:

ერთის მხრივ, ისმის კითხვა: კანონის ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს სიტყვების ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მნიშვნელობით, თუ მას დარგობრივ-სპეციფიკური შინაარსი უნდა მიენიჭოს? თუ კანონმდებელი იყენებს იურიდიულ ტერმინოლოგიას (*termini technici*) ან სხვა პროფესიულ-ენობრივ ფორმას, ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ეს ტერმინოლოგია დარგობრივ-სპეციფიკური შინაარსით უნდა იქნეს გამოყენებული. ამ შემთხვევაშიც მოსამართლე იყენებს ინტერპრეტაციის მეთოდებს. ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში გამოყენებული სიტყვები, როგორც წესი, ინტერპრეტირებული უნდა იქნეს საყოველთაო ენობრივი გამოყენების მნიშვნელობით. თუმცა აქაც შეიძლება, რომ თითქოს ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო ურთიერთობებში გამოყენებულ სიტყვას საკანონმდებლო კონტექსტში სრულიად განსხვავებული დარგობრივ-სპეციფიკური მნიშვნელობა მიენიჭოს.

მეორეს მხრივ, გასარკვევია საკითხი იმის შესახებ, რომ სიტყვის შინაარსი გამოყენებული უნდა იქნეს იმ მნიშვნელობით, რომელიც არსებობდა კანონის მიღების მომენტში, თუ სიტყვის იმ ახალ მნიშვნელობას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელიც მან შეიძინა ენობრივი განვითარების შედეგად, დროის გარკვეული მონაკვეთის გავლის შემდეგ და მოქმედებს ნორმის გამოყენების მომენტში? აქაც საჭიროა დიფერენციაცია. თუ საქმე ეხება ნორმის ტექსტის დარგობრივ-სპეციფიკურ ელემენტებს, მაშინ ეჭვის შემთხვევაში საჭიროა მისი ისტო-

რიული მნიშვნელობის გარკვევა, რათა კანონი მთლიანად არ მოწყდეს თავის ისტორიულ ფესვებს და არ დაიკარგოს ისტორიული კანონმდებლის ნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იურიდიული ტერმინოლოგიის ისტორიულისაგან განსხვავებულ თანამედროვე აქტუალურ მნიშვნელობას *hic et nunc* უფრო გონივრულ ინტერპრეტაციულ შედეგამდე მივყავართ. ეს არის ძირითადად ის შემთხვევა, რომელიც ეხება „ღია შეფასებით დარგობრივ ტერმინოლოგიას“, როგორიცაა, მაგალითად, „უკანონო“. არადარგობრივ-სპეციფიკური ნორმის ტექსტის ელემენტები ძირითადად ინტერპრეტირებული უნდა იქნეს თანამედროვე სიტყვათმნიშვნელობით. სამართლის მეთოდოლოგიის ფუნდამენტალურ საკითხს წარმოადგენს ის, რომ ნორმა ობიექტურ-თანამედროვე, თუ ისტორიულად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

გ) ნორმის სისტემური ინტერპრეტაცია

ამ მეთოდის მიხედვით, ნორმის შინაარსი გაგებულ იქნეს ნორმათა იმ სისტემური ურთიერთკავშირიდან, რომელშიც ეს ნორმა იმყოფება. ამ მეთოდის ამოსავალი წერტილი არის ის, რომ კანონმდებელმა კანონის ცალკეული დებულებები დარგობრივ ურთიერთკავშირში დააყენა და ამით ცალკეული დებულებები ლოგიკურად ერთმანეთთან დააკავშირა. სისტემური ახსნა-განმარტებისათვის მნიშვნელოვანია ნორმის ადგილი კანონში, მისი მნიშვნელობა და ფუნქცია ცალკეულ სამართლის ინსტიტუტებთან მიმართებაში და სამართლებრივ ნორმათა სისტემაში, სხვა ნორმებთან ურთიერთკავშირში. მას ნაწილობრივ აქვს შეხების წერტილები, საერთო დამახასიათებელი ნიშან-თვისებები თელოლოგიურ ახსნა-განმარტებასთან. კონკრეტული ნორმის შინაარსი შეიძლება გამომდინარეობდეს კანონის, მისი ცალკეული კარებისა თუ თავების სათაურებისაგან. მაგალითად, თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თავის სათაურია: „სამოხელეო დანაშაული“, იგულისხმება რომ ამ თავში მოცემული დანაშაულის შემადგენლობები შეიძლება განახორციელოს მოხელემ ან მასთან გათანაბრებულმა პირმა (გამონაკლისს წარმოადგენს „ქრთამის მიცემა“, სადაც ქრთამის მიცემა ხდება მოხელისათვის ან მასთან გათანაბრებული პირისათვის). სსკ-ის 303-ე მუხლი ითვალის-

წინებს პასუხისმგებლობას შემდეგი შემადგენლობისათვის: „ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი“. ეს შემადგენლობა მოთავსებულია ეკოლოგიურ დანაშაულთა თავში. კანონის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, ამ ნორმით კვალიფიცირდება ისეთი მოქმედება, რომელიც მიმართული არ არის საკუთრების წინააღმდეგ. ამ დანაშაულის ჩადენის დროს პირს არა აქვს გაჩეხილი ხე-ბუჩქნარის დაუფლების მიზანი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამ დანაშაულის ჩადენა არ ხდება ქონებრივი გამორჩენის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში გვექნება ქონებრივი დანაშაული.

აა) ძირითადი პრობლემები

ნორმის შინაარსის გასარკვევად მნიშვნელოვანი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს იქიდან გამომდინარე, თუ რა ადგილი უჭირავს კონკრეტულ საკანონმდებლო დებულებას მთლიანი კანონმდებლობისა თუ სამართლის თუ სამართლის ცალკეული დარგის სისტემაში. ცალკეული ნორმები არ დგანან ერთმანეთის გვერდით განყენებულად, მათ შორის სისტემური კავშირის გარეშე, არამედ სამართალი წარმოადგენს ერთიან სისტემას კონსისტენტური ღირებულებითი შეფასებებისა, რომელთა ცალკეული შემადგენელი ნაწილები შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნეს არა იზოლირებულად, მისი ნორმატიული კონტექსტის მხედველობაში მიღების გარეშე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეფასებითი წინააღმდეგობები, თელეოლოგიურად არაკონსისტენტური ინტერპრეტაციები თავიდან იქნეს აცილებული. აქიდან გამომდინარეობს სამართლებრივი შედეგი, რომ არ არსებობს კანონის ერთი ერთადერთი მუხლის გამოყენება, ვინაიდან ვინც კანონის ერთ მუხლს იყენებს, ამით მთლიან სამართლებრივ სისტემას იყენებს. შეიძლება ზოგიერთი მათგანის გამოყენების შესახებ არ იყოს მითითებული და ნამსჯელი, მაგრამ საგნის ბუნებიდან გამომდინარეობდეს, რომ იგი გამოყენებულია.

სამართლებრივი სისტემის ერთიანობის იდეა მეტად მნიშვნელოვანია სამართალგამოყენების პროცესში. სწორედ ამიტომ არსებობს თანამედ-

როვე სამართალში მართლწინააღმდეგობის ცნება ფართო გაგებით, როგორც წინააღმდეგობა კულტურის ნორმებისადმი და არა ვინრო გაგებით სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის სახით.

მაშასადამე, ჩვენი სამართლებრივი სისტემის „ქსელი“ არსებობს არა ერთი სამართლის დარგის ფარგლებში, არამედ არის დისციპლინათშორისი ხასიათის. კერძო და საჯარო სამართალი როდი წარმოადგენს ერთმანეთისაგან იზოლირებულ, ავტონომიურ მიკროსამყაროს, არამედ ერთმანეთთან იმყოფებიან მრავალმხრივ სამართლებრივ კავშირში. ეს ნაწილობრივ ასევე კანონმდებლობითაც არის დადგენილი. მაგალითად, სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში. აქვე უნდა აღინიშნოს სამართლის სისტემაში ნორმათა იერარქიის შესახებ და განსაკუთრებით კონსტიტუციურ-სამართლებრივი (განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა სფეროში) ნორმების მნიშვნელობის შესახებ სამართლის ყველა დარგისათვის და სამართალგამოყენების პროცესში. სწორედ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ კონსტიტუციურ დებულებებს აქვს პირდაპირი გამოყენების ძალა და პრიმატი სამართლის ნებისმიერ დარგის მიმართ. სწორედ ამიტომ სამართლის ნებისმიერი ნორმის ინტერპრეტაციას საფუძვლად უნდა ედოს კონსტიტუციასთან შესაბამისობა. სამართლის გამოყენებელმა უნდა გააკეთოს ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დასადგენად კონსტიტუციაკონფორმული ინტერპრეტაცია.

მოთხოვნა, რომ ნორმა სისტემურად იქნეს ინტერპრეტირებული, დიდი ხანია ცნობილია და ძირითადად უდავოა. იგი ჯერ კიდევ რომაელი იურისტებისათვის იყო ცნობილი და ჯერ კიდევ ძველ სამართლის კოდიფიკაციებში იყო პირდაპირ პოზიტივირებული. იგი არ წარმოადგენს იურიდიული ინტერპრეტაციის შესახებ მოძღვრების სპეციფიურ მოთხოვნას, არამედ ეს არის სასულიერო-ჰუმანიტარული მეცნიერული ჰერმენოტიკის ზოგადი მაქსიმა. არსებობს ინტერპრეტაციის ხელოვნება, რომლის მიხედვითაც, როგორც ჰერმენოტიკა გვასწავლის, მთელი უნდა გავიგოთ მისი შემადგენელი ცალკეული ელემენტების, ხოლო ცაკეული – მთელის შესწავლით.

სამართალს აქვს „გარეგანი“ და „შინაგანი“ სისტემა. მეთოდების შესახებ თანამედროვე მოძღვრება ცნებათა ჩამოყალიბების დროს გა-

ნასხვავებს სწორედ ამ ორ სისტემას შორის. „გარეგანი სისტემა“ ემყარება კანონის ფორმალურ სტრუქტურას, სამართლებრივი მასალის დაყოფას, ხოლო „შინაგანი სისტემა“ გულისხმობს სამართლის შინაგან აგებულებას, რომელიც გაგებულია როგორც ღირებულებითი (შეფასებითი) გადანყვეტილებების კონსტიტენციური სისტემა. ეს ორივე სისტემის ცნება ძირითადად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, ვინაიდან სამართლებრივი წესრიგის გარეგანმა სისტემამ მისი შინაგანი სტრუქტურა შეძლებისდაგვარად ტრანსპარენტულად უნდა გამოხატოს.

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის „გარეგანი“ სისტემა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდიფიკაციის სისტემატიკა ემყარება კონტინენტალურ-ევროპულ ტრადიციებს. საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობა შედგება მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსისაგან. ამით ის განსხვავდება იმ ევროპული ქვეყნებისაგან, სადაც კოდექსთან ერთად არსებობს მრავალი ე.წ. დამატებითი სისხლის სამართლის კოდექსი. ამ ქვეყნებში სამეურნეო და სხვა კანონები (მაგალითად, კანონი სასაქონლო ნიშნის შესახებ, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და ა.შ.) ბოლო თავში შეიცავს სისხლისსამართლებრივ ნორმებს შესაბამისი შემადგენლობებითა და სანქციებით. ესე იგი სისხლის სამართლის ნორმა და მისი ბლანკეტური შინაარსი ერთ კანონშია მოცემული, რაც აადვილებს მის გამოყენებას. საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან.

კანონის გარეგანი დაყოფა მნიშვნელოვანია ინტერპრეტაციისათვის ბევრი გაგებით. იგი იწყება კანონის სტრუქტურით. სისხლის სამართლის კოდექსი იყოფა ცალკეულ კარებად, თავებად და მუხლებად. მუხლები იყოფა ცალკეულ ნაწილებად და ქვეპუნქტებად (და არა პუნქტებად). კოდექსისაგან განსხვავებით, კონსტიტუციისა და კანონების მუხლები იყოფა არა ნაწილებად, არამედ პუნქტებად. სასამართლო განაჩენებში ხშირად შეცდომითაა მითითებული, მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი. უნდა იყოს: სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დანაშაულის სამი სახის შემადგენლობა: ძირითადი, კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობის სახით. მაგალითად, 108-ე მუხლი არის განზრახი მკვლელობის პრივილეგიური შემადგენლობა; 109-ე მუხლი — კვალიფიციური შემადგენლობა, ხოლო 110-ე მუხლი - პრივილეგიური შემადგენლობა.

დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვანია, თუ სისხლის სამართლის კოდექსის რომელ თავში არის მოცემული ესათუის ნორმა. მაგალითად, სსკ-ის 258-ე მუხლი („მიცვალეზღულისადმი უპატივცემლობა“) მე-2 ნაწილში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შემდეგი ქმედებისათვის: „საფლავში ჩატანებული ან საფლავზე არსებული ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება“. ეს ნორმა არ არის მოთავსებული საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა 25-ე თავში, არამედ 32-ე თავში: „დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ“. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დანასკვი, რომ 258-ე მუხლით არ კვალიფიცირდება ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით.

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების დასათაურებას აქვს მნიშვნელობა, რადგან ამით უფრო გასაგები ხდება ნორმის შინაარსი. მუხლის სათაურებს აქვთ, როგორც კანონის განუყოფელ ნაწილს, შეუზღუდავი სამართლებრივი ძალა და ხშირად წარმოადგენს ძალზე მნიშვნელოვან დამხმარე საშუალებას კანონის ინტერპრეტაციისათვის.

გგ) საქართველოს სისხლის სამართლის კანონის „შინაგანი“ სისტემა

სამართლებრივი სისტემა უნდა იყოს არა მხოლოდ საკანონმდებლო დებულებების გარეგნულად კოჰერენტული (ურთიერთდაკავშირებული), ტრანსპარენტული (გამჭვირვალე) ერთობლიობა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც ღირებულებითი კატეგორიების კონსისტენტური (ურთიერთდამოკიდებული) შინაგანი სისტემა ასევე უნდა წარმოადგენდეს სამართლებრივი პრინციპების „თელელოგიურ“, შესაბამისად „აქსიოლოგიურ“ სისტემას.

სამართლის პრინციპები და მათგან კონსტიტუირებული სისტემა ინდუქტიურად საკანონმდებლო დებულებებიდან უნდა გამომდინა-

რეობდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შინაგანი სისტემა არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ „დახურულ“ სისტემას, არამედ იგი „ღია“ სისტემაა. სისხლის სამართლის კანონის შინაგანი სისტემა არის ღია და ფრაგმენტალური ხასიათის. მისი ღიაობა გამომდინარეობს იქიდან, რომ კანონმდებლობა განიცდის მუდმივ ევოლუციას, მაგრამ ამასთან ერთად საზოგადოებრივი ღირებულებები განიცდიან ცვალებადობას, რაც ზეგავლენას ახდენს ინტერპრეტაციაზე. შეფასებითი თვალსაზრისების შინაგანი სისტემა არის არა მარტო ღია, მაშასადამე, ახალი შეფასებითი თვალსაზრისების მიმღები, არამედ ასევე „მოდრაივი“, ვინაიდან ცალკეული შეფასებითი ელემენტების შინაარსი შეიძლება შეიცვალოს.

თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ სისხლის სამართლის შინაგანი სისტემას, მაშინ ნათელი გახდება, რომ რომ ეს შინაგანი სისტემა პირველ რიგში ეფუძნება სამ ძირითად კატეგორიას: კანონიერება, მართლწინააღმდეგობა და ბრალი. ამ კატეგორიების შიგნით არსებობს კიდევ სხვა შინაგანი სუბსისტემები.

დდ) სისტემატური ინტერპრეტაციის ცალკეული ელემენტები

კონსტიტუციაკონფორმული (კონსტიტუციის შესაბამისი) ინტერპრეტაცია და ძირითად უფლებათა „შუალობითი ზემოქმედება“ („პორიზონტალური ზემოქმედება“): სახელმწიფოებრივ ნორმათა სისტემის იერარქიული დაყოფიდან გამომდინარე, საკანონმდებლო დებულებები ექვეის შემთხვევაში კონსტიტუციაკონფორმულად უნდა იქნეს ინტერპრეტირებული.

დ) თელეოლოგიური ახსნა-განმარტება

ამ მეთოდის მიხედვით, ნორმის შინაარსი გაგებულნი უნდა იქნეს მისი არსიდან და მიზნიდან გამომდინარე. ახსნა-განმარტების ამ მეთოდის გამოყენების დროს ყურადღება ექცევა სხვადასხვა თვალსაზრისებს, რომლებმაც უნდა მიგვიყვანონ ნორმის მიზანთან (ratio

legis). ნორმის ინტერპრეტაციის დროს პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: რა მიზანს ისახავს ან რა შედეგი უნდა იქნეს მიღწეული განსამართლები ნორმით? აქ გადამწყვეტია ნორმაში გამოხატული ინტერესთა შეფასება და ამოცანა, რომელიც ამ ნორმას შინაარსობრივად სამართლებრივი ნესრიგის მთლიან ურთიერთკავშირში შეუძლია მოიტანოს. ამ შემთხვევაში იკვეთება ინტერპრეტაციის ამ ხერხის სისტემურ ახსნა-განმარტებასთან შემხებლობა და ურთიერთკავშირი.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმების ინტერპრეტაციის დროს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს მატერიალურ სისხლის სამართალს (მაგალითად, სისხლის სამართლის *ultima ratio* ფუნქცია; თანაზომიერების პრინციპი დაცვის მიზანსა და დასანიშნ სამართლებრივ შედეგს შორის და სამართლებრივი სიკეთის სათანადოდ დაცვის აუცილებლობის პრინციპი).

კერძო ნაწილის ნორმების ინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, რომელი სამართლებრივი სიკეთე თუ როგორ უნდა იქნეს დაცული. როცა გაირკვევა, რომელი სამართლებრივი სიკეთე არის დაცული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობით, მეორე საკითხად უნდა გაირკვეს, ამ სამართლებრივი სიკეთის დასაცავად აუცილებელი და ლეგიტიმურია თუ არა, კონკრეტული ქმედება ამ ნორმის ქვეშ მოიაზრო, თუ სისხლის სამართლისათვის მოქმედი სამართლებრივი პრინციპებიდან (განსაკუთრებით: *ultima ratio* ფუნქცია) გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილია, რომ არ მოხდეს ამ ქმედების პენალიზირება. სწორედ შეფასებების დროს უნდა ამოივსოს სამართლებრივი ხარვეზები, შესაბამისად ხაზი უნდა გაესვას სისხლის სამართლის ფრაგმენტალურ ხასიათს. ინტერპრეტაციის დროს ასევე კრიმინალპოლიტიკური მიზანშეწონილობები, შესაბამისად შეხედულებები თელეოლოგიურ იურისპრუდენციაში ასრულებენ გარკვეულ როლს.

ე) ისტორიული ახსნა-განმარტება

ამ მეთოდის მიხედვით, ნორმის შინაარსის გასარკვევად გამოყენებული უნდა იქნეს მისი წარმოშობის ისტორია. ისტორიული ინტერპრეტაცია არის ბევრი თვალსაზრისით ნორმის პრობლემატური ახსნა-განმარტების მეთოდი. უნდა გაირკვეს, თუ როგორი იყო ისტორიული კანონმდებლის ნება ამ ნორმის მიღების დროს. სადავოა საკითხი იმის შესახებ, ამ შემთხვევაში გადამწყვეტია საკანონმდებლო პროცესში მონაწილე კონკრეტული პირებისა და ინსტიტუციების ნება (ე.წ. სუბიექტურ-ისტორიული ახსნა-განმარტება) თუ საკანონმდებლო განზრახულობას ობიექტურად საფუძვლად დადებული ნება (ე.წ. ობიექტურ-ისტორიული ახსნა-განმარტება). ეს უკანასკნელი მეთოდი პრაქტიკულად წარმოადგენს ე.წ. თელეოლოგიურ მეთოდს. აქ ნორმის მიზნის (ratio legis) გარკვევის დროს სხვა საკითხებთან ერთად უნდა გაირკვეს ის ნორმა, რომელიც ე.წ. სუბიექტურ-ისტორიულ მეთოდის საწინააღმდეგოდ გამოითქმის. ის სიტუაციაც უნდა იქნეს გარკვეული, რომელშიც შეიქმნა გამოსაყენებადი შენიშვნა, რატომ მაინცდამაინც საკანონმდებლო პროცესში მონაწილე კონკრეტული პირების შეხედულებებს განსაკუთრებული ყურადღება ნორმის ინტერპრეტაციის დროს უნდა მიექცეს. ცალკეული დეპუტატის შეხედულება არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც „დემოკრატიული კანონმდებლის“ ნების ტოლფასი.

პრობლემურია ყველა შემთხვევაში, რა მოცულობით შეიძლება მნიშვნელობა მიენიჭოს ისტორიული კანონმდებლის ნებას, როცა ნორმის შექმნიდან დროის დიდი მონაკვეთია გასული (მაგალითად, შეიცვალა ცხოვრების წესი და/ან ნორმამ შუალედში ცვლილებები განიცადა). ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ კანონმდებლის ნება კანონის ინტერპრეტაციის დროს მხოლოდ იმდენად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, როგორც ამან თვით კანონში საკმარისი ასახვა ჰპოვა.

საბოლოო ჯამში ამით პრაქტიკულად ნორმის წარმოშობის ისტორიას სხვა ინტერპრეტაციის მეთოდებთან შედარებით ენიჭება შედარებით დაბალი მნიშვნელობა. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა საუბარია ახალ შექმნილ ნორმაზე (მაგალითად, სსკ-ის მუხლი), კანონპრო-

ექტების ახსნა-განმატებითი ბარათებით და საკანონმდებლო ინიციატივით შემოსული და საკანონმდებლო პროცესში მონაწილე ორგანოების მიერ პროექტზე გამოხატული პოზიციის გაცნობა მეტად მნიშვნელოვანია კანონის არსში სწორად ჩანედომისა და ნორმის სწორი ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. ამასთან, ცალკეული პიროვნებების მიერ გამოხატული პოზიციები (მაგალითად, პარლამენტის წევრის გამოსვლა საპარლამენტო მოსმენის დროს) შედარებით დაბალი მნიშვნელობისაა.

ვ) ახსნა-განმარტების მეთოდების ურთიერთკავშირი

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სისტემური, თელეოლოგიური და ისტორიული ახსნა-განმარტების მეშვეობით მოძებნილი შედეგი არ წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებელ ახსნის საშუალებას. უფრო მეტად ცალკეული ახსნა-განმარტების მეთოდები წარმოადგენენ ხშირად მხოლოდ ერთ-ერთ არგუმენტს, რომელიც ზოგიერთ საკითხში სადაო, ხოლო ზოგიერთში მისაღები და პოზიციის განმტკიცებელია. ინტერპრეტაციის შედეგი მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როცა სხვადასხვა არგუმენტი ერთმანეთთან კავშირში მოიყვანება და აიწონება. ამ აუცილებელ შეფასებაში არის მიზეზი იმისათვის, რომ საბოლოოდ არა მარტო ერთი შედეგი არის „სწორი“, არამედ გარკვეული ფართო შესაძლებელი ახსნები არსებობს.

საყურადღებოა, რომ ახსნა-განმარტების განსხვავებული მეთოდები ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ განავრცობენ ერთმანეთს. ნორმატიული (შეფასებითი) რეგულირების არსი გამომდინარეობს მუდმივად მხოლოდ მთლიანი სურათიდან.

ერთ გამონაკლისს შეიცავს ეს პრინციპი სისხლის სამართალში მხოლოდ იმ განსაკუთრებული როლის გამო, რომელიც გრამატიკულ ახსნა-განმარტებას ეძლევა:

მოსამართლემ ყოველთვის უნდა შეამოწმოს, რომ მის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება არის თუ არა ბრალდებულის საზიანოდ ანალოგიის აკრძალვის პრინციპით განსაზღვრულ ნორმის ინტერპრეტაციის ფარგლებში. ანალოგია ბრალდებულის სასარგებლოდ აგრეთვე სისხლის სამართალში, ანალოგიის ზოგადი წესების დაცვით, ყოველ-

გვარი პრობლემის გარეშე, ნებადართულია. სისხლის სამართალში აკრძალულია ნორმის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის იგნორირება, რომ ქმედება, რომელიც დასჯადად მიაჩნიათ, ქმედების შემადგენლობის ქვეშ იქნეს სუბსუმირებული. მოსამართლეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ სისხლის სამართალს, მისი სამართლებრივი სიკეთის დაცვის ultima ratio ფუნქციის შესაბამისად, მხოლოდ ფრაგმენტარული ხასიათი აქვს და საკითხი, რომ კონკრეტული ქმედება პენალიზირებულ იქნეს თუ არა, დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში მხოლოდ კანონმდებლის გადასაწყვეტია. სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ხარვეზები არ შეიძლება ანალოგიით ბრალდებულის საზიანოდ იქნეს ამოვსებული.

სხვა მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ გამიჯვნა ნებადართულ, სიტყვის მნიშვნელობის ფართოდ განმვრცობ ახსნა-განმარტებასა და აკრძალულ ანალოგიას შორის ზოგჯერ ძალზე ძნელია. მაშასადამე, არსებობს გარკვეული შეფასების სივრცე.

მოსამართლემ უნდა იფიქროს ურთიერთგამიჯვნის პრობლემაზე, თუ ეს კონკრეტული საქმის გადაწყვეტისათვის რელევანტურია. ეს ხდება მაშინ, როცა წარმოიშობა პრობლემა კანონის გრამატიკული ახსნა-განმარტების გამოყენების დროს. მოსამართლე თავიდანვე აყენებს სხვადასხვა ახსნა-განმარტების ჰიპოთეზას. მოსამართლე უნდა შეეცადოს, რომ მისი ფორმულირებები განაჩენსა თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებაში ისე ჩამოაყალიბოს, რომ არ წარმოიშვას შთაბეჭდილება, რომ მის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება სცილდება კანონის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობას.

ზ) იურიდიული არგუმენტაციის მნიშვნელოვანი ტიპები

როგორც ითქვა, აუცილებელია, რომ ინტერპრეტაციის სხვადასხვა მეთოდებით მოპოვებული არგუმენტები, ამათუიმ შეფასების მხარდასაჭერად ან უარსაყოფად ერთმანეთთან იქნეს შედარებული და ანონილ-დანონილი. ამ შეფასების ფარგლებში წარმოიშვა სხვადასხვა არგუმენტაციის ნიმუშები, რომლებიც ასევე მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს შეიძლება იქნეს გამოყენებული.

ქვემოთ მოცემული არგუმენტაციის ტიპებით შესაძლებელია მოსამართლის მიერ არჩეული ამოხსნის დასაბუთება უფრო კარგად იქნეს სტრუქტურირებული და მისი დამარწმუნებელი ძალა ამით გაძლიერდეს. არგუმენტაციის ფიგურებს, მართალია, შეუძლიათ მოიცვან სხვადასხვა საკითხები, მაგრამ არ შეუძლიათ შინაარსობრივი წინააღმდეგობა აღმოფხვრან.

ა) Argumentum a simile

ეს არგუმენტაციის ტიპი გამოიყენება მაშინ, როცა კანონი პირდაპირ არ არეგულირებს ამათუიმ შემთხვევას, მაგრამ მას იგივე შინაარსი აქვს, რაც კანონით ზუსტად დარეგულირებულს, მაშასადამე შინაარსობრივად მისი იდენტურია და ამ თვისების გამო ზუსტად დარეგულირებული შემთხვევისათვის დადგენილი წესის გამოყენება არადარეგულირებული შემთხვევის მიმართაც გამართლებულია. ლოგიკურად ეს არის ანალოგიის გამოყენება. საბოლოოდ კი განხორციელება თანასწორად მოპყრობის პრინციპი.

მაგალითად, დაზარალებულის თანხმობა, როგორც ნებადართული მართლზომიერი მოქმედება, ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსით პირდაპირ დარეგულირებულია მხოლოდ ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებში (მაგალითად, სხვადასხვა სამედიცინო ოპერაციები), მაგრამ შეიძლება დაზარალებულის მიერ სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაცვაზე უარის თქმის შემთხვევაშიც ქმედების სხვა შემადგენლობებისათვისაც, რომლებიც სხვა ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთეებს იცავენ, იქნეს გამოყენებული, როგორც გამამართლებელი შედეგის მქონე გარემოება. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად, სხვისი ნივთი, რომლის დაზარალებულის თანხმობით და მის ნამდვილი ნების შესაბამისად განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში, დამზიანებელი პასუხს არ აგებს. ბუნებრივია, ამ მოქმედებით საფრთხე არ უნდა შეექმნას სხვა სამართლებრივ სიკეთეთა დაცვას. ამასთან, არის ისეთი სამართლებრივი სიკეთეები, რომელთა ხელყოფაზე ნებაართვა დამზიანებელს არ ათავისუფლებს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან (მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე).

როგორც ცნობილია, ანალოგია სისხლის სამართალში შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ბრალდებულის სასარგებლოდ. მაგრამ ახსნა-განმარტების ჰიპოთეზას თუ მოიცავს ნორმის შინაარსი, ასეთ შემთხვევაში სახეზეა ნებადართული *argumentum a simile* და არა ანალოგია.

ბბ) *Argumentum a fortiori* შესაბამისად *argumentum a maiore ad minus*

არგუმენტაციის ამ ტიპით უფრო ძლიერი, დიდი მოიცავს უფრო სუსტს, პატარას. ერთი მაგალითით შეიძლება ეს აზროვნების სტილი შემდეგნაირად იქნეს აღწერილი:

აკრძალულია ავტომანქანის მართვა ნასვამ მდგომარეობაში, თუ სისხლში ალკოჰოლის შემცველობა 0,8%-ია.

ავტომანქანის მართვა 1,6% ალკოჰოლის შემცველობით კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე 0,8%-ით.

თუ აკრძალულია ავტომანქანის მართვა 0,8% ალკოჰოლით, აქედან გამომდინარეობს, რომ 1,6%-ით მართვაც აკრძალული იქნება.

გგ) *Argumentum e contrario*

ახსნა-განმარტების ამ მეთოდის გამოყენების დროს კანონის ნორმის უკუღმართი ფორმულირებიდან და კანონის სხვა ნორმაში მოცემული საწინააღმდეგო ფორმულირების გამო ნორმაში მოცემული აზრის საწინააღმდეგო დასკვნა გამოიყვანება, დასაბუთებით, რომ განსამარტავ ნორმას უნდა ჰქონოდა სხვა შინაარსი.

დდ) *Argumentum ad absurdum*

არგუმენტაციის ეს ნიმუში გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთი კონკრეტული ახსნა-გამარტება იმიტომ ვერ გამოდგება, რომ შედეგი აშკარად აუტანელი იქნება.

მაგალითად, მივყავართ ინტერპრეტაციას იქითკენ, რომ ნორმას პრაქტიკულად არავითარი გონივრული გამოყენების სფერო მეტი აქვს, მაშინ ეს შედეგი არ არის მეტი ასატანი.

სისტემატური ახსნა-განმარტების ფარგლებში გამოყენების სფეროსთან ერთად ეს არგუმენტაციის სქემა გამოიყენება ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ასევე თელეოლოგიური ახსნა-განმარტების დროს.

არასნორ ინტერპრეტაციას შედეგად მოჰყვება აუტანელი სამართლებრივი და კრიმინალპოლიტიკური შედეგები.

დასკვნა

განაჩენის თეორიული დასაბუთების პარალელურად მოსამართლე კარგად უნდა იცნობდეს სუბსუმციის ტექნიკას (ქმედების კვალიფიკაციას). გადანყვეტილების გამოტანის დროს ხდება სისხლის სამართლის დოგმატიკის და კანონმდებლობის გამოყენება.

განაჩენის დაწერის დროს მეთოდოლოგიურად უნდა გამოვიდეთ იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ კანონის ტექსტის ცოდნა არ არის საკმარისი სისხლის სამართლის საქმის გადასაწყვეტად. მეთოდოლოგიურად შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ სამართალი შედგება (ან უნდა შედგებოდეს!) მხოლოდ კანონის მუხლებისაგან და ყველა სამართლებრივ კითხვაზე პასუხი შეიძლება ამოიკითხო (ან უნდა იკითხებოდეს!) მხოლოდ კანონში. ამით, საქმის განხილვას ვუდგებით იმ პოზიციიდან, რომ სისხლის სამართალში სამართლებრივი პრაქტიკა, მართალია, უნდა ეფუძნებოდეს პოზიტიურ სამართალს, მაგრამ კანონის ახსნა-განმარტება უნდა მოხდეს „მეთოდური პლურალიზმის“ საფუძველზე.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენების დროს მოსამართლემ უნდა მოახდინოს ნორმის ინტერპრეტაცია. იქ, სადაც კანონი საკითხს ზუსტად არ არეგულირებს, უნდა შეეძლოს კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპის გამოყენება. როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სამართალში გამოიყენება ანალოგია ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, განსაკუთრებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დაკისრებისა და მისგან გათავისუფლების საკითხების გადანყვეტის დროს, მოსამართლემ უნდა

მოახდინოს სამოსამართლეო სამართლის გამოყენება. სისხლის სამართლის კანონი, განსაკუთრებით მისი ზოგადი ნაწილი ამომწურავად არ იძლევა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა კატალოგს. გადანყვეტილების მიღების დროს მოსამართლემ უნდა შეძლოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებათა გამოყენება.

სამოსამართლეო საქმიანობა იძლევა შესაძლებლობას, რომ მოსამართლემ გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი სისტემური აზროვნება, განსაკუთრებით დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა, რომელსაც ეფუძნება საქართველოს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი. სისტემის („დანაშაულის აგების სქემის“) ცოდნა მოსამართლეს ეხმარება კონკრეტული შემთხვევის სწორად გადანყვეტაში. მას ეძლევა შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევას პასუხი გასცეს არა ინტუიციით, არამედ იქიდან გამომდინარე, რომ იცის, თუ რომელ პრობლემას რა ადგილი მიუჩინოს სისტემაში. ამით მას აქვს ფორმულა, რომლითაც შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევას ადვილად მოუძებნოს გასაღები და სწორად და დასაბუთებულად გასცეს პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებს.

მაშასადამე, მოსამართლეს, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილი უნდა ჰქონდეს ინდუქციური მეთოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ მას დამუშავებული უნდა ჰქონდეს შემთხვევები და შესწავლილი მათი სწორი ახსნა, ე.ი. გაკეთებული უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის ე.წ. ინდუქციური ანალიზი. ამ მეთოდს აქვს ის უპირატესობა, რომ შეუძლია განსაკუთრებული თვალსაჩინოებით წარმოაჩინოს პრობლემატიკა და შეიმუშავოს შემთხვევის ამოხსნის გონიერული ტექნიკა. იგი წარმოადგენს კარგ დიდაქტიკურ ინსტრუმენტს საკითხის მარტივად ასათვისებლად, რაც განსაკუთრებით სჭირდება სისხლის სამართლის იურისტს. ამდენად, შემთხვევის დამუშავების მეთოდი სრულიად აუცილებელია და აუცილებადია სისხლის სამართლის შესასწავლად, ამიტომ იგი საფუძვლად უნდა დაედოს სამოსამართლეო სწავლებას სისხლისსამართლებრივ პრობლემატიკაში, რადგან უფრო გვიანი იურიდიული პრაქტიკა „შემთხვევების“ ამოხსნას წარმოადგენს. ამიტომ ძნელია, სწორად გადანყვიტოს კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევები, თუ მოსამართლე კარგად არ ექნება შესწავლილი სისხ-

ლისსამართლებრივი შემთხვევის სუბსუმციის ტექნიკა და ამოხსნილი და დასაბუთებული კონკრეტული შემთხვევები.

მოსამართლეს ათვისებული უნდა ჰქონდეს სისხლისსამართლებრივი სისტემური აზროვნება, რომელიც შემთხვევის ამოხსნას შეძლებს და დანაშაულის ჩადენის ფაქტის დადგენას მოახდენს შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობით:

ქმედების შემადგენლობა;

მართლწინააღმდეგობა;

ბრალი.

გარდა კონკრეტული შემთხვევის ამოხსნის ტექნიკის დაუფლები-სა, მოსამართლეს მიღებული უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის ცნებებისა და ინსტიტუტების კარგი თეორიული ცოდნა. მაშასადამე, საქმე ეხება სისხლის სამართლის დოგმატიკის შესწავლას. აუცილებელია არა მარტო სწორი (კანონიერი) გადაწყვეტილების მიღება, არამედ აზროვნებისა და განაჩენის ისეთი კატეგორიების შინაარსში სრულყოფილი წვდომა, როგორცაა ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, თანამონაწილეობა, თანამსრულებლობა და ა.შ. მათი ცალკეულ შემთხვევებში სწორად დასაბუთებულ გამოყენებას მივყავართ იქითკენ, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა იურისტის მიერ ანალოგიური შემთხვევის შეძლებისდაგვარად ერთნაირად ამოხსნა, რათა ამით მიღწეულ იქნეს სამართლის გამოყენების რაციონალურობა.

სისხლის სამართლის კანონის გამოყენების დროს მოსამართლემ არ უნდა დაუშვას შეცდომა და ბრალის არსებობის შემოწმებისა და დადგენის საკითხი ქმედების მართლწინააღმდეგობის შემოწმებისა და დადგენის წინ არ უნდა დააყენოს. ის, რომ დანაშაულის სისტემაში მართლწინააღმდეგობა ბრალის წინ დგას, არის უმნიშვნელოვანესი წესი. მართლწინააღმდეგობა არის ქმედების ობიექტური წინააღმდეგობა მართლწინააღმდეგობისადმი, ბრალი კი კონკრეტული პირის ინდივიდუალური გასაკიცხაობაა, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როცა დავადგენთ, რომ ქმედება ობიექტურად ეწინააღმდეგება სამართლისა და კულტურის ნორმებს.

სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების საფუძვლიანი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა თითოეული ცალკეული პრობლემა პრაქტი-

კაში ლოგიკურად თანმიმდევრულად და შინაარსობრივად სწორად იქნეს ამოხსნილი და დამუშავებული.

სისხლის სამართლის მასალის ინდუქციური მეთოდის გამოყენებით შესწავლა პრაქტიკოს იურისტს დაეხმარება სისტემური ცოდნიდან დედუქციური დასკვნების გაკეთებაში.

სამოსამართლეო საქმიანობის პროცესში შესწავლილი და გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო პრაქტიკა, განსაკუთრებით კი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, ასევე შიდასახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების პრაქტიკა სისხლის სამართლის პრობლემატიკაზე. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი მოსამართლეს დაეხმარება პრაქტიკული უნარჩვევების დახვეწაში და შესაძლებლობას მისცემს აქ მიღებული ცოდნა გამოიყენოს მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, რომელიც ასევე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

5. განსჯადობის საკითხის გადანყვეტა

უპირველესი საკითხი, რომელიც უნდა გადანყდეს პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვის დროს, არის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლიდან გამომდინარე განსჯადობის საკითხი. კანონისმიერი მოსამართლის უფლება კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტში: „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა მიმდინარეობს ე.წ. ტერიტორიალულობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც იმას ნიშნავს, რომ, სსსკ-ის 416-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმე პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ 48 საათის განმავლობაში განსჯადობის მიხედვით უნდა გა-

დაიგზავნოს სასამართლოში დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სსსკ-ის 48-ე მუხლი იცნობს განსჯადობის შესახებ საგამონაკლისო წესებს: თუ არსებობს დანაშაულთა ან ერთი დანაშაულის ეპიზოდთა ერთობლიობა, მაშინ სისხლის სამართლის საქმე განიხილება ყველაზე მძიმე დანაშაულის ან დანაშაულის ეპიზოდის ჩადენის ადგილის მიხედვით.

სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-7 ნაწილი შესაძლებლობას აძლევს პროკურორს, ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართოს შუამდგომლობით სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს წინასწარი გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით ან საქმეში მონაწილე დაზარალებულთა და მოწმეთა უმრავლესობის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ზემდგომ სასამართლოში იგულისხმება როგორც სააპელაციო სასამართლოს, ასევე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. თუ სხვა სასამართლოსათვის საქმის გადაცემა უნდა მოხდეს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, გადანყვეტილებას ღებულობს ამ სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო თუ საქმის გადაცემა ერთი რაიონიდან უნდა მოხდეს სხვა ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე, ამ საკითხზე გადანყვეტილებას იღებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან, 2005 წლის 23 ივნისის კანონით, ამოღებულ იქნა 48-ე მუხლის მე-8 ნაწილი: ამ ნორმიდან გამომდინარე, რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ერთი პირის ან პირთა ჯგუფის ბრალდების დროს, რომელთა საქმეებიც სხვადასხვა დონის სასამართლოთა განსჯადი იყო, ყველა დანაშაულის საქმეს განიხილავდა ამ სასამართლოებიდან უმაღლესი. ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოები მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სასამართლოებია, ამ ნორმის არსებობა არ იყო საჭირო.

ყველა შემოსულ სისხლის სამართლის საქმეზე საქმის განმხილველმა მოსამართლემ (საქმის კოლეგიური განხილვის დროს მომხსენებელმა მოსამართლემ) უნდა შეამოწმოს განსჯადობის საკითხი. თუ

მოსამართლე (სასამართლო) დაადგენს, რომ შემოსული საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მან დადგენილებით (განჩინებით) საქმე უნდა გადასცეს განსჯადობის მიხედვით. მოსამართლე (სასამართლო), რომელიც მიიღებს ასეთ საქმეს, უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად განისაზღვრა განსჯადობა საქმის მისთვის გამომგზავნი სასამართლოს (მოსამართლის) მიერ. თუ ის მივა დასკვნამდე, რომ საქმე მისი განსჯადია, განიხილავს მას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მას არავითარ შემთხვევაში არა აქვს უფლება, საქმე ისევ უკან დაუბრუნოს მისთვის ამ საქმის გამომგზავნი სასამართლოს. სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია დავა განსჯადობაზე, რის გამოც, თუ იგი მივა დასკვნამდე, რომ საქმე მისი განსჯადი არ არის და არასწორად იქნა გამოგზავნილი ეს საქმე მისთვის სხვა სასამართლოს მიერ, საქმე თავისი დადგენილებით (განჩინებით) უნდა გაუგზავნოს ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც თავისი დასაბუთებული დადგენილებით ლებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას. განსჯადობაზე შემდგომი დავის გაგრძელება არ დაიშვება. ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილებას ლებულობს სააპელაციო სასამართლოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, როცა განსჯადობაზე დავა მიმდინარეობს მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს შორის, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დავა მიმდინარეობს სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკის ან საოლქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს შორის, დავას წყვეტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

6. სამართალში მიცემა

სამართალში მიცემა პირველი ინსტანციის სასამართლო წარმოების სანყისი ეტაპია. ამასთან, იგი სავალდებულოა ყველა სისხლის სამართლის საქმეზე. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში სამართალში მიცემა არ ხდება. მთავარ სხდომაზე სასამართლო გამოძიებას წინ უნდა უძღოდეს განსასჯელის (განსასჯელთა) სამართალში

მიცემა. იგი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს საქმის განსახილველად მომზადებას სასამართლოს მთავარ სხდომაზე. სამართალში მიცემის სტადია არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის. მას შეუძლია თავიდან აგვაცილოს პროცესის ჩატარების რთული და შრომატევადი პროცედურა, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის ჩატარების კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოება. მაგალითად, თუ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს პროცესის ჩატარების ადრეულ სტადიაში. თუ ეს არ გაკეთდა წინასწარი გამოძიების დროს, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს სამართალში მიცემის სტადიაზე, რაც თავიდან აგვაცილებს პროცესის ჩატარებით გამოწვეულ შრომას და მართლმსაჯულების სწრაფ და ეფექტურ განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამით თავიდან იქნება აცილებული განსასჯელის, ადვოკატის, დაზარალებულის, მონმის, ექსპერტის, სპეციალისტის და პროცესის სხვა მონაწილის პროცესზე გამოძახებისა და წარმოდგენის პროცედურა. საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსამართლე (სასამართლო) პროცესის წარმოების ამ სტადიაზე არ წყვეტს პირის ბრალეულობის საკითხს, იგი მხოლოდ ადგენს, არსებობს თუ არა საკმაო საფუძველი სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვისათვის. თუ ასეთი საფუძველი არსებობს, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს განჩინება განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლომ მოახდინა ბრალდების დაშვება სასამართლოს მთავარ სხდომაზე სასამართლო გამოძიების ჩასატარებლად, სადაც შეიძლება დადასტურდეს ბრალდების თავდაპირველი ფორმულირება, რაც მოცემულია საბრალდებო დასკვნაში, ან დადგინდეს პირის უფრო ნაკლები ბრალი ან საერთოდ მოხდეს პირის გამართლება.

თუ ვიტყვი, რომ მოსამართლე (სასამართლო) პროცესის წარმოების ამ სტადიაზე საერთოდ არ ეხება პირის ბრალეულობის საკითხს, არ იქნება სწორი. მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა გამწესრიგებელ სხდომაზე ხდება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა სსსკ-ის 28-ე მუხლში მოცემული ერთ-ერთი საფუძველით, ასეთ შემთხვევაში მოსამართლე (სასამართლო) გვერდს ვერ აუვლის პირის ბრალეულო-

ბაზე მსჯელობას. სხვა საკითხია, თუ მოსამართლემ (სასამართლომ) მიიღო დადგენილება (განჩინება) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ, ასეთ შემთხვევაში სასამართლომ არ უნდა გააკეთოს ისეთი შეფასება, რომელიც დადგენილად მიიჩნევს პირის ბრალეულობას, ვინაიდან სამართალში მიცემის სტადიაზე არ ხდება სასამართლო გამოძიება მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპის საფუძველზე. სასამართლოს შეფასებები უნდა იყოს ისეთი, რომ საქმის განხილვის ამ ეტაპზე არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი და არსებობს სასამართლო გამოძიების ჩატარების წინაპირობები, ვინაიდან შეკრებილია საჭირო და საკმარისი მტკიცებულებები სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად. სამართალში მიცემის დადგენილებაში (განჩინებაში) არ შეიძლება იმის თქმა, რომ ბრალი უტყუარად არის დადასტურებული. სამართალში მიცემის სტადიაზე, მართალია, მოსამართლე აკეთებს სამართლებრივ შეფასებებს, მაგრამ ვინაიდან იგი არ წარმოადგენს პირის ბრალეულობის საბოლოო სამართლებრივ შეფასებას, მოსამართლეს, რომელმაც განსასჯელი მისცა სამართალში, უფლება აქვს განიხილოს სისხლის სამართლის საქმე არსებითად, სასამართლოს მთავარ სხდომაზე.

მნიშვნელოვანია სასამართლოს უფლებამოსილების სწორად განსაზღვრა სამართალში მიცემის სტადიაზე. საქმის განხილვის ეს ეტაპი წარმოადგენს ერთგვარ ფილტრს სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რის გამოც იგი არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საქმის განხილვის ამ ეტაპზე უნდა ხდებოდეს პირის ბრალეულობის სიღრმისეული შემოწმება იმ თვალსაზრისით, რომ ხომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ სახეზეა სსსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი, მაგალითად, „არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება“. კანონმდებელი საქმის განხილვის ამ ეტაპის შემოღებით მიზნად ისახავს ორი ამოცანის შესრულებას:

(1) არ მოხდეს გამოუძიებელი საქმის გამოგზავნა სასამართლო განხილვისათვის და თუ ასეთს ექნება ადგილი, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო

კოდექსში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილი ცვლილებიდან გამომდინარე, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება გამოძიების სრულყოფის მიზნით არ არის შესაძლებელი;

(2) მოხდეს სისხლის სამართალწარმოების გონივრულ ვადებში, რაც შეიძლება მალე დამთავრება.

გამოუძიებელი საქმის სასამართლოში გაგზავნის საშიშროება განსაკუთრებით იჩენს თავს იმის გამო, რომ საპროცესო კანონით შემცირებულია წინასწარი გამოძიების ვადები. სსკ-ის 162-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რომელიც ძალაში შედის 2006 წლის 1 იანვრიდან, ბრალდებულის პატიმრობის პირველადი ვადა განისაზღვრება 2 თვით, რომელიც გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი თვით, მაგრამ არა უმეტეს ორჯერ. იქვე კანონი მიუთითებს ამ ვადის გაგრძელების შესაძლებლობის შემთხვევებს:

ა) თუ პატიმრობის ვადის ამონურვის შემდეგ ბრალდებულმა დაარღვია მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება;

ბ) თუ მას უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა;

გ) საქმის სირთულის გამო;

დ) თუ პროცესის მონაწილენი ვერ ასწრებენ საქმის მასალების გაცნობას.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას შესაძლებელია ბრალდებულის პატიმრობის ვადის გაგრძელება კიდევ 60 დღემდე. ამ ვადის ამონურვისთანავე ბრალდებული დაუყოვნებლივ თავისუფლდება პატიმრობიდან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2005 წლის 25 მარტის ცვლილებამდე, მოსამართლე (სასამართლო) ახდენდა ბრალდებულის სამართალში მიცემას და მხოლოდ სამართალში მიცემის დადგენილებით (განჩინებით) ლებულობდა იგი განსასჯელის სტატუსს. თუ 44-ე მუხლის 25-ე ნაწილის მიხედვით, განსასჯელი იყო „ბრალდებული, რომელიც მიცემულია სამართალში“, ახალი ცვლილებით, განსასჯელი არის „ბრალდებული, რომლის მიმართ საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ საქმე არსებითად განსახილველად ჩაბარდა სასამართლოს განსჯადობის მიხედვით“.

განსასჯელის სამართალში მიცემა ხდება ორიდან ერთ-ერთი ფორმით:

(1) ზეპირი მოსმენის გარეშე, როდესაც არ ხდება მხარეთა მოწვევა და სასამართლო სხდომის ჩატარება ან

(2) ზეპირი მოსმენით, გამწესრიგებელ სხდომაზე მხარეთა მოწვევითა და მონაწილეობით.

პირველ შემთხვევაში, განსასჯელის სამართალში მიცემა გამწესრიგებელი სხდომის გარეშე ხდება როგორც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ერთპიროვნული მოსამართლის მიერ, ასევე პირველი ინსტანციით საქმის კოლეგიურად განმხილველი სასამართლოს მიერ და ეს არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. მართალია, საკითხის კოლეგიურად განხილვის დროს არ ტარდება საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მოსამართლეებს არ შეუძლიათ ჩაატარონ სხდომა და გადაწყვიტონ სამართალში მიცემის საკითხი. მართალია, საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს ზეპირი მოსმენის გარეშე სამართალში მიცემის საკითხის განხილვის სასამართლო პროცედურას, მაგრამ საპროცესო კანონი არ არის დახურული სისტემა, რომელშიც ყველანაირი პროცედურა უნდა იყოს დეტალურად აღწერილი. კანონი არეგულირებს გამწესრიგებელი სხდომის მოწვევის წესს, ხოლო რაც შეეხება ზეპირი მოსმენის გარეშე სამართალში მიცემის პროცედურას, ეს მთლიანად მოსამართლის (მოსამართლეთა) გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული: მათ შეუძლიათ შეიკრიბონ სხდომაზე, მოისმინონ მომხსენებელი მოსამართლის ინფორმაცია და მხარეთა მონაწილეობის გარეშე გადაწყვიტონ სამართალში მიცემის საკითხი ან გაეცნონ საქმის მასალებს დამოუკიდებლად და სხდომის მოწვევის გარეშე შეთანხმდნენ სამართალში მიცემის საკითხზე. სხვა ზოგიერთი ქვეყნის პროცესისაგან განსხვავებით, მოსამართლე, სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალურად, სამუშაო კაბინეტში ვერ დაიბარებს ამა თუ იმ მხარეს (მხარეებს), მისთვის საინტერესო საკითხის გასარკვევად. ჩვენი საპროცესო კანონიდან გამომდინარე, მხარესთან შეხვედრა შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის მოწვევით. თუ მოსამართლე (მოსამართლეები) მივლენ დასკვნამდე, რომ მოწვეული უნდა იქნეს გამწესრიგებელი სხდომა, ამაზე ლებულობენ გადაწყვეტილებას. თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი კოლეგიალური სასამართლო განხილვის დროს, კანონით არ არის გადაწყვეტილი: მოსამართლეები უნდა შეთანხმდნენ ამ საკითხზე. საჭიროა საკითხის გადაწყვეტა ხმების უმრავლესობით, თუ გამწესრიგებელი სხდომის მოწვევისათვის

საკმარისია თუნდაც ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი გამ-
ნესრიგებელი სხდომის მოწვევის სასარგებლოდ? სამართლებრივად
ეს უკანასკნელი პოზიცია უფრო სწორი იქნება, ვინაიდან აუცილებე-
ლია გამნესრიგებელი სხდომის განჩინებაზე ყველა მოსამართლის
თანხმობა (ხელმოწერა) ანუ კონსენსუსი (consensus omnium). მართა-
ლია, ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული საპროცესო კანონ-
ში, მაგრამ სსსკ-ის 317-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი გვაძ-
ლევს ასეთი ინტერპრეტაციის საშუალებას.

მოსამართლეს (სასამართლოს) ყოველთვის შეუძლია სამართალში
მიცემის საკითხი გადაწყვიტოს გამნესრიგებელი სხდომის მოწვევის
გზით, თუ იგი არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, თუმცა ის არ
არის ვალდებული გააკეთოს ეს, თუ ამას არ ჩათვლის მიზანშეწონი-
ლად. გამნესრიგებელი სხდომის მოწვევა იმ შემთხვევაში, როცა მოსა-
მართლეს სადავოდ მიაჩნია საბრალდებო დასკვნის ესათუის მომენ-
ტი, არ ნიშნავს იმას, რომ გამნესრიგებელი სხდომის ჩატარების შემ-
დეგ ეს მოსამართლე მაინცდამაინც განსხვავებულ აზრზე უნდა დარ-
ჩეს და შეიცვალოს ბრალდების ფორმულირება ან მიღებული იქნეს
საბრალდებო დასკვნისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება. პირი-
ქით, გამნესრიგებელ სხდომაზე მხარეთა მოსმენის შემდეგ შეიძლება
მოხდეს ბრალდების დაშვება მასში ყოველგვარი ცვლილებების შე-
ტანის გარეშე.

საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლი ითვალისწინებს სავალდებულო
შემთხვევებს, როცა სასამართლო გამნესრიგებელი სხდომის მოწვევა
და მხარეთა მოსმენა განსასჯელის სამართალში მიცემის საკითხის
გადანწყვეტის დროს აუცილებელია. ეს წესი 2005 წლის 25 მარტის
კანონით და შემდგომი კანონებით არ შეცვლილა. ასეთი შემთხვევე-
ბია:

- 1) არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეები;
- 2) იმ დანაშაულის საქმეები, რომლისთვისაც სისხლის სამართლის
კანონი ითვალისწინებს 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფ-
ლების აღკვეთას;
- 3) როცა მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას;
- 4) როცა მხარისგან (მხარეებისგან) შემოსულია შუამდგომლობა
(შუამდგომლობები) დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის,

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, სამოქალაქო სარჩელისა და მისი უზრუნველყოფის ზომების შესახებ.

გამწესრიგებელი სხდომის მოწვევის მეოთხე საფუძვლის დასახელების დროს კანონი უთითებს აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ შეცვლის შესახებ და არაფერს ამბობს მისი შერჩევის ან გაუქმების თაობაზე. საქმის განხილვის ამ ეტაპზე ხომ შეიძლება დადგეს აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ან გაუქმების საკითხი. რატომ არ უნდა შეიძლებოდეს ამ საკითხზე შუამდგომლობის დაყენება მხარის მიერ?

სხვათა შორის, 2005 წლის 25 მარტის ცვლილებით 162-ე მუხლის მე-10 ნაწილში ჩაინერა, რომ მოსამართლე განსასჯელის სამართალში მიცემამდე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, მოცემული შუამდგომლობის აღძვრიდან 48 საათში, იხილავს განსასჯელისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხს. აქაც მითითებულია, მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ის, რომ მოსამართლეს (სასამართლოს) გამწესრიგებელ სხდომაზე გამოაქვს დადგენილება (განჩინება) ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. ასევე, შესაძლებელია, საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება, საქმის წარმოებით შეწყვეტა, საქმის წარმოების შეჩერება, საქმის განსჯადობით წარმართვა. ასევე წყდება საკითხი აღკვეთის ღონისძიების შესახებ. ბრალდებულის სამართალში მიცემის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამწესრიგებელ სხდომაზე საბრალდებო დასკვნიდან გამორიცხოს ბრალდების ცალკეული პუნქტი (მაგალითად, შეუძლია განსასჯელს მოუხსნას ბრალად შერაცხული ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორიცაა: განსაკუთრებული სისასტიკე, მნიშვნელოვანი ზიანი და ა.შ.) ან გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ (მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობიდან გადავიდეს ძარცვის შემადგენლობაზე, ან ძარცვის შემადგენლობიდან – ქურდობის შემადგენლობაზე), ამასთან, შეიძლება შემცირდეს, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს ბრალდების ფაქტობრივი გარემოებების ფორმულირება.

ქმედების სამართლებრივი შეფასების შეცვლა გამწესრიგებელ სხდომაზე განსასჯელის სამართალში მიცემის დროს შესაძლებელია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ ბრალდების კვალი-

ფიკაციის ასეთი შეცვლა შეიძლება მხოლოდ განსასჯელის სასარგებლოდ, ამასთან, იგი დიდ ყურადღებას მოითხოვს, რამეთუ კვალიფიკაციის შეცვლას აქვს სამართლებრივი შედეგები განაჩენის გამოტანის დროს: იმ შემთხვევაშიც, როცა სასამართლო გამოძიების დროს გამოვლინდება, რომ ჩადენილი ქმედების თავდაპირველი, საბრალდებო დასკვნაში მოცემული კვალიფიკაცია სწორია, სასამართლოს არა აქვს უფლება, იმაზე მკაცრად დასაჯოს განსასჯელი, ვიდრე იგი სამართალში იქნა მიცემული. აღნიშნული გამომდინარეობს სსსკ-ის 450-ე მუხლიდან, რომელიც განსაზღვრავს ბრალდების მოცულობის ფარგლებს. აქედან გამომდინარე, ბრალდების სამართლებრივი კვალიფიკაციის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ არ უნდა მიიღოს ნაჩქარევი გადაწყვეტილება, რადგან საქმის განხილვის ამ ეტაპზე დაშვებული შეცდომა არ შეიძლება შეიცვალოს სასამართლოს მთავარ სხდომაზე და არც სააპელაციო და საკასაციო განხილვის გზით.

როგორც ვხედავთ, პირის სამართალში მიცემა ზეპირი მოსმენის გარეშე ხდება იმ შემთხვევაში, როცა ბრალდების დაშვება სასამართლოს მიერ ხდება მთლიანად, მასში ყოველგვარი ცვლილების შეტანის გარეშე, ხოლო თუ მოსამართლე ფიქრობს ცვლილება შეიტანოს საბრალდებო დასკვნის ბრალდების ფორმულირებაში, მან აუცილებლად უნდა მოიწვიოს გამწესრიგებელი სხდომა. სამართალში მიცემის სტადიაზე ბრალდების დამძიმება არ დაიშვება. თუ მოსამართლემ გამწესრიგებელ სხდომაზე შეცვალა ბრალდების ფორმულირება განსასჯელის სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სსსკ-ის 450-ე მუხლით გათვალისწინებული წესი: „საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ“.

კანონი ადგენს სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის ვადებს. სამართალში მიცემის საკითხი მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა გადაწყვიტოს არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე — არა უგვიანეს ერთი თვისა მის წარმოებაში არსებულ ბოლო საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან. ასევე

კანონით დადგენილია სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განხილვის დაწყების ვადა. სასამართლო განხილვა უნდა დაიწყოს სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე – არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა.

საპროცესო კოდექსი ახდენს სისხლის სამართლის საქმეთა დაყოფას მარტივ და რთულ საქმეებად და მათთვის აწესებს განსხვავებულ ვადებს არა მარტო სამართალში მიცემის სტადიაზე, არამედ აგრეთვე საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დროს, მაგალითად, 514-ე მუხლის თანახმად, განაჩენის ასლი გადაეცემა მსჯავრდებულს, გამართლებულს, ასევე პროცესის სხვა მონაწილეს მისი მოთხოვნით, გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 დღე-ღამისა, ხოლო რთულ, მრავალტომიან ან მრავალი პირის საქმეზე – არაუგვიანეს 14 დღე-ღამისა. საპროცესო კანონი არ განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც საქმე შეიძლება მიეკუთვნოს რთულ კატეგორიას. აქ უფრო მეტად სუბიექტურ-შეფასებითი მომენტები დგას წინა პლანზე, თუმცა იგი უნდა ემყარებოდეს ობიექტურ-რეალურ კრიტერიუმებს, მაგალითად, ერთტომიანი საქმე, რომელსაც ჰყავს ერთი განსასჯელი და ეხება 0,5 გრამი ჰეროინის შეძენა-შენახვას, სასამართლო ვერ ჩათვლის რთული კატეგორიის საქმედ. ასევე მკვლელობის საქმე, რომელსაც ჰყავს ერთი განსასჯელი და ორი მონმე ასევე არ ჩაითვლება რთულ კატეგორიას მიკუთვნებულ საქმედ.

გამნესრიგებელ სხდომაზე მოსამართლის (სასამართლოს) მიერ საქმის განხილვას სავალდებულო წესით ესწრება პროკურორი. პროცესის სხვა მონაწილეებს უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ გამნესრიგებელ სხდომაში. ბრალდებულის უფლებებში (76-ე მუხლის მე-3 ნაწილი), ასევე დამცველის უფლებებში (84-ე მუხლის მე-3 ნაწილი), დაზარალებულისა და მისი უფლებამონაცვლის უფლებებში (69-ე მუხლი) მოცემულია სამართალში მიცემის სტადიაზე საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ. მართალია, სამართალში მიცემის თავში ამის შესახებ არ არის მითითებული, მაგრამ იგულისხმება, რომ მხარეებს უნდა ეცნობოთ სამართალში მიცემის დროისა და ადგილის შესახებ, რათა მათ მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება პროცესში მონაწილეობის მოსამზადებლად. უფლების რეალიზაცია

შეუძლებელია ამის შესახებ მხარეებისათვის შეტყობინების გარეშე. მხარეთა არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა, გარდა პროკურორის გამოუცხადებლობისა, ასევე სავალდებულო დაცვის შემთხვევებში ადვოკატის გამოუცხადებლობისა, ხელს არ შეუშლის გამნესრიგებელი სხდომის ჩატარებას. სხდომის ჩატარების გადადება შესაძლებელია, თუ ეს ხელს არ შეუწყობს პროცესის არაგონივრულ ვადებში გაჭიანურებას და თუ პროცესზე მხარეთა გამოუცხადებლობა შეგნებულად არ არის მიმართული პროცესის უმიზეზოდ გაჭიანურებისაკენ.

გამნესრიგებელ სხდომაზე არ ტარდება სასამართლო გამოძიება პირის ბრალეულობის ან მისი უდანაშაულობის დასადგენად, რის გამოც არ დაიშვება მონმეებისა და ექსპერტების გამოძახება. თუმცა განსასჯელის სამართალში მიცემასთან ერთად შესაძლებელია დამატებითი მტკიცებულების მოპოვების მიზნით ექსპერტიზის დანიშვნა, რათა სასამართლოს მთავარი სხდომისათვის დროულად მოხდეს ასეთი ექსპერტიზის ჩატარება და ამ გზით ახალი მტკიცებულების მოპოვება.

გამნესრიგებელი სხდომის ოქმის წარმოება სხდომის მდივნის მიერ სავალდებულოა, რა დროსაც დაცული უნდა იყოს სსსკ-ის 454-ე მუხლის მოთხოვნები.

სამართალში მისაცემად გამნესრიგებელი სხდომის ჩატარების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მხარეთა მიერ შუამდგომლობების წარმოდგენა, რომელიც მოსამართლემ (სასამართლომ) აუცილებლად უნდა განიხილოს და მასზე დადგენილებით (განჩინებით) უნდა გასცეს დასაბუთებული პასუხი. ასეთი შუამდგომლობა შეიძლება შეეხებოდეს: დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვას, აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, სამოქალაქო სარჩელს და მისი უზრუნველყოფის ზომებს. თუ შუამდგომლობის განმცხადებელი პირი მოითხოვს, მოსამართლე (სასამართლო) ვალდებულია განმარტების მისაცემად დაიბაროს იგი. შუამდგომლობის გადაწყვეტის შედეგი ყველა შემთხვევაში ეცნობება შუამდგომლობის განმცხადებელ პირს. თუ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, იგი გასაჩივრებას არ ექვემდებარება, თუმცა მხარეს მთავარ სასამართლო სხდომაზე კვლავ შეუძლია დააყენოს იგივე შუამდგომლობა. მოსამართლეს უფლება არა აქვს, სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხელმეორედ დაყენებული იგივე შუამდგომლობა იმ მოტივით უარყოს ან არ განიხილოს, რომ იგი ერთხელ უკვე იყო განხილული და არ დაკმაყოფილდა გამნესრიგებელ სხდომაზე.

გამწესრიგებელი სხდომის ჩატარების წესი ასეთია:

სასამართლო შემადგენლობის, სხდომის მდივნის გამოცხადების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე არკვევს, თუ ვინ გამოცხადდა გამწესრიგებელ სხდომაზე, ასევე არკვევს გამოუცხადებლობის მიზეზებს. აცილებისა და თვითაცილების საკითხის გადანყვეტის შემდეგ, საქმის განხილვა იწყება სხდომის თავმჯდომარის მოხსენებით განსახილველი საქმის შესახებ. შემდეგ სასამართლო მოუსმენს პროკურორს, რომელიც სავალდებულო წესით მონაწილეობს პროცესში. ამის შემდეგ კი სიტყვა ეძლევათ სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულ პროცესის სხვა მონაწილეებს. გამწესრიგებელ სხდომაზე შუამდგომლობების დაყენების შემდეგ აუცილებელია, სასამართლო მოისმინოს პროკურორის დასკვნა ამ შუამდგომლობების თაობაზე. შემდეგ სასამართლოს სათათბირო ოთახში, ხოლო მოსამართლეს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში გამოაქვს დადგენილება (განჩინება).

მოსამართლის (სასამართლოს) მიერ სამართალში მიცემის სტადიაზე მიღებული გადანყვეტილება შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, რომელსაც ქვემოთ შევხებით.

დადგენილება (განჩინება) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ მიიღება როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე გამწესრიგებელ სხდომაზე. მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი გამოტანის დრო და ადგილი; დასკვნა იმის შესახებ, რომ არსებობს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკმაო მონაცემები; სამართალში მიცემული პირის (პირების) ზუსტი მონაცემები; ბრალად შერაცხულ ქმედების (ქმედებათა) სამართლებრივი კვალიფიკაცია – მუხლის (მუხლების), ნაწილის (ნაწილებისა) და ქვეპუნქტის (ქვეპუნქტების) მითითებით; გადანყვეტილებები შემოსულ შუამდგომლობათა შესახებ და სასამართლო სხდომის მომზადების თაობაზე.

დადგენილება (განჩინება) ბრალდებულის მოძებნამდე სისხლის-სამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ სასამართლოს სამართალში მიცემის სტადიაზე გამოაქვს იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს, რომ განსასჯელი მიიმალა და მისი ადგილსამყოფელი უცნობია, ასევე – ბრალდებულის ფსიქიკური ან სხვა მძიმე ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში, მის გამოჯამრთელებამდე.

თუ სასამართლო სარწმუნო ინფორმაციაზე დაყრდნობით დაად-

გენს, რომ განსასჯელი საზღვარგარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერება არ ხდება. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი ან რეკეტირია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას, საქმის წარმოება არ ჩერდება.

სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლე (სასამართლო) როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ისევე გამწესრიგებული სხდომის ჩატარების დროს ახდენს შემდეგი საკითხების შემოწმებას თითოეული განსასჯელის მიმართ:

- 1) სასამართლო განსჯადობა;
- 2) დანაშაულის ნიშნების არსებობა;
- 3) ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაცია;
- 4) გარემოებები, რომლებიც ინვევენ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან შეჩერებას;

5) საჭირო მტკიცებულებები სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად;

6) წინასწარი გამოძიების დროს საპროცესო კანონის შესაძლო დარღვევა;

7) საბრალდებო დასკვნის შედგენის დროს 414-ე მუხლის მოთხოვნების დაცვა;

8) ალკეეთის ღონისძიების შერჩევის სისწორე;

9) სამოქალაქო სარჩელის ან შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები;

10) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მხარის შუამდგომლობა.

განსასჯელის სამართალში მიცემასთან ერთად მოსამართლე (სასამართლო) ღებულობს ზომებს მთავარი სასამართლო სხდომის მომზადების თაობაზე. სამართალში მიცემასთან ერთად ამ ეტაპზე უნდა გადაწყდეს შემდეგი საკითხები:

1) იძულებითი დაცვის შემთხვევაში განსასჯელი მთავარ სასამართლო სხდომაზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის უფლებით;

2) დაზარალებული ცნობილ უნდა იქნეს სამოქალაქო მოსარჩელედ, თუ სარჩელი წინასწარი გამოძიებისას არ წარდგენილა;

3) მიღებულ უნდა იქნეს სამოქალაქო სარჩელის ან საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები;

4) მიღებულ უნდა იქნეს ზომები დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის, მოპასუხის, მათი წარმომადგენლების, მონმის, ექსპერტის, სპეციალისტის მთავარ სასამართლო სხდომაზე დასაბარებლად;

5) დამატებით მტკიცებულებათა გამოთხოვა;

6) სსსკ-ის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილვის საკითხის გადაწყვეტა;

7) სხდომის დროისა და ადგილის განსაზღვრა;

8) თარჯიმნის დაბარება.

გამწესრიგებელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახეა: განჩინება (დადგენილება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ. ამ საკითხს არეგულირებს სსსკ-ის 426-ე მუხლი, რომელმაც რადიკალური ცვლილება განიცადა 2005 წლის 25 მარტს კანონით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

2005 წლის 25 მარტის კანონის მიღებამდე გამწესრიგებელი სხდომიდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ცვლილებამდე. დღეის მდგომარეობით საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება შეიძლება მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ პროკურორი შუამდგომლობს ბრალდებულისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას. შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. სასამართლომ შეიძლება არ გაიზიაროს პროკურორის შუამდგომლობა და არ დააბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. საქმის პროკურატურისათვის დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაბრუნების შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია მიუთითოს დაბრუნების საფუძველი, თუ რატომ ჩათვალა პროკურორის შუამდგომლობა დასაბუთებულად და რა საფუძველზე უნდა მოხდეს მსჯავრდებულისათვის ბრალის დამძიმება დამატებითი გამოძიების მიერ. საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას მოსამართლე (სასამართლო) ყველა შემთხვევაში ვალდებულია, გადაწყვიტოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხი.

2005 წლის 25 მარტის კანონის ამოქმედებამდე შესაძლებელი იყო საქმის დაბრუნება დამატებით გამოძიებაში სხვადასხვა საფუძველით,

რაც მეტისმეტად აჭიანურებდა სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობას. გამწესრიგებელი სხდომიდან, ისევე როგორც პროცესის ნებისმიერ გვიან სტადიაზე, შესაძლებელი იყო საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება დაზარალებულის ან მისი უფლებამონაცვლის დასაბუთებული შუამდგომლობით ბრალდებულისათვის უფრო მძიმე ბრალდების ან ისეთი ბრალდების წაყენების მოთხოვნით, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა პირველი ბრალდებისაგან ანდა ითვალისწინებდა ბრალდებულად სხვა პირის ჩაბმას.

2005 წლის 25 მარტის ცვლილებით ბრალდებულს ჩამოერთვა უფლებამოსილება, რომ არ დაეთანხმოს სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წაყენებულ ბრალდებას. ბრალდების ბატონ-პატრონი მთლიანად ხდება პროკურატურა. მხოლოდ მას შეუძლია განსაზღვროს ბრალდების მოცულობა და ფარგლები. დაზარალებულს არა აქვს უფლება, მოითხოვოს მისი გაზრდა. არც სასამართლო არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით დააყენოს ბრალდების მოცულობის ან ფარგლების გაზრდის საკითხი. სასამართლოს, მათ შორის გამწესრიგებელ სხდომაზე, შეუძლია, შეამციროს ბრალდების მოცულობა და ფარგლები ან სხვაგვარად გააუმჯობესოს განსასჯელის მდგომარეობა.

დადგენილება (განჩინება) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ წარმოადგენს გამწესრიგებელი სხდომის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებას. სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა გამწესრიგებელ სხდომაზე შეიძლება სსსკ-ის 28-ე მუხლით დადგენილი ნებისმიერი საფუძვლით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო აუქმებს გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებას. სსსკ-ის 28-ე მუხლში მოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესაძლებლობა მარეაბილიტირებელი და არამარეაბილიტირებელი საფუძვლებით. მარეაბილიტირებელი საფუძვლების ჩამონათვალი მოცემულია სსსკ-ის 219-ე მუხლში. გამწესრიგებელ სხდომაზე საქმის შეწყვეტის დროს გამოიყენება სსსკ-ის 28-ე მუხლის მე-6 ნაწილში მოცემული წესი. კერძოდ, დაუშვებელია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა არამარეაბილიტირებელი საფუძვლით, თუ ბრალდებული (განსასჯელი) ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენით და განსასჯელის სასჯელისაგან გათავისუფლებით.

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს სასამართლო აუქმებს აგრეთვე სამოქალაქო სარჩელისა და შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომებს და წყვეტს ნივთიერი მტკიცებულებების საკითხს.

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილების (განჩინების) მხარეების მიერ გასაჩივრებას მხოლოდ ორ შემთხვევაში: თუ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების (სსსკ-ის 426-ე მუხლი) ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის (სსსკ-ის 427-ე მუხლი) თაობაზე.

გასაჩივრების ვადა კვლავაც დარჩა 5 დღე. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის გადაწყვეტილება საჩივრდება შესაბამისი სააპელაციო სასამართლოების სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში.

სამართალში მიცემის სტადიაზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების პროცედურა ასეთი:

სასამართლოში შემოსული ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმე რეგისტრირდება სასამართლოს კანცელარიაში და მასზე აღინიშნება სასამართლოში შესვლის ზუსტი თარიღი. ამ მომენტის დაცვას განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს იმ საქმეებზე, რომელშიც ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს წინასწარი პატიმრობა. სწორედ სასამართლოში შესვლის დღიდან იწყება სასამართლო პატიმრობის ვადის ათვლა. საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს მოსამართლეს, ხოლო საქმის კოლეგიალური განხილვის დროს მომხსენებელ მოსამართლეს. აუცილებელია, რომ საქმის გადაცემა მოსამართლისათვის მოხდეს რიგითობის პრინციპის დაცვით, რომ ამით დაცული იქნეს კანონისმიერი მოსამართლის პრინციპი. მოსამართლის მხრიდან არაავითარი პირადი ან სხვაგვარი სუბიექტური დაინტერესება არ შეიძლება გათვალისწინებული იქნეს მოსამართლისათვის საქმის გადაცემის მომენტში, არამედ გადაცემა უნდა იყოს დაფუძნებული მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნეს მოსამართლის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და ობიექტურობა. თუ მოსამართლეს არ შეუძლია განიხილოს ესა თუ ის სისხლის სამართლის საქმე,

ვინაიდან არსებობს აცილების საფუძველი ან პროცესში მონაწილეობის გამომრიცხველი გარემოება, ამის შესახებ მოსამართლემ უნდა განაცხადოს რაც შეიძლება მალე, რომ ამით თავიდან იქნეს აცილებული საქმის განხილვის გაჭიანურება. თვითაცილების შემდეგ საქმე რიგითობის მიხედვით გადაეცემა სხვა მოსამართლეს. თუ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ვერცერთი მოსამართლე ვერ ღებულობს მონაწილეობას საქმის განხილვაში, ასეთ შემთხვევაში საქმე, სსსკ-ის 108-ე მუხლის მე-11 ნაწილის შესაბამისად, იმავე დონის სხვა სასამართლოში წარმართვის საკითხის გადასაწყვეტად გადაეცემა შესაბამისი საოლქო სასამართლოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც საქმის შემოსვლიდან 5 დღის განმავლობაში წყვეტს აღნიშნულ საკითხს. იგივე პროცედურას ითვალისწინებს ამავე მუხლის მე-12 ნაწილი, როცა საკითხი ეხება საოლქო სასამართლოს ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას ღებულობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე..

ვინაიდან მოსამართლეს წარმოებაში აქვს სხვა საქმეებიც, იგი ახალი საქმის მიღებისთანავე ვერ დაიწყებს მის განხილვას. სამართალში მიცემის კანონით განსაზღვრული ვადის დადგომის დროისათვის მომხსენებელი მოსამართლე, რომელიც თავმჯდომარეობს გამწესრიგებელ სხდომას, სწავლობს საქმის მასალებს. გამწესრიგებელი სხდომა შეიძლება ჩატარდეს გამარტივებული პროცედურით, რომელიც იყოფა ძირითად და დამატებით ნაწილებად. დამატებითი ნაწილი ეთმობა მხარეთა შუამდგომლობების განხილვას, თუ ასეთი წარმოდგენილი იქნა სხდომამდე ან სხდომის პროცესში.

სხდომის თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას განსახილველი საქმის შესახებ. კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რა საკითხებს უნდა შეეხოს მომხსენებელი მოსამართლე თავის გამოსვლაში. იგულისხმება, რომ მომხსენებელმა მოსამართლემ თითოეული განსასჯელის მიმართ ცალ-ცალკე უნდა ისაუბროს სამართალში მიცემის დროს გამოსარკვევ საკითხებზე, რაც ჩამოთვლილია სსსკ-ის 424-ე მუხლში. მომხსენებელი მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეეხოს სისხლის სამართლის საქმის არსს და უნდა დაასახლოს გამწესრიგებელი სხდომის მონვევის საფუძველი (განსასჯელის არასრულწლოვანება; დანაშაულის სიმძიმე; საბრალდებო დასკვნის არდა-

თანხმება და ა.შ.). თუ გამწესრიგებელ სხდომაზე მხარის (მხარეების) მიერ წარმოდგენილია შუამდგომლობა (შუამდგომლობები) სსსკ-ის 422-ე მუხლის შესაბამისად, მომხსენებელმა მოსამართლემ ეს შუამდგომლობა უნდა გააცნოს პროცესის მონაწილეებს. თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, მან ამის შესახებ თავისი მოსაზრება უნდა წარმოადგინოს სასამართლო პროცესზე. საბრალდებო დასკვნას შეიძლება არ ეთანხმებოდეს არა მომხსენებელი მოსამართლე, არამედ შემადგენლობის სხვა წევრი, რაც შეიძლება იყოს სამართალში მიცემის საკითხის გამწესრიგებელ სხდომაზე განხილვის საფუძველი. მართალია, კანონი მიუთითებს, რომ მოსამართლე არ უნდა შეეხოს ბრალეულობის საკითხს, მაგრამ ეს პირობითია. მაგალითად, როდესაც ხდება ქმედების კვალიფიკაციის შეცვლა, ეს გარკვეულწილად ნიშნავს პირის ბრალეულობაზე აზრის გამოთქმას. მთავარია, რომ ეს არ არის საბოლოო აზრი, რადგან იგი შეიძლება შეიცვალოს სასამართლო გამოძიებისა და მხარეთა კამათის შემდეგ, მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის შედეგად.

ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული განჩინება (დადგენილება) სამართალში მიცემის შესახებ, ისევე როგორც გამწესრიგებელი სხდომის იგივე განჩინება (დადგენილება) შინაარსობრივად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაშინ როდესაც პირის სამართალში მიცემა შეიძლება როგორც ზეპირი მოსმენის გარეშე, ასევე ზეპირი მოსმენით გამწესრიგებელ სხდომაზე, ყველა სხვა შემთხვევაში, როცა განსასჯელის სამართალში მიცემა არ ხდება, გადანყვეტილების მიღება ხდება გამწესრიგებელ სხდომაზე.

მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

სამართალში მიცემის სტადიაზე გადანყვეტილების მიღების დროს მოსამართლემ (სასამართლო) უნდა გამოარკვიოს და გადანყვიტოს მთელი რიგი საკითხები. ამ დროს მან უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 224-ე მუხლით. კანონის მოთხოვნაა, რომ პირთა ჯგუფის შემთხვევაში, სასამართლო ინდივიდუალურად მიუდგეს ყველა განსასჯელს და სამართალში მიცემის სტადიაზე გამოსარკვევი საკითხები მათ მიმართ უნდა გამოარკვიოს ცალ-ცალკე. საკითხთა წრე, რომლის გარკვევაც სასამართლოს აუცილებლად ევალება, არის შემდეგი:

1) საქმის სასამართლო განსჯადობა. უნდა დადგინდეს, რომ მოცემული საქმე ამ სასამართლოს განსჯადია. ეს საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დანაშაულთა ერთობლიობისა და პირთა ჯგუფის შემთხვევაში. ასევე დენად, განგრძობად დანაშაულებზე. კარგად უნდა შემონმდეს დანაშაულის ჩადენის ადგილი. მრავალეპიზოდთან, რამდენიმე პირის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა საქმეებზე უნდა დადგინდეს, თუ სად არის ჩადენილი ყველაზე მძიმე დანაშაული ან დანაშაულის ეპიზოდი. განსჯადობის საკითხის უშეცდომოდ გადაწყვეტას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შეცდომის დაშვების შემთხვევაში საქმე უნდა დაბრუნდეს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის. თუ სამართალში მიცემის სტადიაზე დადგინდა, რომ საქმე არ არის ამ სასამართლოს განსჯადი, მაშინ საქმის შემდგომი განხილვა და სხვა საკითხების გამორკვევა არ ხდება, არამედ საქმე განჩინებით (დადგენილებით) იგზავნება განსჯადობის მიხედვით (სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-9 ნაწილი). დავა განსჯადობაზე სისხლის სამართლის პროცესში დაიშვება (იხ. სსსკ-ის 48-ე მუხლის მე-10 ნაწილი).

2) ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაყება, წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას. აქ, უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ უნდა დაადგინოს ქმედების შემადგენლობის არსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა დადგინდეს, საბრალდებო დასკვნაში აღწერილი ბრალდების ფაბულა წარმოადგენს თუ არა სისხლის სამართლის კანონით დასჯად ქმედებას თუ პირი თავისი მოქმედებით იმყოფება ე.წ. სისხლის სამართლისაგან თავისუფალ ზონაში. ასევე უნდა დადგინდეს, არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო (ხომ არა გვაქვს სახეზე ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაგალითად, აუცილებელი მოგერიება) და არის თუ არა პირი ბრალეული (ხომ არა გვაქვს სახეზე ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება, მაგალითად, შეურაცხაობა ასაკისა გამო). სამართალში მიცემის სტადიაზე თუ სასამართლო დაადგენს დანაშაულის ნიშნების არარსებობას, მაშინ სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს სსსკ-ის 28-ე მუხლის ერთ-ერთი შესაბამისი ქვეპუნქტით და სისხლის სამართლის პროცესი უნდა დამთავრდეს. ბრალის

არსებობის დადგენა სამართალში მიცემის სტადიაზე არ ნიშნავს იმას, რომ პირის ქმედება ბრალეულია. ეს არის მხოლოდ ვარაუდი იმისა, რომ სასამართლო გამოძიების დროს პირის ბრალეულობა უტყუარად დადასტუტდება, თუმცა სასამართლო გამოძიებით შეიძლება უარყოფილ იქნეს კიდევ პირის ბრალეულობა, ვინაიდან ბრალდებულმა, რომელიც აღიარებდა დანაშაულის ჩადენას, შეიძლება უარყოს წინათ მიცემული აღიარება ან დანაშაულის თვითმხილველმა მოწმემ, დაზარალებულმა სარწმუნოდ შეცვალოს წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება. 2005 წლის 25 მარტის კანონით შეიცვალა სსსკ-ის 477-ე მუხლის შინაარსი, რაც მოსამართლეს საშუალებას არ აძლევს კრიტიკულად შეაფასოს ბრალდებულის მიერ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებებს შორის წინააღმდეგობები. თუ ბრალდებული წინააღმდეგია, მის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე წაკითხვა, ასევე მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. ასევე შეცვლილია მოწმის მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების გამოყენების წესი, რაზედაც ქვემოთ გავამახვილებთ ყურადღებას.

3) სწორია თუ არა საბრალდებო დასკვნაში გაკეთებული ქმედების სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია). სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, ამ საკითხის შემონმების დროს სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 417-ე მუხლის მე-3 ნაწილით. გამწესრიგებელ სხდომაზე სამართალში მიცემის დროს სასამართლოს შეუძლია ბრალდების მოცულობის შემცირება, კერძოდ, ბრალდების ფორმულირებიდან შეიძლება ამოირიცხოს ბრალდების ცალკეული ეპიზოდი, პუნქტი ან ქმედება გადააკვალიფიციროს უფრო ნაკლებად მძიმე ნორმაზე.

4) ხომ არ არის საქმის შეწყვეტის ან შეჩერების საფუძველი.

5) შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებები მთავარ სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად.

6) წინასწარი გამოძიების დროს ხომ არ დარღვეულა საპროცესო კანონი.

7) შედგენილია თუ არა საბრალდებო დასკვნა სსსკ-ის 414-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

8) სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება.

9) მიღებულია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები.

10) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა.

ამრიგად, სამართალში მიცემის სტადიაზე მოსამართლე (სასამართლო) ლებულობს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას დადგენილების (განჩინების) ფორმით: (ა) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ; (ბ) საქმის განსჯადობის მიხედვით წარმართვის შესახებ; (გ) საქმის შეწყვეტის შესახებ; (დ) საქმის შეჩერების შესახებ; (ე) საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ.

7. საქმის არსებითი განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე

საბრალდებო დასკვნით ბრალდების წარდგენა და პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა პროკურორის მოვალეობაა. პროკურორი ადგენს საბრალდებო დასკვნას. მისი ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია სისხლის სამართლის პროცესის წარმოება და საქმის სასამართლოში წარმართვა. გამონაკლისს წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნა კერძო ბრალდების წესით. სასამართლოს სისხლის სამართლის საქმის განხილვის და ბრალდებულის განსჯის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა მას ჩატარებული გამოძიების შედეგად საბრალდებო დასკვნით, განსჯადობის შესაბამისად, კონკრეტული პირის მიმართ ბრალდებას წარუდგენს.

განსასჯელის სამართალში მიცემა აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რომ პირველი ინსტანციის წესით მოხდეს საქმის არსებითი სასამართლო განხილვა. თუ პირი სამართალში არ არის მიცემული კანონით დადგენილი წესით, საპროცესო კანონითა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით აღნიშნული წარმოადგენს განაჩენის გაუქმების საფუძველს საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, რის შემდეგაც საქმე ისევ ხელახალი განხილვისათვის უნდა დაბრუნდეს სამართალში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად. სხვა შემთხვევაში, როცა საქმე ბრუნდება ხელახალი სასამართლო განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში, ასეთ შემთხვევაში ძალაში რჩება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება განსასჯელის სამართალში მიცემის თაობაზე.

მნიშვნელოვანია საკითხი გასაჩივრების თაობაზე. როგორც აღინიშნა, გამწესრიგებელი სხდომის ნებისმიერი გადაწყვეტილება კი არ ექვემდებარება გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, არამედ 5-დღიან ვადაში საჩივრდება მხოლოდ ორი მათგანი: სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და დადგენილება (განჩინება) სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე. ამ ორ საკითხზე გასაჩივრების ინსტანციაში მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა, ხოლო რაც შეეხება სხვა ისეთ საკითხს, როგორიცაა პირის სამართალში მიცემა, საერთოდ არ საჩივრდება და თუ ეს გადაწყვეტილება არასწორად იქნა მიღებული, პირველი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს შეუძლია, გამოასწოროს ეს შეცდომა გამამართლებელი განაჩენის გამოტანით ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტით.

რა ხდება იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე (სასამართლო) სამართალში მიცემის დროს არასწორად გამოიყენებს მატერიალური სისხლის სამართლის კანონს (სსსკ-ის 424-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი), ანუ საბრალდებო დასკვნიდან არასწორად ამორიცხავს ბრალდების ცალკეულ პუნქტს ან არასწორად გამოიყენებს სისხლის სამართლის კანონს ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ? ასეთი გადაწყვეტილება სსსკ-ის 428-ე მუხლიდან გამომდინარე, ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუ ბრალდების მხარე არ ეთანხმება განსასჯელის სასარგებლოდ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია ამის შესახებ იდავოს სასამართლო განხილვის დროს, თუმცა სასამართლოს არა აქვს უფლება დაუმიძიმოს განსასჯელს მდგომარეობა და იმაზე უფრო მკაცრად დასაჯოს იგი, ვიდრე ეს განსაზღვრულია სამართალში მიცემის დადგენილებით (განჩინებით). თუ დაცვის მხარე არ ეთანხმება სამართალში მიცემის დადგენილებას (განჩინებას) პირველი და ზემდგომი ინსტანციების სასამართლოებს ყოველთვის შეუძლიათ ბრალდებულის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღება.

კოლეგიური სასამართლო განხილვის დროს საქმეს იხილავს სამი მოსამართლის შემადგენლობით შექმნილი კოლეგია. ერთ-ერთი მათგანი არის სხდომის თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს სასამართლო სხდომის მიმდინარეობას. სასამართლო სხდომის თავმჯდომარის ორგანიზაციული ხასიათის დამატებითი უფლებამოსილებები (სასა-

მართლო სხდომის, მოსამართლეთა თათბირის წარმართვა; მხარეებისათვის თავიანთი უფლებების განმარტება; სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა და ა.შ.) მოცემულია სსსკ-ის 52-ე მუხლში. გაუგებარია, კანონის სიტყვები: იგი „უზრუნველყოფს კანონიერებასა და სამართლიანობას საქმის განხილვისას“ და მისი უზრუნველყოფის საშუალებები. გადაწყვეტილების მიღების დროს თავმჯდომარესა და წევრებს თანაბარი უფლებები აქვთ. სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია სასამართლო სხდომის დარბაზიდან გააძევოს მხოლოდ დამსწრე პირი, რომელიც წესრიგს დაარღვევს, ხოლო პროცესის მონაწილის გაძევება სხდომის დარბაზიდან შეიძლება მხოლოდ მოსამართლის დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, როგორც ეს დადგენილია სსსკ-ის 208-ე მუხლით („პასუხისმგებლობა სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის“). ასევე, სსსკ-ის 52-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე თითქოს სავალდებულო წესით აჯარიმებს სხდომის დარბაზიდან გაძევებულ წესრიგის დამრღვევს, მაშინ როდესაც სსსკ-ის 208-ე მუხლის მიხედვით, დაჯარიმება ხდება არა სხდომის თავმჯდომარის მიერ, არამედ სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით, ამასთან გაძევების შემთხვევაში იგი გამოიყენება არა როგორც აუცილებელი, არამედ როგორც შესაძლებელი დამატებითი ღონისძიება.

8. სასამართლო განხილვის პრინციპები

სსსკ-ის 435-ე მუხლი ადგენს საქმის განხილვისას სასამართლოს შემადგენლობის უცვლელობის პრინციპს. სასამართლომ საქმე უნდა განიხილოს ერთი და იმავე შემადგენლობით. თუ რომელიმე მოსამართლე საქმის განხილვას გამოეთიშა ობიექტური მიზეზით, იმავე სასამართლოს სხვა მოსამართლის მონაწილეობით საქმის განხილვა იწყება ხელახლა. კანონი არ უშვებს ახალი მოსამართლის ჩართვის შემთხვევაში სასამართლო სხდომის გაგრძელების შესაძლებლობას იმ გზით, რომ ახალი მოსამართლე გაეცნობა საქმის მასალებს. კანონი გამოდის

იმ დებულებიდან, რომ მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედება განაჩენს გამოკვლევული უნდა იყოს საქმის განმხილველი ყველა მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის პრინციპით. მსოფლიო მართლმსაჯულების პრაქტიკაში, მათ შორის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოებთან მიმართებაში, ეს საკითხი პრობლემურია განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებთან მიმართებაში, რომლის სასამართლო წარმოებას სჭირდება რამდენიმე თვე და ამის შემდეგ დგება სასამართლო შემადგენლობაში მოსამართლის შეცვლის აუცილებლობა (მაგალითად, გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა და ა.შ.). ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ ვითარებაში, როცა 2006 წლის 1 იანვრიდან რადიკალურად მცირდება სასამართლო პატიმრობის ვადები. ამ პრობლემის მოგვარების ერთადერთ საშუალებად კანონი ითვალისწინებს ე.წ. სათადარიგო მოსამართლის ინსტიტუტის არსებობას. იგი საქმის განხილვის დაწყებიდან მთელი პროცესის განმავლობაში, გაცდენების გარეშე უნდა მონაწილეობდეს საქმის განხილვაში და უშუალოდ მისი თანდასწრებით უნდა ხდებოდეს მტკიცებულებათა წარმოდგენა და გამოკვლევა. მისი სასამართლო შემადგენლობაში ჩართვით საქმის განხილვა გრძელდება. ამასთან, მას შეუძლია მოითხოვოს ცალკეული სასამართლო მოქმედების განახლება. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გამოწვეულ იყოს იმით, რომ იგი, მართალია, მთელი პროცესის განმავლობაში იმყოფებოდა სასამართლო სხდომის დარბაზში, მაგრამ იგი სასამართლო მოქმედებებში უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას. ცალკეულ მოქმედებათა განმეორების დროს მას საშუალება ეძლევა, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში.

სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი განსხვავებულად აყალიბებს სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს. ანგლო-ამერიკული სისტემის მიხედვით სასამართლო განხილვა მიმდინარეობს წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპით. იგი ეფუძნება დისპოზიციურობის მაქსიმუმს. შეჯიბრებითობის პრინციპი განსხვავდება ე.წ. სამძებრო (საგამოძიებო) პრინციპისაგან, რომელსაც ძირითადად ეფუძნებოდა კონტინენტალური ევროპის სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა და აქ დღესაც

არსებობს სამძებრო პრინციპი, რომელიც არ არის ინკვიზიციური, არამედ მხოლოდ მის ელემენტებს შეიცავს.

წმინდა შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის არსებობას მიზანშეუწონლად მიიჩნევს კონტინენტალურ-ევროპული სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემა. იგი უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს სახელით მიღებულ განაჩენზე. წმინდა შეჯიბრებითობის დროს ასეთ პასუხისმგებლობას თავის თავზე ვერ აიღებს სასამართლო. წმინდა შეჯიბრებითი პროცესის პირობებში მხოლოდ მხარეთა ინიციატივით უნდა ხდებოდეს მტკიცებულებათა წარმოდგენა და გამოკვლევა და მოსამართლე უნდა ასრულებდეს მხოლოდ არბიტრის ფუნქციას. მას უფლება არა აქვს, თავისი ინიციატივით შეავსოს სასამართლო გამოძიების თუნდაც აშკარა ხარვეზები. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, სასამართლო ვერ იქნება გადანყვეტილების სამართლიანობაზე პასუხისმგებელი. თუ სახელმწიფო ბრალდების მხარე ძლიერია და დაცვის მხარე შედარებით სუსტი, ამან შეიძლება გამოიწვიოს განსასჯელის საზიანო გადანყვეტილების მიღება. ისეთ ვითარებაში, როცა მოსამართლე ხედავს, რომ სასამართლო გამოძიების ხარვეზები შეიძლება შეივსოს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენით, რომლის მოპოვებისა და წარმოდგენის შესახებ ინიციატივას არ გამოხატავს დაცვის მხარე, წმინდა შეჯიბრებითობის პირობებში ეს ხარვეზი, რომლის გამოსწორება შეიძლება სრულყოფილი სასამართლო გამოძიებით, განსასჯელის საზიანოდ იქნება გამოყენებული. იმისათვის, რომ არ იქნეს დაშვებული განსასჯელის უფლებების დარღვევა, კონტინენტალურ-ევროპული სისტემის ქვეყნებში, მხარეთა მიერ თავიანთი შუამდგომლობებისა და მოქმედებების ამონურვის შემდეგ, სასამართლოს უფლება ეძლევა, გააგრძელოს სასამართლო გამოძიება მასში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რომ მან ამით საბოლოოდ შეძლოს ისეთი განაჩენის დადგენა, რომელიც კანონიერი და იმავდროულად სამართლიანიც იქნება. თუმცა ამაში როდი იგულისხმება აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენის ამოცანა, ვინაიდან სისხლის სამართალში მოქმედებენ სხვადასხვა პრინციპები, რომლებიც სამართლიანობის პრინციპიდან გადახვევას ითვალისწინებენ განსასჯელის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის პროცესში მოქმე-

დებს, მაგალითად, პრინციპი: *in dubio pro reo*, რაც ნიშნავს ყველა ეჭვის ბრალდებულის (განსასჯელის) სასარგებლოდ გადანყევტას. მაშასადამე, არც კონტინენტალური ევროპის ქვეყნებში არის სამართლიანობა ყველა განაჩენის დადგენის აუცილებელი კრიტერიუმი. ამ პრინციპიდან გადახვევა შეიძლება მოხდეს განსასჯელის სასარგებლოდ იმ შემთხვევაში, როცა მტკიცებულება, რომელიც უტყუარად ადასტურებს პირის ბრალეულობას, მოპოვებულია კანონით აკრძალული მეთოდებისა და საშუალებების გამოყენებით. ასეთი მტკიცებულება ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად, რის გამოც იგი საფუძვლად ვერ დაედება გამამტყუნებელ განაჩენს და ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პირის გამართლება.

სასამართლო განხილვისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტში. იგივე საკითხს ეძღვნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი. თანაბარი საპროცესო უფლებებითა და შესაძლებლობებით სარგებლობენ ბრალდებისა და დაცვის მხარეები. სასამართლოს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეს მხოლოდ დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი მსაჯულის ფუნქცია. სწორედ ამიტომ არის მითითებული 439-ე მუხლის მე-4 ნაწილში, რომ იგი „თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან“. მიუხედავად ამ კონსტიტუციური ნორმისა, რომელმაც ასახვა ჰპოვა სისხლის სამართლის საპროცესო კანონში, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ისევე როგორც ადმინისტრაციული პროცესი) დღეისათვის არ არის წმინდა შეჯიბრებითი, არამედ იგი შეიცავს ინკვიზიციურობის ელემენტებსაც.

საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა განსასჯელის, დაზარალებულის, მონშეების დაკითხვის, ექსპერტის დასკვნისა და ნივთიერ მტკიცებულებათა უშუალოდ შესწავლის გზით. 2005 წლის 25 მარტის ცვლილებით კიდევ უფრო გაიზარდა მტკიცებულებათა უშუალოდ გამოკვლევის მნიშვნელობა, უპირატესობა მიენიჭა ღია სამსჯავრო სხდომაზე მიცემულ ჩვენებას დახურულ კარს მიღმა გამომძიებლის, პროკურორისათვის მიცემულ ჩვენებასთან შედარებით. მართალია, კანონი უშვებს საჭიროების შემთხვევაში საგამოძი-

ებო მოქმედების ოქმის და დოკუმენტის საჯაროდ წაკითხვას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომ სასამართლომ ფაქტების შესახებ ცნობები შეძლებისდაგვარად პირველწყაროდან მიიღოს. ამასთან, პროცესი მიმდინარეობს ზეპირი მოსმენით. საპროცესო კანონი არ ითვალისწინებს საქმის არსებითი განხილვის დროს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებას ზეპირი მოსმენის გარეშე.

რაც შეეხება სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპს, იგი ცუდად არის დარეგულირებული 441-ე მუხლით. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს უწყვეტად, გარდა შესვენებისათვის საჭირო დროისა. იქვე მითითებულია, რომ თუ საქმის განხილვა გადაიდო 2 დღეზე მეტი ვადით, სასამართლოს უფლება აქვს შუალედში განიხილოს სხვა საქმე. ჯერ ერთი, კანონი არ არეგულირებს, თუ რამდენი დღით შეიძლება საქმის განხილვის გადადება სხდომის ჩატარებიდან მომავალ სხდომამდე, რის გამოც იყო შემთხვევები, როცა სასამართლო განხილვის გადადება მოხდა 2-3 თვით, მოსამართლის (სასამართლო შემადგენლობის) კუთვნილ შევთვლებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში, განსასჯელი ელზდება, თუ როდის დაბრუნდებიან მოსამართლეები დასასვენებელი სახლებიდან, რის შემდეგაც ხშირად ერთდღიანი პროცესის ჩატარებით მთავრდება სასამართლო განხილვა. აღნიშნული წარმოადგენს სასამართლო განხილვის უწყვეტობის პრინციპის აშკარა დარღვევას. ამ პრინციპის ერთ-ერთი დანიშნულებაა, სწრაფ მართლმსაჯულების განხორციელებასთან ერთად, ის, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო იმყოფებოდეს სასამართლო პროცესზე უშუალოების პრინციპით გამოკვლეულ მტკიცებულებათა ზეგავლენის ქვეშ. ასეთი ხანგრძლივი დროით სასამართლო პროცესის გადადების დროს მოსამართლეს ავინყდება მტკიცებულებათა შინაარსი, რის გამოც იგი არ იმყოფება მტკიცებულებათა უშუალო შთაბეჭდილებების ქვეშ, რაც ხელს უშლის ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

საპროცესო კანონი ადგენს, რომ განსასჯელის მონაწილეობა სასამართლო განხილვაში სავალდებულოა, რის გამოც საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა უზრუნველყოს განსასჯელის წარმოდგენა სასამართლო სხდომაზე ბადრაგის მიერ, თუ ის პატიმრობაშია, ხოლო

სხვა შემთხვევაში დროზე უნდა შეატყობინოს მას პროცესის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ. ნებადართულია განსასჯელის, ისევე როგორც მონმისა და დაზარალებულის, იძულებითი მოყვანაც. კანონი 443-ე მუხლის მე-2 ნაწილში მიუთითებს იმ სამ შემთხვევას, როცა სასამართლოს შეუძლია განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვა. ერთი საკითხი, რომელსაც საქმის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიაქციოს ყურადღება არის ის, რომ განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვაში მისი დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. თუ თავისუფლებაში მყოფი განსასჯელი არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება სასამართლო სხდომაზე ან სხვაგვარად უშლის ხელს პროცესის წარმოებას, გარდა 443-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, ეს გარემოება შეიძლება გახდეს მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან შეფარდების საფუძველი. თუ პატიმრობაში მყოფი განსასჯელი წინააღმდეგობას უწევს ბადრავს, რათა იგი წარმოდგენილ იქნეს სასამართლო პროცესზე, ასეთ შემთხვევაში მისი მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოსადმი უპატივცემლობად და მის მიმართ გამოყენებული იქნეს ის წესები, რაც მოქმედებს სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გაძევებული განსასჯელის მიმართ.

დამცველის, პროკურორისა და დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობისა და მისი გამოუცხადებლობის შედეგებს სპეციალურად არეგულირებს საპროცესო კანონმდებლობა (სსსკ-ის 445-ე, 445-ე და 446-ე მუხლები).

თუ დამცველი არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, საქმის განხილვა აუცილებლად უნდა გადაიდოს. ეს ეხება არა მარტო იძულებითი დაცვის შემთხვევებს, არამედ ყველა იმ შემთხვევას, როცა განსასჯელს სურს, რომ მისი ინტერესები დაიცვას კვალიფიციურმა იურისტმა. გამოუცხადებელი დამცველის შეცვლა შეიძლება მხოლოდ განსასჯელის თანხმობით. გადადება უნდა მოხდეს 10 დღემდე ვადით. ახალი დამცველის არჩევას სასამართლო თავაზობს ჯერ განსასჯელს და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია თვითონ დანიშნოს ახალი დამცველი. ახალი დამცველის საქმეში ჩაბმა ყოველთვის მოითხოვს დროს, განსაკუთრებით იგი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქმის მასალების შესასწავლად საკმარისი დროით და მას აქვს უფლება,

მოითხოვოს საქმეში მის ჩაბმამდე ჩატარებულ სასამართლო მოქმედებათა განმეორება.

რაც შეეხება პროკურორს, მისი მონაწილეობა სასამართლოში საქმის განხილვაში ყველა შემთხვევაში სავალდებულოა. იგი მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. პროკურორმა სასამართლო პროცესზე შეიძლება უარი თქვას ბრალდებაზე. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმე ან გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი (სსსკ-ის 24-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ასეთი გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული, მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაულის დროს, ასევე ეკონომიკური და სხვა დანაშაულის დროს, როცა დაზარალებული სახელმწიფოა, თუ პროკურორი უარს ამბობს ბრალდებაზე, დაუშვებელია, რომელიმე სამინისტროს წარმომადგენელი აყენებდეს პროკურორის სანინააღმდეგო პოზიციას, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს სასამართლო პრაქტიკაში. იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, სადაც დაზიანებულია ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთე და დაზარალებული ან მისი უფლებამონაცვლე არის არა სახელმწიფო, არამედ სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირი (სსსკ-ის 68-ე მუხლი), პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმა ავტომატურად არ იწვევს სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტას, თუ დაზარალებულის პოზიცია არ ემთხვევა პროკურორის პოზიციას. პროკურორის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა გაარკვიოს დაზარალებულის პოზიცია: მხარს უჭერს პროკურორის პოზიციას თუ მოითხოვს სამართალწარმოების გაგრძელებას. დაზარალებულს და მის წარმომადგენელს, როგორც სუბსიდიურ ბრალმდებელს, ასეთ შემთხვევაში შეუძლიათ, მხარი დაუჭიროონ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არ წყდება. პროკურორს უფლება აქვს, არ მიიღოს მონაწილეობა საქმის შემდგომ განხილვაში. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი გამოიტანება დაზარალებულის სავალდებულო მონაწილეობით.

პროკურორის მიერ ბრალდების შეცვლა სასამართლო პროცესზე შეიძლება მოხდეს განსასჯელის მხოლოდ სასარგებლოდ. ბრალდების

ასეთი შეცვლა სავალდებულო არ არის დაზარალებულისათვის, რომელსაც უფლება აქვს სასამართლო პროცესზე მხარი დაუჭიროს წინანდელ ბრალდებას. ასეთ შემთხვევაში პროკურორი მხარს უჭერს მის მიერ წარმოდგენილ ახალ ბრალდებას, ხოლო დაზარალებულს და მის წარმომადგენელს შეუძლიათ, მხარი დაუჭირონ ბრალდების წინანდელ ფორმულირებას. სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს ან ერთი ან მეორე პოზიცია ან ჩამოაყალიბოს განსასჯელის სასარგებლო სხვა პოზიცია, თვით გამამართლებელი განაჩენის გამოტანის ჩათვლით.

446-ე მუხლის მე-5 ნაწილი შეიცავს ასეთ ჩანაწერს: „პროკურორს უფლება აქვს შეცვალოს ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ ან მოითხოვოს საქმის დაბრუნება უფრო მკაცრი ბრალდების წარსადგენად. განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის თაობაზე აუცილებელია ზემდგომი პროკურორის თანხმობა“.

კანონი ითხოვს ზემდგომი პროკურორის თანხმობას მხოლოდ განსასჯელის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის შემთხვევაში, ხოლო რაც შეეხება ბრალდებაზე უარის თქმას, ამ შემთხვევაში ასეთი თანხმობის საჭიროებაზე არ არის მითითებული. თანხმობა წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, რომ ამით თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობები და ზემდგომი პროკურორის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება იმ მოტივით, რომ ქვემდგომმა პროკურორმა არასწორად გაიგო მისი პოზიცია.

სასამართლო განხილვიდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას არეგულირებს სსსკ-ის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი (სამართალში მიცემის სტადიიდან) და 501-ე მუხლის მე-2 ნაწილი (იმავე საფუძველით სასამართლო განხილვის დამთავრების შემდეგ). ასეთი შუამდგომლობა შეიძლება დააყენოს მხოლოდ პროკურორმა ისიც ერთ შემთხვევაში, თუ ის შუამდგომლობს განსასჯელისათვის უფრო მძიმე ბრალდების წარდგენას. იგულისხმება, რომ შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო არ დააკმაყოფილებს მას. პროკურორის ასეთი შუამდგომლობა რომ სავალდებულო არ არის სასამართლოსათვის, გამომდინარეობს 536-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შინაარსიდან, რომელიც საპროცესო კოდექსს დაემატა 2005 წლის 25 მარტის კანონით.

— საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება შეიძლება მხოლოდ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოდან, ხოლო საკასა-

ციო სასამართლოდან საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი უკვე აღარ ითვალისწინებს.

საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა მხოლოდ ამ ერთი საფუძვლით უდაოდ პროგრესულია, თუმცა შესაძლებელი იყო საკითხის სხვაგვარი საკანონმდებლო გადანყვეტაც: შესაძლებელი იყო, განსასჯელისათვის ახალი, უფრო მძიმე ბრალდების წაყენების მოტივით პროკურორს მისცემოდა შუამდგომლობის დაყენების უფლება თვით სასამართლო პროცესზე. თუ სასამართლო დააკმაყოფილებდა ასეთ შუამდგომლობას, მას მიეცემოდა დრო ახალი ბრალდების წარსადგენად, ხოლო მხარეებს – თავიანთი პოზიციის მოსამზადებლად. ასეთი საკანონმდებლო ნორმის შემოღების შემთხვევაში, განსაკუთრებით განსასჯელს და მის ადვოკატს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება დაცვის პოზიციის მოსამზადებლად.

ამ წესის საკანონმდებლო გზით შემოღებას აქვს უპირატესობა საქმის პროკურატურისათვის დამატებითი გამოძიების ჩატარებისათვის დაბრუნებასთან შედარებით, იმ მხრივ, რომ იგი ხელს შეუწყობს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილი ცვლილების მიხედვით, დაზარალებულს უფლება არა აქვს, მოითხოვოს საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად არცერთი მოტივით, მათ შორის, არც იმ ერთადერთი საფუძვლით, რომლითაც პროკურატურას, 426-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შეუძლია მოითხოვოს საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად.

სასამართლო განხილვის ფარგლები განსაზღვრულია 450-ე მუხლით. საქმის განხილვას სასამართლო განსასჯელის მიმართ ახდენს მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს. თუ პროკურორმა სასამართლო განხილვის დროს შეცვალა ბრალდება განსასჯელის სასარგებლოდ, შესაბამისად შეიცვლება სასამართლო განხილვის ფარგლებიც, გარდა სუბსიდიური დევნის შემთხვევისა.

მტკიცებულებები უნდა შეგროვდეს მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის გადანყვეტა. სწო-

რედ ეს წესი — მტკიცებულება არ უნდა შეგროვდეს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომელთაც საქმისათვის სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვთ, წარმოადგენს სასამართლოში სისხლის სამართალ-წარმოების ელემენტარულ პრინციპს, რაც გამომდინარეობს 450-ე მუხლიდან. ამ ნორმის შესაბამისად, დაუშვებელია მტკიცებულებათა შეგროვება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც მნიშვნელობა არა აქვთ საქმეზე გადანყვეტილების გამოტანისათვის. ეს პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ სასამართლო გამოძიების დროს მტკიცებულებათა შეგროვებაზე, წარმოდგენასა და გამოკვლევაზე, არამედ აგრეთვე მხარეთა კამათზე. იგი მოქმედებს როგორც მხარეთა ინტერესების სასარგებლოდ, რამეთუ იცავს მათ ზედმეტი დროის ხარჯვისა და ხარჯებისაგან, ისე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ინტერესების სასარგებლოდ.

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროს ასევე მოქმედებს სხვა ის პრინციპები, რაც მოცემულია ზოგადი ნაწილის შესაბამის თავში და დაკავშირებულია მართლმსაჯულების განხორციელებასთან.

პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს მოსამართლემ (სასამართლომ) განსაკუთრებით განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს საქმის სამართლიანი განხილვის უფლების პრინციპით, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციაში, ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში (მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლი), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

ყველა ბრალდებულს აქვს სამართლიანი პროცესის უფლება. ამ უფლების რეალიზაციისათვის ბრალდებულს, უპირველეს ყოვლისა, უფლება აქვს, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, კანონით განსაზღვრული წესით, მისთვის გასაგებ ენაზე:

ა. მიიღოს ინფორმაცია მის მიმართ მიმდინარე პროცესის შესახებ, მათ შორის — ეცნობოს, თუ რა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა ედება ბრალად, განემარტოს მისი პროცესუალური უფლებები და მიეცეს სამართლიანი მოსმენის უფლება;

ბ. მიიღოს მონაწილეობა მისი ბრალდების საქმის გამოძიებასა და სასამართლო განხილვაში;

გ. განაცხადოს შუამდგომლობები, მოიპოვოს მტკიცებულებები ან მოითხოვოს მის მიერ დასახელებულ მტკიცებულებათა მოპოვება მისი უდანაშაულობის დასადასტურებლად;

დ. ისარგებლოს დაცვის უფლებით, ამასთან, ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა მოემზადოს დაცვისათვის და იქონიოს თავისუფალი და კონფიდენციალური ურთიერთობა მის დამცველთან;

ე. დაუსვას შეკითხვები ბრალდების მონემს და მოითხოვოს დაცვის მონემების მონვევა და დაკითხვა იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მონემები იმყოფებიან.

ბრალდებულს, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უფლება აქვს, იყოლიოს დამცველი. ბრალდებული, რომელსაც არ ჰყავს დამცველი, სამართალწარმოების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონით განსაზღვრული წესით, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სავალდებულო დაცვით.

პირს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს სისხლის სამართალწარმოება სასჯელის და სამედიცინო ან სხვა სახის იძულებითი ღონისძიების შესაფარდებლად, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უფლება აქვს, უშუალოდ ან დამცველის მეშვეობით დაუბრკოლებლად ისარგებლოს საპროცესო კანონით განსაზღვრული ბრალდებულის პროცესუალური უფლებებით.

საქმის სასამართლო განხილვის დროს დაცული უნდა იქნეს პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობის პრინციპი. სასამართლომ განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა დაადგინოს, სისხლის სამართალწარმოების ორგანოების მიერ სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაცულ იქნა თუ არა სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა ღირსება. სასამართლო პროცესის ყველა მონაწილეს ეპყრობა თანასწორად და სამართლიანად. არ დაიშვება ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, გადაღლის, სამედიცინო ჩარევის, მედიკამენტების მიცემის, ჰიპნოზის, ასევე ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანის მეხსიერებასა ან აზროვნებაზე. მუქარა ან პირისათვის ისეთი შელავათების დაპირება, რაც კანონით არ არის გათვალისწინებული, დაუშვებელია. იძულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონის დარღვევის გზით მიღებული მტკიცებულება ითვ-

ლება დაუშვებელ მტკიცებულებად და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

დაუშვებელი მტკიცებულების იურიდიული ძალის აკრძალვის პრინციპი კონსტიტუციური პრინციპია და მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში. დაუშვებელია მტკიცებულებათა მოპოვება ისეთი მეთოდების გამოყენებით, რაც ხელყოფს პიროვნების ღირსებას ან სხვა არსებითი პროცესუალური დარღვევის გზით. დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს საბრალდებო დასკვნასა და გამამტყუნებელ განაჩენს მაშინაც კი, როცა ასეთი მტკიცებულების გამოყენებას ის პიროვნება ეთანხმებოდეს, ვის წინააღმდეგაც მიმართულია ეს მტკიცებულება.

დაუშვებლად მიჩნეული ბრალდების მტკიცებულება შეიძლება დაშვებულ იქნეს დაცვის შუამდგომლობით (სსსკ-ის 111-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ თვით კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული სპეციალური ნორმების საფუძველზე. სისხლისსამართლებრივი ბრალეულობის დადგენა, სასჯელის შეფარდება, ასევე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის მიმართ სამედიცინო ან სხვა სახის იძულებითი ღონისძიების დანიშვნა მხოლოდ სასამართლოს უფლებაა. პირადი თავისუფლების ნებისმიერი სახის შეზღუდვის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. იგივე წესი მოქმედებს სხვა სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენებისას, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში კანონი უშვებს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების მიერ იძულების ღონისძიების გამოყენებას, რომლის კანონიერებას, საპროცესო კანონით დადგენილი წესით, ამონიშნავს სასამართლო. კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვისას სასამართლო კონტროლი კანონით გარანტირებულია. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა სისხლის სამართალწარმოების პროცესში უნდა შეესაბამებოდეს მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგის სიმძიმეს, პირის ბრალეულობაზე არსებულ ეჭვის ხარისხს. ნებისმიერ

დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოში სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე. პროცესის მონაწილეს, რომელმაც სამართალწარმოების ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. ბრალდებულს, რომელმაც სამართალწარმოების ენა არ იცის, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე უფლება აქვს, უსასყიდლოდ ისარგებლოს კვალიფიციური თარჯიმნის დახმარებით და მიიღოს თარგმნილი მასალები, რაც აუცილებელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველსაყოფად.

სისხლის სამართალწარმოების ორგანოები დაუყოვნებლივ უნდა იწყებდნენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და გონივრულ ვადაში, ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე უნდა ამთავრებდნენ მას. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის მიმართ პროცესი მოითხოვს განსაკუთრებულად სწრაფ წარმოებას. პირველ რიგში პატიმრობაში მყოფი პირის საქმე უნდა იქნეს წარმოებული და იგი მაქსიმალურად სწრაფად უნდა დამთავრდეს.

ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სისხლის სამართალწარმოების ორგანოები მტკიცებულებებს აფასებენ შინაგანი რწმენით, ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანწყვეტის პრინციპით. მტკიცებულებათა შეფასების დროს წარმოშობილი ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ეს არის საყოველთაოდ აღიარებული *in dubio pro reo*-ს პრინციპი. ალტერნატიულ ქმედებათაგან ერთ-ერთის შერაცხვა არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპს. რას ნიშნავს ეს? იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასების და მტკიცებუ-

ლებათა ანალიზის საფუძველზე მივა დასკვნამდე, რომ განსასჯელმა ორი ან მეტი ქმედებიდან ერთი ჩაიდინა უტყუარად, მაგრამ როცა უტყუარად ვერ მტკიცდება – რომელი, მაშასადამე, უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში ყველა ეჭვის განსასჯელის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან გამომდინარე, მან პასუხი უნდა აგოს უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ მას ჩაედინა. ასე, მაგალითად, როცა უტყუარად დადგენილია, რომ განსასჯელმა ჩაიდინა ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) ან შეუტყობინებლობა (სსკ-ის 376-ე მუხლი), ასეთ შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა დადგება შეუტყობინებლობისათვის. სამართლებრივად იგივე წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ქურდობასა (სსკ-ის 177-ე მუხლი) და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღებასთან (სსკ-ის 186-ე მუხლი). ასევე შეიძლება სხვა ანალოგიური მაგალითების დასახელებაც.

დაუშვებელია პირის ერთი და იმავე ქმედებისათვის განმეორებით დევნა ან მსჯავრდება, თუ მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენი, ან გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული წარმოადგენს საყოველთაოდ აღიარებულ non bis in idem-ის პრინციპს. ამ პრინციპს არ ეწინააღმდეგება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება. აღნიშნული პრინციპი შეკვეცილი ფორმით ასევე მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტში: „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“. ეს პრინციპი მოქმედებს სახელმწიფოს შიგნით და არა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო განხილვა, მათ შორის მტკიცებულებათა მოპოვება ტარდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე მხარეებს უფლება აქვთ, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, განაცხადონ შუამდგომლობები, მოიპოვონ და წარმოადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, ისარგებლონ მონინაალმდეგე მხა-

რის მონმისა და ექსპერტისათვის შეკითხვის დასმის უფლებით და მოითხოვონ საკუთარი მონმისა და ექსპერტის მონვევა და დაკითხვა კანონით განსაზღვრული წესითა და პირობებში.

სისხლის სამართალწარმოების ორგანოები ვალდებული არიან, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული პირის შუამდგომლობით ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოიკვლიონ ქმედებისა და ბრალდებულის განსჯისათვის მნიშვნელოვანი ყველა ფაქტობრივი გარემოება. ისინი ერთნაირი პასუხისმგებლობით იკვლევენ ბრალდებულის როგორც მამხილებელ, ისე გამამართლებელ, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს.

ყველა მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევისა, გამოკვლეულ უნდა იქნეს უშუალოდ სასამართლოს მთავარ სხდომაზე. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე შესაძლებელი და მიზანშეწონილია მტკიცებულების უშუალო გამოკვლევა, იგი არ უნდა შეიცვალოს მხოლოდ მისი გამოქვეყნებით. მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოითხოვონ მონმეთა და ექსპერტთა უშუალოდ მონვევა და წარმოადგინონ საკუთარი მტკიცებულებები.

არავინ არის ვალდებული, მისცეს ჩვენება თავის ან სხვა იმ პირთა წინააღმდეგ, რომელთა წრეც განსაზღვრულია კანონით. სისხლის სამართლის კანონი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელიც არ არის ვალდებული იყოს მონმე. სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლი ერთმანეთისაგან ასხვავებს (1) პირებს, რომელთაც მონმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრებათ; (2) პირებს, რომლებიც მონმედ არ შეიძლება დაიკითხონ და (3) პირებს, რომლებიც შეიძლება მონმის მოვალეობისაგან გათავისუფლდნენ.

სასამართლოს მთავარი სხდომა ტარდება საჯაროობისა და ზეპირობის პრინციპის დაცვით. დახურულ მთავარ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ.

9. საქმის განხილვის ეტაპები

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას წინ უძღვის საქმის განხილვის ეტაპები, რომელიც იწყება სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილით.

სასამართლო გამოძიება საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად სასამართლოს მომზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. სწორედ ძირითადად სასამართლო გამოძიების შედეგებს ეფუძნება სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. კანონი უშვებს სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეკვეცის შესაძლებლობას მხოლოდ საპროცესო კოდექსის 473-ე მუხლში მოცემული პირობების დაცვით.

თუ განსასჯელმა სასამართლოს წინაშე თავი დამნაშავედ ცნო და ეს აღიარება ნებაყოფლობითია, არ იწვევს მხარეთა დავასა და სასამართლოს ეჭვს, სასამართლო გამოძიება სასამართლო განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა განსასჯელის დაკითხვა. თუ საქმეში რამდენიმე განსასჯელია, სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და ფარგლებში, რომელსაც ეთანხმება ყველა განსასჯელი.

სასამართლო, მხარეთა მონაწილეობით, უნდა დარწმუნდეს ბრალის აღიარების ნებაყოფლობითობაში. იგი დადასტურებული უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი მასალებით.

კანონი ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა სასამართლო გამოძიების გაუქმება ან შეკვეცა დაუშვებელია: განსასჯელს არ შესრულებია 16 წელი; ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 15 წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა და ა.შ.

განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენის დადგენას წინ უძღვის სასამართლო გამოძიების ეტაპზე მტკიცებულებათა წარდგენა და გამოკვლევა. საპროცესო კოდექსი (მუხლი 474-ე და 475-ე) ადგენს მტკიცებულების წარდგენისა და გამოკვლევის თანმიმდევრობასა და წესს.

2005 წლის 25 მარტის კანონით შეიცვალა 477-ე მუხლის შინაარსი, რომელიც ადგენს წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულის მიერ

მიცემული ჩვენების საჯაროდ წაკითხვისა და მის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობას: „თუ ბრალდებული წინააღმდეგია, წინასწარი გამოძიების დროს მის მიერ მიცემული ჩვენების სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა და მისი ჩვენების ხმის ჩანაწერის საჯაროდ მოსმენა, ასევე მისი მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.“

საპროცესო კოდექსის ეს ცვლილება არის არსებითი ხასიათის. თუ ამ ცვლილებამდე ბრალდებულის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენების სასამართლო პროცესზე საჯაროდ წაკითხვა ხდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა არსებითი წინააღმდეგობა იყო სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებასა და აღრინდელ ჩვენებას შორის ან თუ განსასაჯელი სასამართლო სხდომაზე უარს აცხადებდა ჩვენების მიცემაზე, ახალი ცვლილებით ასეთი რამ არ შეიძლება გაკეთდეს, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. შესაბამისად, მოსამართლე ასეთ მტკიცებულებას საფუძვლად ვერ დაუდებს გამამტყუნებელ განაჩენს.

ასევე უნდა შევეხოთ მონმის მიერ მიცემული ჩვენების მტკიცებულებით მნიშვნელობას. აქაც მნიშვნელოვანია საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

სსსკ-ის 117-ე მუხლის („მონმის ჩვენება“) მე-2 ნაწილი ადგენს: თუ მონმის წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს მიცემულ ჩვენებებს შორის არსებითი წინააღმდეგობაა, მხარეს უფლება აქვს მოსამართლის წინაშე დააყენოს შუამდგომლობა მოცემული ჩვენების დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის შესახებ.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგ დებულებებზე:

95-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით, მონმედ დაკითხვის ვალდებულება არ ეკისრება ყურნალისტს – პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

110-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში დასაშვებია ნებისმიერი სახის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლის მოპოვებისას ადგილი არ ჰქონია პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევას. ამ შემთხვევაში ფარული გადაღების მწარმოებელი პირი დაკითხული უნდა იქნეს სასამართლოში მონმის სახით ფარული ჩანაწერის წარმომავლობასთან დაკავშირებით.

10. განაჩენის დადგენა

სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო განხილვის შედეგად იქმნება საპროცესო დოკუმენტი – განაჩენი, რომელიც შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. სსსკ-ის 495-ე მუხლის მიხედვით, როგორც ერთ, ისევე მეორე შემთხვევაში განაჩენის გამოტანა ხდება სახელმწიფოს სახელით: იგი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.

საპროცესო კანონი (496-ე მუხლი) განაჩენს უყენებს სამ მოთხოვნას: იგი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი.

განაჩენი კანონიერიერებაში იგულისხმება მისი კანონშესაბამი-სობაში ყოფნა. ეს იმას ნიშნავს, რომ განაჩენის გამოტანის დროს სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითა და სხვა კანონებით და განაჩენს ადგენს მათ მოთხოვნათა დაცვით. სისხლის სამართლის საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მიღების დროს კანონის ნორმები სასამართლომ უნდა გამოიყენოს სწორი და სწორად.

სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

განაჩენი სამართლიანია, თუ დანიშნული სასჯელი შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.

კოლეგიალური ორგანოს მიერ განაჩენის დადგენა უნდა იყოს მოსამართლეთა თათბირის შედეგი. კოლეგიის თითოეულმა წევრმა უნდა დაიცვას თათბირის საიდუმლოება. სასამართლოს მიერ საქმის კოლეგიურად განხილვის შემდეგ მოსამართლეები შედიან და განაჩენს ადგენენ სათათბირო ოთახში, სადაც შეიძლება იყვნენ მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლეები. საპროცესო კოდექსი (497-ე მუხლი) უშვებს სათათბირო ოთახში ტექნიკური თანამშრომლის ყოფნას, რომელიც აკეთებს ჩანაწერს. საქმის ერთპიროვნულად განხილვისას მოსამართლეს გამოაქვს განაჩენი ამ მიზნით სპეციალურად მონყობილ და დაცულ ოთახში.

სათათბიროდ გასული კოლეგია თუ ერთპიროვნული მოსამართლე არ შეიძლება ახორციელებდეს სხვა უფლებამოსილებებს, მონაწილეობას ლეზულობდეს და იხილავდეს სხვა საქმეებს, უფლება არა აქვს ასევე ერთდროულად რამდენიმე საქმეზე ლეზულობდეს გადაწყვეტილებას სათათბირო ოთახში. განაჩენის დადგენის პროცესში სასამართლოს ან მოსამართლეს არ ეკრძალება შესვენება, აგრეთვე დასვენება უქმე დღეებში. ერთი სიტყვით, სასამართლოს არ ევალება, რომ სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ გადაწყვეტილების გამოცხადებამდე უწყვეტად იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში. ასევე, არ არის სავალდებულო, რომ თათბირის მთელს პერიოდში კოლეგიის ყველა წევრი მუდმივად ერთად იმყოფებოდეს. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე განაჩენის გამოტანას შეიძლება დასჭირდეს რამდენიმე დღე. ამ დროში სასამართლოს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა სახის ლიტერატურით, დამხმარე მასალით. შეუძლია თავის თანამემნეს ან სასამართლოს სხვა თანამშრომელს დაამალოს ამ მიმართულებით დახმარება. ამასთან, განაჩენის დადგენის დროს დაუშვებელია საქმესთან დაკავშირებით სხვა პირებთან რაიმე ურთიერთობა, აგრეთვე ტელეფონით ან სხვა გზით თათბირი განაჩენის გადასაწყვეტ საკითხებზე. მოსამართლესა და ტექნიკურ თანამშრომელს უფლება არა აქვთ, გაახმაურონ მოსამართლეთა თათბირის დროს გამოთქმული მოსაზრებანი.

განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები პოზიტიურ-სამართლებრივად დადგენილია საპროცესო კანონით (სსსკ-ის 498-ე მუხლი). ამ დროს სასამართლომ თანმიმდევრობით უნდა გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები:

ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა განსასჯელის ქმედება მართლსაწინააღმდეგო;

გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;

დ) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

ე) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;

ვ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;

ზ) რა სახის სასჯელალსრულებით დაწესებულებაში უნდა მოიხადოს განსასჯელმა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი;

თ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სამოქალაქო სარჩელი, ვის სასარგებლოდ და რა ოდენობით;

ი) გასაუქმებელია თუ არა სამოქალაქო სარჩელი ან შესაძლო საპროცესო კონსტიტუციის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები;

კ) როგორი იქნება ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი;

ლ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება;

მ) ვის უნდა დაეკისროს სასამართლო ხარჯები და რა ოდენობით;

ნ) დამნაშავედ მიჩნეული პირის მიმართ უნდა გამოიყენონ თუ არა იძულებითი მკურნალობა.

რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისას სასამართლო ამ საკითხებს წყვეტს თითოეული დანაშაულის მიხედვით ცალ-ცალკე და მთლიანად. დანაშაულის ჩადენაში რამდენიმე განსასჯელის მსჯავრდებისას კი აღიშნული ყველა საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი განსასჯელის მიმართ ცალ-ცალკე.

გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას გამართლებულისათვის გამოძიების ორგანოების, პროკურატურისა თუ სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ამ მიზნით, გამართლებულს განაჩენით უნდა განემარტოს, რომ უფლება აქვს, რეაბილიტაციის გამო მოითხოვოს სისხლის სამართალწარმოების ორგანოების უკანონო და დაუსაბუთებელი მოქმედების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე-227-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თუ წინასწარი გამოძიების ან სასამართლო განხილვის დროს წამოიჭრა საკითხი ბრალდებულის შერაცხადობის ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ მისი ფსიქიკურად დაავადების შესახებ, რის გამოც დაინიშნა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა, სასამართლო ვალდებულია განაჩენის დადგენისას კიდევ ერთხელ განიხილოს ეს საკითხი.

თუ დადგინდა, რომ ქმედების ჩადენისას განსასჯელი შეურაცხ მდგომარეობაში იყო ან დანაშაულის ჩადენის შემდეგ გახდა ასეთი, სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება (დადგენილება) სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ.

სიხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-500 მუხლი ადგენს მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღების წესს. საქმის კოლეგიურად განხილვისას განაჩენის დადგენას წინ უძღვის მოსამართლეთა თათბირი. თავმჯდომარე მოსამართლეთა გადასაწყვეტ საკითხებს სვამს 498-ე მუხლში მითითებული თანმიმდევრობით. იმავე თანმიმდევრობით წყვეტს ამ საკითხებს მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს. ყოველ საკითხზე თითოეულმა მოსამართლემ უნდა გასცეს დადებითი ან უარყოფითი პასუხი. არც ერთ მოსამართლეს არა აქვს უფლება თავი შეიკავოს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან. თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. საკითხები წყდება ხმათა უბრალო უმრავლესობით. გადაწყვეტილება სასჯელის ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ მოსამართლეებმა შეიძლება მიიღონ მხოლოდ ერთხმად. სსკ-ის 498-ე მუხლში აღნიშნულ თითოეულ საკითხზე პირველად კენჭს უყრიან მოსამართლის იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ყველაზე სასიკეთოა განსასჯელისათვის, თუ დანაშაულის ჩადენაში განსასჯელის გამართლება მოითხოვა ერთმა მოსამართლემ, ხოლო ორ სხვა მოსამართლეს სხვადასხვა აზრი აქვს ამ დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ, მოსამართლის ხმა განსასჯელის გასამართლებლად დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უერთდება იმ მოსამართლის ხმას, რომლის გადაწყვეტილებაც განსასჯელისათვის ყველაზე სასიკეთოა. მოსამართლეს (მოსამართლეებს), რომელსაც განსხვავებული აზრი აქვს, უფლება აქვს იგი წერილობით ჩამოაყალიბოს განაჩენის გამოცხადების მომენტიდან 7 დღე-ღამის განმავლობაში. განსხვავებულ აზრს წარუდგენენ თავმჯდომარეს და ურთავენ საქმეს. მხარეებს უფლება აქვთ, გაეცნონ განსხვავებულ აზრს.

თუ სამიდან სამივე მოსამართლეს განსხვავებული აზრი აქვს: 5, 7 და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაშინ განსასჯელისათვის

ყველაზე უფრო არახელსაყრელი პოზიცია უერთდება შედარებით მსუბუქს, რის შედეგადაც, ხმათა უმრავლესობით, განსასჯელს უნდა შეეფარდოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მოსამართლის განსხვავებული აზრი არ არის საიდუმლო. მოსამართლეს შეუძლია წერილობით არ ჩამოაყალიბოს თავისი განსხვავებული პოზიცია.

შესაძლებელია სასამართლო გამოძიების განახლება, ხოლო გამოწვევის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმის გაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის. თუ სათათბირო ოთახში საპროცესო კოდექსის 498-ე მუხლში მითითებულ საკითხთა განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ მათ გადასაწყვეტად საჭიროა დამატებითი სასამართლო მოქმედება, მას გამოაქვს დადგენილება (განჩინება) სასამართლო გამოძიების შესახებ. განახლებული სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე სასამართლო კვლავ იწყებს სასამართლო კამათს და ისმენს განსასჯელის ბოლო სიტყვას, რის შემდეგაც გადის სათათბირო ოთახში განაჩენის დასადგენად.

საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით შეიზღუდა საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესაძლებლობა. იგი შესაძლებელია მხოლოდ საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული ერთადერთი საფუძვლის არსებობისას. ამ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება (დადგენილება) სისხლის სამართლის საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გასაგზავნად და საქმეს უბრუნებს პროკურორს იმის მითითებით, თუ რა გარემოებები უნდა შემოწმდეს და რა საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს ორი სახის სასამართლო განაჩენი. იგი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. განაჩენი შეიძლება იყოს ზოგი ბრალდებულის ან ბრალდების მიმართ გამამტყუნებელი, ხოლო სხვა ბრალდებულის ან ბრალდების მიმართ – გამამართლებელი.

გამამტყუნებელი განაჩენი წარმოადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ. გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა

განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება გამოტანილ იქნეს:

- ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;
- ბ) სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით;
- გ) სასჯელის დაუნიშნავად.

მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე, ზომა და სასჯელის მოხდის ვადის დაწყება. პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე შინაპატიმრობასა და სამედიცინო დაწესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ჩათვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოცემულია აქტი ამნისტიის შესახებ, რომელიც ათავისუფლებს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად, თუ მისი გამოტანის მომენტისათვის:

- ა) ამოინურა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;
- ბ) განსასჯელი გარდაიცვალა.

გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს სახელის გამტეხ ფორმულირებებს. გამამართლებელი განაჩენის საფუძველია შემდეგი გარემოებები:

- ა) განსასჯელს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;
- ბ) განსასჯელის ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

საპროცესო კოდექსის 505-ე მუხლი ითვალისწინებს განაჩენის დადგენისას სამოქალაქო სარჩელის გადანყევტის წესს. განაჩენის დადგენისას სასამართლო აკმაყოფილებს წარდგენილ სარჩელს მთლიანად ან ნაწილობრივ, ან უარყოფს მას, ანდა საერთოდ არ განიხილავს მას. სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე მიიღოს ზომები

სარჩელის უზრუნველსაყოფად, თუ ისინი მანამდე მიღებული არ ყოფილა.

განაჩენის შედეგის წესი ასეთია: იგი იწერება სამართალწარმოების ენაზე ცხადი და გასაგები ფრაზებით. განაჩენი უნდა დაინეროს ხელით ან დაიბეჭდოს ტექნიკური საშუალების გამოყენებით. მას ხელი უნდა მოაწეროს ყველა მოსამართლემ, განსხვავებული აზრის მქონეთა გარდა. განაჩენში შეტანილი შესწორება განაჩენის გამოცხადებისთანავე წინასწარ უნდა შეათანხმოს და ხელმოწერით დაადასტუროს ყველა მოსამართლემ.

განაჩენის სტრუქტურა ასეთია: იგი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან.

სსსკ-ის 507-ე მუხლის მიხედვით, განაჩენის შესავალ ნაწილში აღინიშნება:

- ა) რომ განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით;
- ბ) განაჩენის დადგენის დრო და ადგილი;
- გ) განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმძებელი, დაზარალებული და მისი წარმომადგენელი, დამცველი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები;
- დ) განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები;
- ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც ბრალდებული მისცეს სამართალში.

სსსკ-ის 508-ე მუხლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო სხვა. აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებანი, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლო-

დაა მიჩნეული, ან დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული, – ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები. სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს აგრეთვე სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, ამ დანაშაულისათვის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა, სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილება ან უარყოფა, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, სსსკ-ის 509-ე მუხლის შესაბამისად, აღინიშნება:

- ა) განსასჯელის სახელი და გვარი;
- ბ) გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ;
- გ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ;
- დ) იმ სასჯელის სახე და ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა, შესაბამისი რეჟიმის სასჯელალსრულებითი დანესებულება, რომელშიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი;
- ე) გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი;
- ვ) გადაწყვეტილება სასჯელის ვადაში დაკავების, დაპატიმრების, აგრეთვე შინაპატიმრობისა და სამედიცინო დანესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დროის ჩათვლის შესახებ;
- ზ) გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ;
- თ) მსჯავრდებულისათვის განაჩენის აღსრულების გადავადების ხანგრძლივობა და მისთვის დაკისრებული მოვალეობები;
- ი) სამოქალაქო სარჩელის გადაწყვეტა;
- კ) ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა;
- ლ) გადაწყვეტილება მსჯავრდებულისათვის სახელმწიფო ჯილდოს, სამხედრო, საპატიო ან სპეციალური ნოდების ჩამორთმევის შესახებ;
- მ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;

ნ) სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტა;

ო) დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა.

თუ განსასჯელს ნაყენებული ჰქონდა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, რომელ ბრალდებაში გაამართლეს განსასჯელი და რომელში დასდეს მსჯავრი. სასჯელის მოხდისაგან განსასჯელის განთავისუფლების შემთხვევაში ეს უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში. ყველა შემთხვევაში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

სსსკ-ის 510-ე მუხლი განსაზღვრავს გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილის შინაარსს. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: ბრალდების არსი, რომლითაც ბრალდებული სამართალში მისცეს; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასარწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ემყარებოდა განსასჯელის მიმართ ნაყენებული ბრალდება, ანდა რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული; სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.

გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, თანახმად სსსკ-ის 511-ე მუხლისა, აღინიშნება:

ა) განსასჯელის სახელი და გვარი;

ბ) გადაწყვეტილება განსასჯელის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების შესახებ;

გ) გადაწყვეტილება განსასჯელისათვის შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ, ხოლო თუ იგი პატიმარია, – გადაწყვეტილება სასამართლო სხდომის დარბაზიდან მისი დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ;

დ) გადანყვეტილება წარდგენილი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

ე) გადანყვეტილება საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გაუქმების შესახებ, თუ ასეთი ღონისძიება განხორციელდა;

ვ) გამართლებულის უფლება, აუნაზღაურდეს მიყენებული ქონებრივი და მორალური ზიანი 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით;

ზ) განაჩენის გასაჩივრების უფლება;

თ) რა ვადაში და სად შეიძლება გასაჩივრდეს განაჩენი.

განაჩენის ხელმოწერის შემდეგ სასამართლო (მოსამართლე) ბრუნდება სასამართლო სხდომის დარბაზში და თავმჯდომარე ან რომელიმე მოსამართლე აცხადებს განაჩენს. სასამართლო სხდომის დარბაზში ყველა დამსწრე, მათ შორის, სასამართლო შემადგენლობა, განაჩენს ფეხზე ამდგარი ისმენს. თუ განაჩენი დაწერილია იმ ენაზე, რომელიც განსასჯელმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის, განაჩენის გამოცხადებისთანავე ან სინქრონულად ის უნდა წაიკითხოს თარჯიმანმა განსასჯელის მშობლიურ ენაზე ან მისთვის გასაგებ სხვა ენაზე. თავმჯდომარე განსასჯელსა და პროცესის სხვა მონაწილეებს განუმარტავს განაჩენის გასაჩივრების წესსა და ვადებს. განსასჯელს განუმარტავენ აგრეთვე შეწყალების შესახებ შუამდგომლობის უფლებას.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება

სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების უფლებით საქართველოში რეალიზებულია სისხლის სამართლის საქმის არანაკლებ ორ სასამართლო ინსტანციაში განხილვის უფლება. ეს უფლება ასევე გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 პროტოკოლის მე-2 მუხლით.

სააპელაციო საჩივრის განხილვა სავალდებულოა, რაც ნიშნავს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ხელახალ არ-

სებით განხილვას, რაც გულისხმობს ახალი სასამართლო გამოძიების ჩატარებით მტკიცებულებათა ხელახალ გამოკვლევას უშუალოდ პრინციპის დაცვით. სააპელაციო საჩივარი მხარეთა მიერ შეიძლება შეტანილი იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის როგორც დასაბუთებულობის, ისე კანონიერების თაობაზე. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ცვლის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს.

სააპელაციო განხილვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა, რაც მოცემულია საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლში. ამ დებულების თანახმად, სააპელაციო ინსტანციას უფლება არა აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის კოდექსის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის თანხა ან მიიღოს მსჯავრდებულისათვის სხვა არასასიკეთო გადაწყვეტილება, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მსჯავრდებულის, დამცველის, მსჯავრდებულის კანონიერი წარმომადგენლის, სამოქალაქო მოპასუხის ან მისი წარმომადგენლის საჩივრის საფუძველზე და საჩივარი არ შეუტანია პროკურორს, დაზარალებულს ან ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის სხვა მონაწილეს. სააპელაციო ინსტანციას უფლება აქვს გამამართლებელი განაჩენის ნაცვლად გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი, გამოიყენოს სისხლის სამართლის უფრო მკაცრი მუხლი, დანიშნოს უფრო მკაცრი სასჯელი, გაზარდოს სამოქალაქო სარჩელის გამო გადასახდელი თანხა ან სხვა გზით გააუარესოს მსჯავრდებულის მდგომარეობა, თუ პროკურორმა, დაზარალებულმა, ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის სხვა მონაწილემ შეიტანა სააპელაციო საჩივარი სწორედ ამ მოთხოვნით და თუ მათ ასეთი პოზიცია ეკავათ პირველი ინსტანციის სასამართლოში. სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს გასცდეს ბრალდების ფარგლებს, რომელიც მსჯავრდებულს ნაუყენეს წინასწარი გამოძიების დროს და რომელსაც მხარი დაუჭირეს პირველი ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული პირობების არსებობისას მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესება შესაძლებელია, თუ საჩივარი შეიტანეს ბრალდების მხარის წარმომადგენელმა პროცესის მონაწილეებმა. მსჯავრ-

დებულის მდგომარეობის გაუარესება დაუშვებელია იმ საფუძველზე, რომელიც ბრალდების მხარის წარმომადგენელ პროცესის მონაწილეთა სააპელაციო საჩივარში არ არის მითითებული. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა გამამართლებლის ნაცვლად შესაძლებელია, თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ სასამართლო გამოძიება სრული მოცულობით ჩაატარა. თუ სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ გააუქმა განაჩენი დაცვის მხარის საჩივრით, როცა ბრალდების მხარის საჩივარი არ არსებობს, დამატებითი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას ბრალდებულის მდგომარეობა არ უნდა გაუარესდეს. ბრალდების მხარის საჩივრით განაჩენის გაუქმებისას გამოძიებელს, რომელიც დამატებით გამოძიებას ატარებს, და პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელიც ხელახლა განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, შეუძლიათ მსჯავრდებულის მდგომარეობა გააუარესონ მხოლოდ იმ საფუძველით, რომელიც მითითებული იყო სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

12. შემთხვევის დამუშავების მეთოდика

სისხლის სამართლის საქმის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ცოდნასა და სწორ გამოყენებასთან ერთად, მოსამართლისაგან მოითხოვს მატერიალური სამართლის ზედმინვენით ცოდნასა და შემთხვევის დამუშავების მეთოდის გამოყენებით დანაშაულის სწორ კვალიფიკაციას (სუბსუმციას). აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების მიღების იდეალური მეთოდი: თავდაპირველად ხდება შემთხვევის შესწავლა. შემდეგ, შემთხვევის ამოხსნის ტექნიკის გამოყენებით ჩადენილი ქმედების შესაბამისობის დადგენა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობასთან.

თავდაპირველად ხდება მუშაობა საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე და საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ნებისმიერი შემთხვევის ამოხსნა იწყება აუცილებლად იმით, რომ მოსამართლე საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ზუსტად სწავლობს. ეს არის საფუძველი

იმისათვის, რომ ყველა იურიდიული პრობლემა ამოცნობილი და ზუსტ სუბსუბციას დაქვემდებარებულ იქნეს. როგორც წესი, არ არის საკმარისი ერთი წაკითხვა, განსაკუთრებით როცა საქმის ვითარება მონაწილეთა რაოდენობის და ქმედებათა რაოდენობის გამო სირთულის განსაკუთრებული მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მუშაობა საქმის მასალებზე ამ შემთხვევებში ნიშნავს არა მარტო წაკითხვას, არამედ გულისხმობს აქტიურობას. ასე, მაგალითად, საქმის მასალები, რომლებიც სხვადასხვა მონაწილეებს ეხება, შეიძლება სხვადასხვა ფერით გაიხაზოს.

საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ვურჩიოთ მოსამართლეებს, როცა შესაძლებელია, ყოველთვის გააკეთოს საქმის გარემოებების სქემა (მოკლე ჩანაწერები), რომელიც პროცესზე მხარეთა მოსმენისა და შემთხვევის დამუშავების დროს ყოველთვის დაგეხმარება, რადგან მას ახასიათებს თვალსაჩინოების მაღალი ხარისხი. ამით მოსამართლე განსაკუთრებით კარგად გაიშინაგანებს ფაქტობრივად მომხდარ მოვლენებს.

განხვავება არსებობს დასკვნისა და განაჩენის სტილს შორის. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან განსხვავდება განაჩენისა და დასკვნის ფორმა.

განაჩენში თავდაპირველად იწერება მოსამართლის მიერ უკვე მოპოვებული შედეგი. იგი ავტომატურად წინ უძღვის დასაბუთებას (ე.წ. ტენორი) და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს ალტერნატიული ნაწილისა და დასაბუთების ჩამოყალიბება.

განაჩენისაგან განსხვავებით დასკვნაში ავტორი მკითხველს არწმუნებს პოზიციის სისწორეში, რომ ამოხსნა სწორია. აქ შეიძლება სხვადასხვა განსხვავებული ალტერნატიული შეხედულებების მითითება.

**სისხლის სამართლის საქმეებზე
მიღებული სასამართლო განაჩენი
(განაჩენის ჩამოყალიბება)**

ა) შესავალი

სისხლის სამართლის სასამართლოს მოსამართლის საქმიანობაში მუშაობის დიდი ნაწილი ეთმობა განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას. განაჩენის შეცვლის ან გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს სწორედ განაჩენში დაშვებული შეცდომა.

სისხლის სამართლის განაჩენის საბოლოო ვარიანტის წერილობითი ფორმით მხარეებისათვის გადაცემას ყოველთვის წინ უსწრებს მისი გამოქვეყნება. პროცესის დამთავრების შემდეგ მოსამართლე (სასამართლო) შედის სათათბირო ოთახში, სადაც ლებულობს გადაწყვეტილებას და აცხადებს საჯაროდ.

ბ) განაჩენის სტრუქტურა

ა) განაჩენის შესავალი ნაწილი – წოდებული რუბრუმად

I სასამართლო საქმის ნომერი

(შესაძლებელია პროკურატურის საქმის ნომრის მითითებაც)

II სასამართლოს დასახელება

(გვერდის შუაში)

III „საქართველოს სახელით“

(სსსკ 495 მ.)

IV „განაჩენი“

(უშუალოდ რუბრუმის დასაწყისი; შინაარსი)

(სსსკ 507 მ.)

V „სისხლის სამართლის საქმე“... მიმართ

(განსასჯელის ზუსტი სახელი და გვარი და მონაცემები. ბრალდებაში მოცემული უნდა იყოს ჩადენილი ქმედების ზუსტი კვალიფიკაცია (მუხლი, ნაწილი, ქვეუნიქტი). ნასამართლობის არსებობის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ზუსტი მონაცემები ნასამართლობაზე. საბრალდებო დასკვნაში განსასჯელთა მრავალრიცხოვნებისას ყურადღება უნდა მიექცეს ალფავეიტურ თანმიმდევრობას. დანაშაულის მოკლე მონაცემი, განაჩენის საგანი – დანაშაულის სიმრავლისას შესაძლებელია მხოლოდ უმძიმესი დელიქტების მითითება)

VI განაჩენის გამომტანი ორგანო

(სსსკ 507(გ) მ.)

„პირველი ინსტანციის სასამართლო, სააპელაციო სასამართლო“ – მას მოსდევს კოლეგიის ან პალატის დასახელება და სასამართლოს ადგილმდებარეობა

VII სხდომის თარიღი

„ამა და ამ რიცხვის მთავარი სხდომის საფუძველზე...“ ან „ამა და ამ რიცხვის სხდომაზე“.

მრავალდღიანი სხდომისას უმრავლეს შემთხვევაში ყველა სხდომა აღინიშნება; მნიშვნელოვანი ამ მხრივ განაჩენის გამოცხადების დღეა.

VIII მონაწილეები

(სსსკ 507(გ) მ.)

„რომელშიც მონაწილეობდნენ“: თანამიმდევრობა სახელებითა და გვარებით, პროფესიით და თანამდებობით

- თავმჯდომარე, მოსამართლეები
- სახელმწიფო ბრალმძებელი, პროკურატურის წარმომადგენელი
- დამცველი
- დაზარალებული და მისი წარმომადგენელი
- სამოქალაქო მოსარჩელე, მოპასუხე და მათი წარმომადგენლები
- სასამართლო სხდომის მდივანი

იმ შემთხვევაში, თუ მრავალდღიან პროცესის სხდომებში მონაწილეობენ პროკურატურის სხვა წარმომადგენლები და სასამართლო კანცელარიის სხვა თანამშრომლები, ჩვეულებრივ საჭიროა ყველა მონაწილის აღნიშვნა და ზუსტი თარიღების დაფიქსირება.

ბ) სარეზოლუციო ნაწილის მითითება გამოყენებული კანონის ნორმაზე

„დაადგინა შემდეგი:“

(*მრავალდღიანი მთავარი სხდომისას აღინიშნება უკანასკნელი სხდომის თარიღი: „2000 წლის 11 აპრილს დაადგინა შემდეგი:“*)

გ) განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი/ტენორი

I ზოგადი ნაწილი

1) განაჩენის მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან მისით დგინდება კანონის მოქმედების და აღსრულების ფარგლები

(სსსკ 509 მ.)

2) განასხვავებენ არსებით განაჩენსა და საპროცესო განაჩენს (რომელიც ცნობილია განჩინების სახელწოდებით)

ა) არსებითი განაჩენი ხასიათდება:

- მისჯით
- სასჯელის ზომისა და სახის დანიშვნით
- ბრალეულობის დადგენითა და სასჯელისაგან განთავისუფლებით
- ბრალეულობის დადგენითა და სასჯელის გადავადებით
- გამართლებით

ბ) განჩინების (ე.წ. საპროცესო განაჩენის) დროს წარმოება „წყდება“ სისხლისამართლებრივი დასჯის პროცესუალური წინაპირობების არარსებობის გამო ან იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობენ სისხლისამართლებრივი წარმოებისათვის ხელისშემშლელი პირობები. სასამართლო პრაქტიკისათვის ამ მხრივ მნიშვნელოვანია შემთხვევები, რომლებიც გათვალისწინებულია სსსკ-ის 28-ე მუხლით, კერძოდ, როდესაც:

- კერძო ბრალდების საქმეთა გამო დაზარალებული შეურიგდა ბრალდებულს, რის გამოც უარი თქვა საჩივარზე
- ხანდაზმულობა და ა.შ.

სსსკ-ის 28-ე მუხლში მოცემულია ორი კატეგორია გარემოებებისა, რომელთა სასამართლო განხილვის სტადიაზე გამოვლენის შემთხვევაში სასამართლო ამთავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს: 1. განაჩენი, კერძოდ, (ა) გამამართლებელი განაჩენი; (ბ) გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ განსასჯელს ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან, ხოლო სხვა შემთხვევაში 2. განჩინება (რომელიც წარმოადგენს ე.წ. საპროცესო განაჩენს).

II. შინაარსი

1) გამამტყუნებელი განაჩენი

ა) – დანაშაულის სამართლებრივი დასახელება

მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით

ბ) – სასჯელის დადგენა:

ფულადის ჯარიმის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს ჯარიმის სიდიდე და დღიური ანაზღაურების ოდენობა.

(სსკ 42 მ.)

თუ თავისუფლების აღკვეთა დაკავშირებულია პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან, განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში უნდა აღინიშნოს პირობითი მსჯავრის დანიშვნის შესახებ, ასევე, თუ რა ვადით ინიშნება სასჯელი და რამდენია გამოსაცდელი ვადა, რა მოვალეობების დაკისრება მოხდა მსჯავრდებულისათვის და პრობაციის რომელ ბიუროს დაეკისრა კონტროლი.

(სსკ 63-66 მ.)

ზოგიერთ ქვეყანაში გამამტყუნებელ განაჩენებში აღინიშნება მხოლოდ პირობითი მსჯავრის გამოყენების შესახებ, ხოლო გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობისა და დაკისრებული მოვალეობების შესახებ განაჩენში არ აღინიშნება. (ამის შესახებ აღინიშნება განაჩენისაგან დამოუკიდებელ განჩინებაში).

გ) დამატებითი სასჯელის და სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიების გამოყენება

დ) თავისუფლების აღკვეთის გადავადება იმავე განაჩენით, ხოლო მისი გამოტანის შემდეგ განჩინებით (დადგენილებით).

(სსსკ-ის 607 მ.)

ე) გამოხატვის ენობრივი სტილი:

მოკლე და ლაკონური. დანაშაულის სამართლებრივი დაკვალიფიცირება არ უნდა აგვერიოს საქმის გარემოებების ელემენტებში (არ არის დაშვებული, მაგალითად, ასეთი სტილი: ცნობილ იქნეს დამნაშავედ „ველოსიპედის მოპარვის გამო“).

აა) მარტივი საქმეებისას (როგორც წესი, ერთი განსასჯელი და მაქსიმუმ ოთხი დანაშაულებრივი ქმედება) დანაშაულის და სასჯელის

აღნიშვნა მოიცავს ერთ წინადადებას, მაგალითად ასე: „ბრალდებულს ყაჩაღობის გამო მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) წლით“ ან შემდეგნაირად: „განსასჯელს იძულების და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის დანაშაულთა ერთობლიობით მიესაჯა ფულადი ჯარიმა 300 დღიური ანაზღაურების ოდენობით, ყოველდღიური 20 ლარის ანზღაურებით, რაც მთლიანობაში შეადგენს 6000 ლარს“

ან „მსჯავრდებულებს ა. და ბ.-ს ჯგუფური ქურდობისათვის მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა 10 (ათი) თვის ვადით, რომელიც ჩაეთვალათ პირობით ერთი წლით გამოსაცდელი ვადის დანიშვნით“.

ბბ) უფრო მეტად კომპლექსური და რთული საქმეებისას თავდაპირველად აღინიშნება ბრალეულობის დადგენა (საფუძვლად არსებული ქმედებების სამართლებრივი აღწერით); მას მოსდევს სასჯელის ზომის განსაზღვრა და სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებები.

ასეთი დანაწილება (ჯერ ბრალეულობის დადგენა და შემდეგ სასჯელის დანიშვნა) მიზანშეწონილია უმეტესად რამდენიმე განსასჯელის არსებობის შემთხვევაში (თუკი მათ ასამართლებენ არა ერთი-დაიგივე ან ერთად ჩადენილი ქმედებისათვის) და როცა დადგენილი სასჯელები განსხვავებულია. განსასჯელები ამ შემთხვევაში უნდა დასახელდნენ სახელებით და გვარებით.

მაგალითად:

1. დამნაშავედ იქნა ცნობილი:

1) განსასჯელები ა. და ბ. ქურდობის 11 შემთხვევის გამო – მათგან ერთ შემთხვევაში, დანაშაულთა ერთობლიობით, რაც გამოიხატა დოკუმენტების განადგურება-დაზიანებაში, მეორე შემთხვევაში კი თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაში.

2) განსასჯელი შ. გაუპატიურების მცდელობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის გამო;

3) მსჯავრდებული ლ. გაუპატიურების ნაქეზებაში;

4) განსასჯელები ე. და გ. შვიდგზის ქურდობის დახმარებასა და წინასწარი შეცნობით მოპარული ნივთის შეძენის 10 შემთხვევაში.

II. მიესაჯოს:

1) განსასჯელ ა.-ს, ქარელის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 14 მარტს გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გათვალისწინებით თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 9 თვის ვადით;

2) განსასჯელ შ.-ს თავისუფლების აღკვეთა 6 წლითა და 10 თვის ვადით;

3) განსასჯელ ლ.-ს, თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 6 თვით, რაც ჩაეთვალოს პირობით ორი წლით გამოსაცდელი ვადის დანესებით და ა.შ.

III. დამატებითი გადანყვეტილება:

დანაშაულის იარაღის, საშუალების და საგნის ბედის გადანყვეტილების შესახებ. მსჯავრდებულ ა.-ს მიმართ მიღებულ იქნა პრევენციური გადანყვეტილება: ამოღებულ იქნა პისტოლეტი WALTHER cal. 7,65 მმ, NC3308756, რომელიც ეკუთვნოდა მსჯავრდებულს, მჭიდით და 20 ტყვიით, ასევე ბრალდებულ ა. კუთვნილი ავტომობილი დაიმლერ ბენცი ნომრით 83783, ასევე მართვის მოწმობა".

გ) სამართალდახასიათების თავისებურებანი

აა) ქმედების განსაკუთრებით მძიმე, მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულად კლასიფიკაცია საჭირო არ არის მოხვედეს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში

ბბ) ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტები: „განზრახი“ ან „გაუფრთხილებელი“ (რასაც კლასიკური სისტემით ბრალის ფორმები ჰქვია) უნდა აღინიშნოს განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში, როცა ქმედების ორივე ფორმით ჩადენა დასჯადია, განსაკუთრებით მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ნივთის განადგურების ან დაზიანების შემთხვევებში;

გგ) თანამონაწილეობის ფორმის აღნიშვნა ასევე ქმედების სამართლებრივი აღწერილობის შემადგენელი ნაწილია. სარეზოლუციო ნაწილში აღინიშნება მხოლოდ ორგანიზატორი, ნამქეზებელი და დახმარება და იქ არ უნდა იყოს აღნიშვნა იმისა, რომ განსასჯელი ამსრულებელია. მითითება თანამსრულებლობაზე ან შუალობით ამსრულებლობაზე სარეზოლუციო ნაწილში არ კეთდება;

დდ) სარეზოლუციო ნაწილში არ შეიძლება იყოს აღნიშნული იმის შესახებ, განსასჯელს ბრალი მიუძღვის განსაკუთრებით მძიმე, მძიმე თუ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში

ეე) სხვაგვარადაა საქმე კვალიფიციური შემადგენლობისას, სადაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს დანაშაულის დამამძიმებელი გარემოების შესახებ, მაგალითად, 109-ე მუხლით კვალიფიკაციის დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს: „ანგარებით“ თუ „შეკვეთით“.

ვე) სარეზოლუციო ნაწილში აუცილებლად უნდა აღინიშნოს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის შესახებ, სსკ-ის მე-18 და მე-19 მუხლების მითითებით, რადგან ისინი არ წარმოადგენენ დანაშაულის დამოუკიდებელ შემადგენლობებს.

დანაშაულთა ერთობლიობა

აა) დანაშაულთა იდეალური ერთობლიობის დროს (ერთი ქმედებით განხორციელებულია სხვადასხვა შემადგენლობა) – ტენორი უნდა შეიცავდეს უკლებლივ ყველა იმ სისხლისსამართლებრივ ნორმაზე მითითებას, რომლის საფუძველზეც ხდება გასამართლება. კონკურენციის დროს გამოყენებულია ფრაზები: „... ამასთან ერთად...“, „...ამასთან კავშირში...“, „... ქმედებათა ერთობლიობით...“

მაგ: განსასჯელს მიესაჯოს დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ყაჩაღობისათვის და ამასთან ერთად სხეულის განზრახ დაზიანებისათვის 6 წლისა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ერთგვარ დანაშაულთა ერთობლიობის დროს (ერთიდაიგივე დელიქტის მრავალჯერადი ჩადენით...) ფორმულირება იქნება ასეთი:

მიესაჯოს განსასჯელს, რომლის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევამ გამოიწვია სამი პირის სხეულის მძიმე დაზიანება...

ბბ) დანაშაულთა სიმრავლის დროს (სხვადასხვა დელიქტების შემთხვევები გამონვეული სხვადასხვა ქმედებებით)

დანაშაულთა ერთობლიობის დროს ფორმულირება შესაძლოა იყოს ასეთი:

მსჯავრდებული დამნაშავეა თაღლითობის შეიდი, მითვისების სამი შემთხვევის ჩადენაში, ასევე მუქარის ჩადენაში.

გგ) დანაშაულის ალტერნატიული შემადგენლობის დადგენა (სასამართლოს არ შეუძლია იმის დადგენა კონკრეტულ შემთხვევაში

რომელ დელიქტს ჰქონდა ადგილი). პრაქტიკაში არსებული ხშირი შემთხვევებია:

ქურდობა /წინასწარი შეცნობით ნაქურდალი ნივთის შეძენა; ყაჩაღობა/ გამოძალვა; დანაშაულის ჩადენა/ნაქეზება.

ტენორში ხდება მსუბუქი კანონის მოხსენიება შემდეგი ფორმულირების დართვით: ჩადენილია ... დანაშაული – ალტერნატიული შემადგენლობის დადგენის გზით.

მაგალითად, მსჯავრდებულს მსჯავრი უნდა დაედოს ყაჩაღობის ან შეუტყობინებლობის გამო. ალტერნატიულ შემადგენლობათაგან მსჯავრი დაედო შეუტყობინებლობის ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა...”

2) ნაწილობრივი გამამტყუნებელი განაჩენი

(სსსკ-ის 502/2 მ.)

ა) ფორმულირებების ვარიანტები:

განსასჯელი ბრალდების ნაწილში ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს ბრალდების სხვა ნაწილებში გამართლდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

განსასჯელი თაღლითობის ათი შემთხვევის ჩადენაში ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს..., ხოლო თაღლითობის ორი სხვა შემთხვევა მოეხსნას და გამართლდეს ამ ნაწილში ბრალის დაუდასტურებლობის გამო. (ბრალის დაუდასტურებლობის მოტივით საქმის შეწყვეტა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მიხედვით ნიშნავს პირის გამართლებას და მის სრულ რეაბილიტაციას).

3) გამამართლებელი განაჩენი

(სსსკ 504 მ.)

„განსასჯელი თავისუფლდება ბრალდებისაგან გამართლების საფუძველზე“

4) კომპენსაციის გადაწყვეტილება

(სსსკ-ის 219 და მომდევნო მუხლები)

ა) მთავარი შემთხვევები: დაკავება, წინასწარი პატიმრობა.

გადაწყვეტილება განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ეხება მხოლოდ საფუძვლებს, არა ზიანის ანაზღაურების სიდიდეს. მასში მოცემული უნდა იყოს ის, რომ ექვემდებარება ზიანის სავალდებულო ანაზღაურებას.

ბ) აა) გამართლებისას მნიშვნელოვანია:

„განსასჯელს, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით 1999 წლის 10 ნოემბრიდან 2000 წლის 12 იანვრამდე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, გადაეხადოს კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან“.

(სსსკ 222 II მ.)

ბბ) მაგრამ:

თუ არ იქნება მიღებული კომპენსაციის შესახებ გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებაში წერია:

„სახელმწიფო არ არის ვალდებული, განსასჯელის წინასწარი პატიმრობისაგან მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს“.

ანდა

„პოლიციის მიერ დაკავებისაგან მიყენებული ზარალის ანაზღაურებაზე უარი ეთქვას“.

III გამოყენებული დებულებები

(სსსკ 509, I, გ)

გამოსაყენებელია ყველა ნორმა, რომლებიც ეხებიან ბრალეულობის დადგენასა და სამართლებრივი შედეგების შეფარდებას:

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს ბრალეულობის დადგენისათვის უნდა აღინიშნოს:

გასასამართლებელი დანაშაულის შემადგენლობის ნორმები კვალიფიკაციური, ალტერნატიული და პრივილეგიური ხასიათისა, მათი ბრალეულობის სახელწოდების აღნიშვნით

(მნიშვნელოვანია: ნორმები ზუსტად უნდა იყოს კანონით, მუხლით, ნაწილით, ქვეპუნქტით, წინადადებით მითითებული).

- თანამონაწილეობის სახე (სსკ 22,23,24)

- დანაშაულის ჩადენის სახე (სსკ 15,16,17)

- დანაშაულის ერთობლიობა (სსკ 59)

ბ) გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სასჯელის დანიშვნის დროს უნდა აღინიშნოს:

- ყველა შემთხვევაში სასჯელის შემსუბუქებისა და გამკაცრების საფუძვლები (სსკ 58)

- გამოსაცდელი ვადის შესახებ (სსკ 63)

- უზრუნველყოფის ღონისძიების და ასევე დამატებითი სასჯელის და იძულებითი ღონისძიების შესახებ (სსკ 101)

გ) არ არის საჭირო:

- სასჯელის დანიშვნის ზოგადი ნორმების მითითება (სსკ 39 და მომდევნო მუხლები)

- ხარჯების განსაზღვრა (სსსკ 218 და მომდევნო მუხლები)

დ) განაჩენის დასაბუთება

1. ზოგადი

1) დასაბუთებითი დებულებები ისე უნდა იყოს გაკეთებული, რომ ისინი შეიცავდნენ ყველაფერს არსებითს და არაფერ ზედმეტს. ისინი უნდა წარმოადგენდნენ არგუმენტებს, არის თუ არა და რატომ არის მოცემულ ბრალდებაში აღწერილი ქმედება დასაბუთებული და (საბრალდებო ვერდიქტის შემთხვევაში) რას წარმოადგენს იგი სამართლებრივად, ამასთან ერთად, თუ რომელი მოსაზრებებიდან გამოდის დასამართლო სასჯელის განსაზღვრისას.

2) სტრუქტურის მიმოხილვა:

ა) მისჯისას/ბრალეულობის განსაზღვრისას

I. განსასჯელის პირადი მონაცემები

(სსსკ 508/1 მ.)

II. დასაბუთებები (საქმის ვითარების დახასიათება)

- დანაშაულის გარეგანი/ობიექტური შემადგენლობისათვის

- დანაშაულის შინაგანი/სუბიექტური შემადგენლობისათვის

- გარემოებებისათვის, რომლებიც დაამტკიცა მთავარმა სხდომამ და რომლებიც გათვალისწინებული არიან სისხლის სამართლის კანონ-

ნის მიერ, როგორც დასჯადობის გამომრიცხველი, შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი.

იმ მტკიცებულებების საბოლოო გადმოცემა, რომლებიც მოხმობილია გადანყვეტილების დასასაბუთებლად.

III. მტკიცებულების შეფასება

უნდა აღინიშნოს, თუ როგორ დარწმუნდა სასამართლო დამტკიცებულად ჩათვლილ ფაქტებში.

– განსასჯელის მონაცემები და ჩვენება, ან, რომ მან გამოიყენა დუმილის უფლება

– დისკუსია მტკიცებულებებზე (ლოგიკის კანონები, მონმეთა ჩვენებების დამაჯერებლობა, მონმეთა და დანარჩენ მტკიცებულებათა სარწმუნოება)

– განსაკუთრებული არაპირდაპირი მტკიცებულებები

IV. სამართლებრივი დასაბუთებები, ახსნა-განმარტებები/სისხილს სამართლის კანონის დებულებების განხილვა

V. სასჯელის დანიშვნა

(სსსკ 508 მუხლი II)

(გადანყვეტილების გამოტანისას გამოყენებულ უნდა იქნეს არასრულწლოვანთა შესახებ ნორმები ან ზოგადი სისხლის სამართლის დებულებები)

– მსუბუქი ან განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების არსებობის დადგენა

(სსკ 54, 58)

– სასჯელის ფარგლების გარკვევა

– გადანყვეტილება თავისუფლების აღკვეთის ან არასაპატიმრო სასჯელის ღონისძიების გამოყენების თაობაზე (მაგალითად, ფულადი ჯარიმა)

– სასჯელის ზომის განსაზღვრა (მაგალითად, თავისუფლების აღკვეთის ვადა ან ჯარიმის დღიური ოდენობა)

– სასჯელის საბოლოო ზომის განსაზღვრა

– გადანყვეტილება პირობითი მსჯავრის გამოყენების თაობაზე (სასჯელის აღსრულების გადავადება და ა.შ.)

VI. გადაწყვეტილება დამატებით სასჯელზე და სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებზე
(კომპენსაციის/ზიანის შესახებ გადაწყვეტილება; სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტა)

VII. გადაწყვეტილება სამართალწარმოების ხარჯების შესახებ

ბ) გამამართლებელი განაჩენის გამოტანისას გამოიყოფა შემდეგი:

- I. სასამართლოს მიერ სამართალში მიცემის დროს საქმის განხილვის დაწყების შესახებ გამოტანილი განჩინების (დადგენილების) და საბრალდებო დასკვნის შინაარსი (სსსკ-ის 510-ე მ.)
- II. ქმედების შემადგენლობის დაუმტკიცებლად ჩათვლილი ნიშნების წარმოდგენა
- III. გამართლებისას სამართლებრივი საფუძვლების განხილვა
- IV. საჭიროების შემთხვევაში კომპენსაციის გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა
- V. გადაწყვეტილება ხარჯების შესახებ

გ) ნაწილობრივი გამართლების დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლები და შემდეგ უნდა მოხდეს მსჯელობა გამამართლებელი გარემოებების არსებობის შესახებ. ბოლოს კი უნდა გადაწყდეს რეაბილიტაციისა და სასამართლო ხარჯების საკითხი

II. გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა

ა) განსასჯელის პიროვნული მონაცემები უნდა იყოს წარმოდგენილი, როდესაც ეს მნიშვნელოვანია პირის ბრალეულობისა და სასჯელის საკითხის გადასაწყვეტად.

(სსკ-ის 53/3)

სისხლის სამართლის მოსამართლეების (I ინსტანცია) მიერ განაჩენის გამოტანის დროს, სრულებით საკმარისია პროფესიის, ოჯახური

მდგომარეობის და შემოსავლის აღნიშვნა. მაგალითად: „განსასჯელი მუშაობს შპს „ძრავების სარემონტო ფირმის“ მუშად. მისი სუფთა შემოსავალ თვეში 380 ლარს შეადგენს. ის დაქორწინებულია და ჰყავს სამი შვილი. ის თავისი ოჯახისაგან განცალკევებით ცხოვრობს. ადრე ნასამართლელი არ ყოფილა“.

არასრულწლოვანი და მოზარდი (დაახლოებით 21 წლამდე) ბრალდებულისათვის განაჩენის გამოტანის დროს, განსასჯელის პირადი ცხოვრებისეული ურთიერთობების აღნიშვნის გარდა, პირველ რიგში საჭიროა მისი ოჯახური და პროფესიული მდგომარეობის აღნიშვნა; სექსუალური დანაშაულის დროს უნდა აღინიშნოს მისი სექსობრივი მომნიშვნის და განვითარების მდგომარეობის შესახებ

(სსკ 137 და მომდევნო მუხლები)

ბ) ადრეული ნასამართლობა მითითებული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის, რადგან ეს მნიშვნელოვანია სასჯელის საკითხის განსაზღვრისათვის. ასე, მაგალითად, მას მნიშვნელობა აქვს დანაშაულის კვალიფიკაციისათვის, ასევე სასამართლო ადრე ნასამართლობას ყურადღებას აქცევს სასჯელის განსაზღვრის დროს, ჯარიმა იზრდება, ანდა პირობითი მსჯავრი თავისუფლების აღკვეთით იცვლება, როცა პირი ადრე ნასამართლელი იყო და კვლავ ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

(სსკ მე-17 მ.)

2) სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები

უნდა იყოს მოცემული მონაცემები იმ ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე, რომლითაც დამტკიცებული იქნა ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო ნიშნების არსებობა

ა) ზოგადი

აა) დადგენილებები შეიცავენ მთავარი სასამართლო სხდომის დასკვნების მოკლე და ნათელ გადმოცემას წარდგენილი ბრალდების გარემოებების შესახებ. აქ სასამართლომ ყველა გარემოება უნდა მიუთითოს, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ სასამართლომ ქმედების სუბსუმცია კანონის შესაბამისი ნორმის მიხედვით სწორად მოახდინა, კონკრეტულად კი

- ქმედების ობიექტური (გარეგანი) და
- სუბიექტური (შინაგანი) შემადგენლობები სწორად დაადგინა.

სხვანაირად რომ ვთქვათ:

დადგენილებაში მოყვანილია ისეთი ფაქტები, რომლებიც დანაშაულის ჩადენის ფაქტებს ობიექტური და სუბიექტური ნიშნების მიხედვით სწორად ადგენენ.

წესი: ყოველ წინადადებაზე შეეკითხეთ თქვენს თავს, რასაც იშველიებთ და აკეთებთ, არის თუ არა და სად არის გამოსადეგი ფაქტობრივი გარემოებებისა და ქმედების შემადგენლობის ნიშნების დასადგენად ან სასჯელის დანიშვნის დროს ანდა ხელს უწყობს თუ არა ამ პროცესის სულ მცირე ნაწილობრივ მაინც განხორციელებას.

ბ) ასევე დადგენილებების მოცულობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს:

მაგალითი:

„განსასჯელი 1999 წლის 24 ნოემბერს, ღამით, კიბის საშუალებით ღია ფანჯრიდან გადაძვრა თბილისში მდებარე ფირმა „ხალისის“ ოფისში. მან იქ გაჩხრიკა ორი საწერი მაგიდა და გაიარა ორი კარები. ამასთან გააფუჭა ორი საკეტი. წასვლისას განსასჯელმა ორი კალკულატორი წაიღო თან, რომლებიც სხვა უცნობ პირს მიჰყიდა. მიუხედავად ზედმეტი ალკოჰოლის მიღებისა, მას ჯერ კიდევ შეეძლო თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობის გააზრება და ამ გააზრების მიხედვით მოქმედება“.

გ) მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური ხასიათის ფაქტობრივი გარემოებების გარჩევის დროს ყოველთვის შემონმდეს, შეესაბამებინ თუ არა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები გამოსაყენებელ ნორმაში მოცემულ ქმედების შემადგენლობის ყველა ნიშანს, რადგანაც, თუნდაც თუ ერთი ქმედების შემადგენლობის ნიშანი არ იქნება დადგენილი, განსასჯელი უნდა განთავისუფლდეს.

დ) ასევე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ არაა აუცილებელი, ქმედების შემადგენლობის ცალკეული ნიშნები დადგენილი იქნეს კანონის ტექსტთან სიტყვასიტყვითი შესაბამისობით, არამედ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი დეტალებით უნდა იქნენ განმარტებული.

ცალკეული საკითხები:

ა) თანაამსრულებლობისას ობიექტურად ყოველი ამსრულებლის თანაქმედება დანაშაულის ცალკეული მომენტების ანდა მთლიანი დანაშაულის ჩადენაში უნდა იქნას დადგენილი.

სუბიექტურად ამას უნდა დაერთოს,

- რომ ყოველი თანაამსრულებლის განზრახვა საერთო დანაშაულის ჩადენას და ასევე სხვების მიერ ჩადენილ დანაშაულის ნაწილებს მოიცავს,

და

- რომ თანაამსრულებლები საერთო დანაშაულს ხელს უწყობენ როგორც საკუთარს და არა როგორც მხოლოდ ვიღაც უცხო დანაშაულს.

ასე რომ საკმარისი არ არის, დავასკვნათ: „განსასჯელები ერთად მოქმედებდნენ“.

ბ) ნაქეზებისა და დახმარებისათვის უნდა განისაზღვროს:

- ამსრულებლის განზრახვი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება, სადაც მითითებული უნდა იყოს ამსრულებლის ქმედების აღწერაზე და აგრეთვე ის, რომ თანამონაწილემ ამის შესახებ იცოდა.

- რომ დანაშაულში თანამონაწილე პირს ამსრულებლის მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და ქმედების შემადგენლობის ნიშანთვისებები გაცნობიერებული აქვს.

გარდა ამისა

- ნამქეზებლებთან, რომ მას დანაშაულის ჩადენა ამსრულებლის საშუალებით სურდა და სულ მცირე მცდელობისაკენ უბიძგა მას.

- დამხმარესთან, რომ მას სხვა პირის დანაშაულს ფაქტიურად ხელი შეუწყო და ამასთან ერთად სურვილი ჰქონდა, რომ დამნაშავის დანაშაულის ჩადენის სურვილს დამორჩილებოდა (და თვითონ მნიშვნელოვნად არ ზემოქმედებდა დანაშაულზე).

ბ) რადგანაც საკანონმდებლო ნორმა მრავალ ალტერნატივას გვთავაზობს, დადგენილებაში ნათლად უნდა ჩანდეს, თუ რომელი ალტერნატივებიდან გამომდინარე მსჯელობს სასამართლო.

გ) დანაშაულის ჩადენის მცდელობისას დასადგენია თუ განსასჯელმა როგორი მოქმედებით კონკრეტულად დანაშაულის შემადგენლობის რომელი ფაქტი ჩაიდინა და რატომ არ განახორციელა მან დანარჩენები.

ასევე უნდა აღინიშნოს, თუ რატომ არ არის სახეზე დამნაშავის მიერ დანაშაულის მცდელობის (დამთავრებულის ან დაუმთავრებლის) ჩადენის ეტაპზე ნებაყოფლობით ხელის აღება, რაც მისი სასჯელისაგან განთავისუფლებას შესაძლებელს გახდიდა.

დაახლოებით ასე: „განსასჯელი თბილისის ქუჩაზე მიმავალ ქალბატონ ა-ს სწრაფად მიეპარა უკნიდან, რათა მისთვის წაერთმია ხელჩანთა, რომელიც ქალბატონს მარჯვენა ილიაში ჰქონდა ამოდებული. ის შეეცადა ამის განხორციელებას. ამაზე ქალბატონმა სწრაფად მოახდინა რეაგირება. მან ჩანთა თავისკენ მოქაჩა და განსასჯელს ისე დააბიჯა ფეხზე და დაარტყა, რომ ის ტკივილისაგან მოიკეცა. ის შემთხვევის ადგილიდან გაქცეულ დაზარალებულს უკან დაედევნა, მაგრამ მარცხენა ფეხში ტკივილის გამო ველარ შეძლო მისი დაწევა და თავის განზრახვას თავი მიანება“.

დ) ქმედების შემადგენლობის სუბიექტური ნიშანთვისებები მაშინ არაა განსაკუთრებით გამოსაყოფი,

აა) როდესაც დანაშაულის ჩადენის ობიექტური გარემოებების თანმიმდევრობის გადმოცემა დანაშაულის შინაგანი მხარეების არსებობას ბუნებრივად ნათელყოფს და სუბიექტური მომენტების შესახებ თავისთავად, საგნის ბუნებიდან გამომდინარე, მიუთითებს (მაგალითად, ა-მ შეიძინა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“ გასაღების მიზნით). დანაშაულის ჩადენის განზრახვის დეტალური დადგენილებები, უპირველეს ყოვლისა, მაშინ უნდა იყოს მითითებული, როდესაც განსასჯელი ამბობს, რომ რალაც შეცდომას ჰქონდა ადგილი:

ბბ) თუ ის შეცდომას მიუთითებს, უნდა აღინიშნოს თუ რატომ არ ჰქონდა ადგილი შეცდომას.

მაგალითი: „განსასჯელმა 15 წლის გოგონასთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ნებაყოფლობით. გოგონა თავისი ასაკისათვის ძალიან კარგად იყო განვითარებული და 16 წლის ასაკს მიღწეულ გოგონას ჰგავდა. განსასჯელი 20 წლის ასაკიდან ცხოვრობს მის ოჯახთან ერთად და ამის გამო მან იცოდა ა-ს წლოვანება.“

გგ) განზრახვის არარსებობისას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ შესაძლებელი პირი გაუფრთხილებლობის გამო იქნეს გასამართლებული.

დდ) თუ სახეზეა აკრძალვის შესახებ შეცდომის პირობები (მაგ. დამნაშავე თვლის, რომ მას ქონებრივი სარგებლის პრეტენზია აქვს ქონებრივი დანაშაულისას) მოსამართლემ უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ იყო შეცდომის თავიდან აცილება შესაძლებელი.

ე) ევენტუალური განზრახვისას (dolus eventualis) იმის დადგენა საკმარისი არაა, რომ განსასჯელი თავისი ქმედების ჩადენისას უშვებდა შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ, ზუსტად უნდა აღინიშნოს, თუ რატომ მიაჩნდა მას, რომ შედეგი დადგებოდა.

მაგალითი: თუ განსასჯელმა ჩხუბის დროს აფექტში ყოფნისას აიღო დანა და დაზარალებულს მკერდში ჭრილობა მიაყენა, რომელმაც გულის ნაწილი დააზიანა, მკვლელობის განზრახვას არ სჭირდება სპეციალური დასაბუთება, თუ განსასჯელი სანინალმდეგოს არ ამტკიცებს და საქმის გარემოებები ეჭვს არ ბადებს. თუ ჭრილობა მიყენებულ იქნა ნაკლებად საშიშ ადგილებში, განაჩენი მოითხოვს, რომ დადგინდეს dolus eventualis-ს, განსაკუთრებით როდესაც საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობას ეხება. უნდა დადგინდეს, მკვლელობის მცდელობაა თუ სხეულის განზრახ დაზიანება (მიყენებული ზიანის მიხედვით).

ყურადღება მიექცევა, რომ დადგინდეს: დაუდევრობას და თვითიმედოვნებას შორის საზღვრის პოვნა ხშირად რთულია. ამ შემთხვევებში დადგენილებები უნდა ორივე დანაშაულის ფორმასთან იქნეს შეთანხმებული.

მაგ. „განსასჯელმა ქვა წვეტიანი მხრით ჩაარტყა ა-ს. ამ დროს ის იმედოვნებდა, რომ დაზარალებული ა. გადახტებოდა. მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა, თუ ა. მოკვდებოდა“.

ვვ) გაუფრთხილებლობის შემთხვევების გარჩევისას უნდა განისაზღვროს სამი ფაქტორი:

– მოვალეობის არშესრულებისას: უნდა დადგინდეს, რატომ იქნა დაშვებული დაუდევრობა. ამასთანავე, უნდა გამოირკვეს, როგორ უნდა ემოქმედა განსასჯელს, რათა შედეგის დადგომა თავიდან აეცილებინა. გარდა ამისა, უნდა გაირკვეს, რომ ის ქცევა, რომელსაც ელოდნენ, შესაძლებელი და განხორციელებადი იყო.

მაგალითი: „განსასჯელმა თავის 4 წლის ვაჟ ა-ს დაავალა, რომ აბაზანაში წყალი ჩაეგუბებინა, რადგანაც მას თავისი 18 თვის ქალიშვილის, ბ-ს, დაბანა სურდა. ა-მ მხოლოდ ცხელი მოუშვა. აბაზანა გაივსო წყლით, რომელიც 60 გრადუსზე მეტი იყო. ამის შემდეგ განსასჯელმა ბავშვი ისე ჩასვა წყალში, რომ წინასწარ ხელით არ შეუმოწმებია წყლის ტემპერატურა. განსასჯელმა ყურადღება არ მიაქცია როდესაც ბ-მ დაიყვირა“.

- დაუდევრობა მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს შედეგთან.

მაგალითი: „ა-მ აბაზანაში წყალში / წუთის განმავლობაში მთელს სხეულზე, ილღიებამდე მიიღო დამწვრობები. დამწვრობისაგან გამოწვეულმა ტკივილმა გულისრევის შეგრძნება გამოიწვია, რამაც გადაკეტა სასუნთქი გზები და გამოიწვია დახრჩობისაგან სიკვდილი“.

- დამდგარი შედეგი წინასწარ უნდა იყოს გათვალისწინებული და თავიდან აცილებული. შეიძლება ახსნა-განმარტებას საჭიროებდეს, მაგ., თვით დაზარალებულის გაუაზრებელი ქმედება; განაჩენის გამოტანის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, მიუხედავად საზიანო შედეგისა, განსასჯელის ქმედება მის ვალდებულებებს და შესაძლებლობებს ხომ არ ალემატებოდა?

ე) გარემოებები, რომლებიც ბრალეულობისა და სასჯელის საკითხთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული (დანაშაულის, შესაბამისად, სასჯელის გამორიცხვა ანდა სასჯელის შემსუბუქება) უნდა დადგინდეს, თუ საქმის გარემოებები ამას მოითხოვს, ასევე სასჯელის დამამძიმებელი გარემოება დგინდება სასამართლოს მიერ.

აა) დანაშაულის გამორიცხვის გარემოებებიდან აუცილებელი მოგერიების გარდა, მნიშვნელოვანია დადგინდეს, ხომ არ ჰქონდა ადგილი სხვა რომელიმე გარემოების არსებობას, მაგალითად, აზროვნების დაქვეითებას სიმთვრალის გამო. გადანყვეტილებები დანაშაულის ჩადენის უუნარობაზე (პირის არაბრალეულობაზე) სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა მიიღოს.

მაგალითები: „განსასჯელი დანაშაულის ჩადენის დროს ალკოჰოლის და არც სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების გავლენის ქვეშ არ ყოფილა; ის არც აფექტის ქვეშ მოქმედებდა. განსასჯელი საშუალო ინტელექტუალური მონაცემების მქონეა; ის არც ფიზიკურად და არც სულიერად ავადმყოფი არ არის. თავისი დანაშაულისათვის განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონის მიხედვით უნდა აგოს პასუხი“.

აუცილებელი მოგერიების არარსებობის დადგენის დროს უნდა დასაბუთდეს, რატომ არ ჩაითვალა თავდასხმა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფად, რატომ არ არის სახეზე აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობები. ასევე უნდა მოხდეს სხვა გარემოებებთან მიმართებაში.

ბბ) პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების დროს, შეიძლება სახეზე იყოს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. იგი შეიძლება როგორც მომზადების, ასევე მცდელობის სტადიაზე მოხდეს.

გგ) დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოებების დროს მცდელობის და დახმარების გარდა, ყველაზე ხშირად გვხვდება შეზღუდული შერაცხადობა.

მაგალითი: „აფექტურმა სიტუაციამ, რომელიც დიდხანს გრძელდებოდა და ამას დაემატა დიდი რაოდენობით მიღებული ალკოჰოლური სასმელი, გამოიღო შედეგად ის, რომ განსასჯელის შერაცხადობა დანაშაულის ჩადენის მომენტში მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო.“

გგ) დანაშაულის გამკაცრების შემთხვევაში პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს რეციდივის ნებსებს.

დ) სხვა სამართლებრივი შეფასებები, რომლებსაც სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ არ შეიცავს: სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ ამომწურავად უნდა შეიცავდეს ყველა საქმისათვის მნიშვნელოვან შეფასებას. იმ შემთხვევაში თუ სასამართლომ გადაუხვია საქმის იმ სამართლებრივ შეფასებას, რომელიც მოცემულია ხსენებულ გადაწყვეტილებაში, მაშინ განაჩენში უნდა დასახელდეს ამის არა მარტო საფუძვლები, არამედ შესაბამისი კონკრეტული ფაქტები, გარემოებები და საფუძვლები. ასევე უნდა მიეთითოს, რომ ბრალდებაში წარმოდგენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები ამ მოიპოვება.

მაგალითი: „სასამართლომ შეიცვალა თავისი წარმოდგენა და მივიდა სხვა დასკვნამდე, ვიდრე ეს მითითებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმის წარმოებაში მიღების შესახებ. ბრალდებულ X-ის ქმედებაში ვერ დადგინდა მკვლელობის განზრახვა, რადგან ბრალდებულს იმედი ჰქონდა, რომ მოკლული დროზე შეამჩნევდა მის მიმართულებით მოძრავ ქვის ლოდს და გვერდზე გაიწეოდა. განსასჯელის ქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც თვითიმედოვნება.“

საყურადღებოა: ხშირად მტკიცებები (ფორმულირებები) ამსრულებლობის, თანამონაწილეობის, მცდელობაზე უარის თქმის, განზრახვის არასებობის შესახებ და სხვ. გვხვდება არა ამ ადგილას (სამარ-

თლებრივი შეფასებები), არამედ სამართლებრივ განხილვებში. რომელიც მოსდევს მტკიცებულებების შეფასებას. ეს ასეც უნდა იყოს.

3) მტკიცებულობების შეფასება

სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, თუ როგორ მოიპოვა მან უტყუარად მიჩნეულ ფაქტებზე დაფუძნებული, დარწმუნებულობა.

ა) ეს, ზუსტი ფორმულირების თვალსაზრისით, უნდა ნიშნავდეს შემდეგს: აუცილებელია თავი ავარიდოთ ვარაუდებს. ასევე ფორმულირებებს, რომლებიც რაიმე ეჭვს შეიცავენ, ისეთები როგორებიცაა მაგალითად, „შეძლო ენახა“, „შეძლო შეემჩნია“, „შეძლო სცოდნოდა“. ხაზი უნდა გაესვას სასამართლოს დარწმუნებულობას, ის რომ ბრალდებულმა „ნახა, შეამჩნია, იცოდა, რომ...“

მეორე შეცდომა, რომელიც ასევე ხშირად გვხვდება, ესაა დარწმუნებულობის სურათის წარმოდგენის მაგივრად ისეთი ტრაფარეტული სიტყვების გამოყენება, როგორებიცაა: „თავისთავად ცხადია რომ“, „უეჭველია“, „აშკარაა“. უკეთესი იქნებოდა, რომ ყოფილიყო განმარტება, თუ რატომაა ის უეჭველი, კერძოდ, რომ მას საფუძვლად მხოლოდ ნამდვილად მომხდარი ამბავი უდევს.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ განსასჯელი მთლიანად აღიარებს დანაშაულს, მაშინ როგორც წესი საკმარისია შემდეგი ფორმულირება: „განსასჯელი, დადგენილი ფორმულირებების ფარგლებში, აღიარებს დანაშაულს. სასამართლოს არანაირი ეჭვი არ გააჩნია მისი უტყუარობის თვალსაზრისით“.

გ) თუკი განსასჯელი მაინც უარყოფს (თუნდაც ნაწილობრივ) რეალურად მიჩნეულ მოქმედების მსვლელობას, მაშინ სასამართლო ვალდებულია, რომ დაასაბუთოს, თუ რატომ მიიჩნევს ის დამტკიცებულად საპირისპიროს. თუ ბრალდებულს არ შეუძლია რაიმეს გახსენება, მაშინ დართული უნდა იყოს განმარტება, თუ რომელ სხვა ნივთ-მტკიცებებს ეყრდნობა სასამართლოს დარწმუნებულობა.

აა) მონმეთა ჩვენებების შეფასებისას აუცილებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი ფორმულირებები: „...სრულიად დამაჯერებელი...“

„...არანაირი საფუძველი ჩვენების სისწორეში და მონმის სიმართლეში ეჭვის შესატანად...“

„...დამაჯერებელი...“ „...სარწმუნო...“ „...გამართული და წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი...“

მცირეოდენი წინააღმდეგობების დროს, რეკომენდირებულია შემდეგი სახის ფორმულირება:

„სასამართლო დარწმუნებულია მოწმის სიმართლეში. დიდი ხნით ადრე მომხდარი და ამასთანავე კომპლექსური საქმის არსის გამოცემა ისეთი რამაა, რომელიც ზოგისთვის იოლია, ზოგისთვის კი ნაკლებად. ამიტომ ჩვენებაში წარმოქმნილმა მცირეოდენმა უზუსტობებმა, არ შეიძლება თავიდანვე შეარყიონ ამ ჩვენების დამაჯერებლობა. არ შეიძლება, მაგალითად, ეჭვი შევიტანოთ მასში, იმის გამო რომ (...) დაკვირვებებისა და გამონათქვამების კეთილსინდისიერებაზე ლაპარაკობს პირველ რიგში ის, რომ (...)

ბბ) ექსპერტიზის დასკვნის შეფასებისას აუცილებელია ისეთი გამოთქმების გამოყენება, რომელიც ადასტურებს მტკიცებულებათა უტყუარობასა და დამაჯერებლობას.

გგ) მტკიცებულებების შეფასების ბოლოს უნდა იქნეს განმარტებული:

„ყოველივე ამის შემდეგ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ ქურდობა ჩადენილია არა სხვა პირის მიერ, როგორც ამას ამტკიცებს განსასჯელი, არამედ თვით განსასჯელის მიერ“.

მაგალითი: „განსასჯელი უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, მაგრამ ამასთანავე ამტკიცებს, რომ მას საერთოდ აღარ ახსოვს ის სალამო. მაშინ ის გამუდმებით და მრავალ ადგილას ღებულობდა ალკოჰოლურ სასმელებს, რადგან მას ეს უნდოდა. თუ რამდენი დალია მან შუადღეზე და სალამოს საათებში, მან ეს ასევე არ იცის, ყოველ შემთხვევაში მინიმუმ 30 ლუდი, თითო 0,2 ლ.“

განსასჯელის ამ უარყოფას სასამართლო მის მიერ ჩატარებული გამოძიების საფუძველზე, არ ცნობს.

სასამართლო პალატას არანაირი ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ბრალდებულია სწორედ ის პირი, რომელმაც დაზარალებულ ე-ს ხის დიდი ჯოხი ჩაარტყა თავში და ამის შემდეგ მის ჯიბიდან ამოიღო საფულე, სადაც 870,00 ლარი იდო, თუმცა თვით დაზარალებულმა ვერანაირი ინფორმაციის მიცემა ვერ შეძლო ბოროტმოქმედის პიროვნების შესახებ. ეს სრულებით გასაგებია, რამეთუ მან ვერ შეძლო განსასჯელის შემჩნევა და ის მიყენებული დარტყმის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში უგონოდ ეგდო. მაგრამ მოწმემ, საქმის არსთან დაკავშირებით, როგორც ეს ზემოთაა მოყვანილი, სარწმუნო ჩვენება მისცა. ის დიდი ხანია გარეგნულად იცნობს ბრალდებულს. მისი საცხოვრებელი ადგილი ოცი მეტრითაა დაშორებული მომხდარი დანაშაულის ადგილს. მისი გადმოცემით, ქუჩა იმ სალამოს კარგად იყო განათებული, ასე რომ სასამართლო უყოყმანოდ იზიარებს ამ მოწმის ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, სწორედ ბრალდებულმა ჩაიდინა ეს დანაშაული და არა იმ ახალგაზრდა კაცმა, რომელიც დასაწყისში ბრალდებულთან ერთად იყო. მოწმემ დამაჯერებლად აღწერა, თუ როგორ ცდილობდა თავდაპირველად უცნობი მამაკაცი განსასჯელის შეჩერებას, ხოლო მერე კი მოშორდა იქაურობას. მოწმემ ძირითადად იგივე ჩვენება მისცა სასამართლოს, რაც პოლიციას. მცირეოდენი შეუსაბამოები ამ ორ ჩვენებაში სავსებით გასაგები ხდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი ჩვენების შემდეგ გარკვეული დროა გასული. ასევე არაფერი არ მეტყველებს იმის შესახებ, რომ მოწმე, ცრუ ჩვენებას იძლეოდეს განსასჯელის საწინააღმდეგოდ. გამოძიების პროცესში მიცემული ჩვენების ორ ადგილას ნათლად ჩანს, რომ მოწმე ცდილობს შეუშუბუქოს ბრალდებულს მდგომარეობა. ეს სრულებით გასაგებია, რამეთუ განსასჯელი მის მეზობლად ცხოვრობს და ამიტომ ისინი ხშირად ნახულობენ ერთმანეთს. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლო დარწმუნებულია მოწმის უტყუარობაში და მისი სიტყვების სისწორეში (სიმართლეში). რაც შეეხება ნაქურდალს, უფრო სწორად წართმეული თანხის სიდიდეს, აქ სასამართლოს არანაირი საფუძველი არა აქვს ეჭვი შეიტანოს დაზარალებულის მიერ მითითებული თანხის სისწორეში. ის რომ დაზარალებული მსხვერპლია

მოცემულ შემთხვევაში, არანაირ საფუძველს არ იძლევა, ეჭვქვეშ დავაყენოთ მისი ჩვენების უტყუარობა და მისი, როგორც პიროვნების, გულწრფელობა.

მისი ჩვენება, რომ მან 16 საათზე და 20 წუთზე ათასი ლარი გამოიტანა ბანკიდან და აქედან დაახლოებით 60 პროდუქტებზე, ხოლო 70 წიგნზე დახარჯა, სწორია და ის ემთხვევა იმ პირველ ახსნა-განმარტებას, რომელიც მან პოლიციას მისცა.

მოწმემ აუღელვებლად და ემოციის გარეშე განსასჯელის საწინააღმდეგო ჩვენება მისცა. მცირეოდენი საფუძველი არ არსებობს იმისა, რომ ეჭვი შევიტანოთ მოწმის სიმართლეში. სასამართლო პალატა არ ცნობს განსასჯელის უარყოფას, რომ ვითომდა მას სპირტიანი სასმელი ჰქონდა მიღებული და ამის გამო არ შეუძლია რამის გახსენება.

განსასჯელის ეს მტკიცება, დამაჯერებელი არგუმენტაციის საშუალებით, უარყოფილ იქნა ექსპერტ ნიკურაძის მიერ. ამ უკანასკნელმა შეძლო ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე იმის დამტკიცება, რომ ალკოჰოლის შემცველობა განსასჯელის სისხლში, დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის, არ აღემატებოდა 1,5%-ს. ამასთანავე ექსპერტმა, ექსპერტიზის ჩატარების დროს მხედველობაში მიიღო დროის ის მონაკვეთი, რომელიც გასული იყო დანაშაულის ჩადენიდან სისხლის სინჯის აღებამდე. ამაზე დაყრდნობით შეაფასა სასამართლო პალატამ მოწმის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, მას არანაირი ნიშნები, რომლებიც განსასჯელის სიმთვრალეზე მიუთითებდეს (როგორცაა მაგალითად ბარბაცით სიარული), არ შეუმჩნევია, აქედან გამომდინარე, არ არსებობდა არანაირი საფუძველები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემსუბუქებისთვის..

4) სამართლებრივი ნორმების განხილვის ჩატარება მაშინ არის აუცილებელი, თუ სასამართლო, საქმის წარმოებაში მიღების დროს, განსხვავებულად აფასებს ამ საქმის სამართლებრივ მხარეს ან თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება მხარის მიერ ეჭვქვეშ დგება.

5) სისხლის სამართლის ნორმების მიღება, რომლებიც გამოიყენება სასჯელის დანიშვნისას. ისინი უნდა იქნენ დასახელებულნი დასაბუთებაში, კანონების დასახელების და მუხლების მიხედვით.

მაგალითად: „განსასჯელი, ჩადენილი ქურდობის მცდელობით, რომელსაც ემატება საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობის ხელყოფა და იარაღის შესახებ კანონის დარღვევა, ცნობილი უნდა იქნეს დამნაშავედ (დარღვეულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების შესაბამისი მუხლები, რომლებიც უნდა მიეთითოს ...)

6) სასჯელის ზომის განსაზღვრა

აქ საქმე გვაქვს ცალკე პრობლემატიკასთან, რომლის დაწვრილებით განხილვას ჩვენ არ შევუდგებით.

ნებისმიერ შემთხვევაში ყოველი დანიშნული სასჯელი საფუძვლიანად უნდა იყოს დასაბუთებული. მაგალითად, უნდა ითქვას, თუ რა მეტყველებს განსასჯელის სასარგებლოდ და რა მის საწინააღმდეგოდ. გვაქვს თუ არა საქმე რეციდივთან, ან ჰქონდა თუ არა მას უკვე მისჯილი პირობითი მსჯავრი. ყურადღება უნდა მიექცეს საქმის კერძო და ზოგად პრევენციულ გარემოებებს, ასევე იმ თავისებურებებს, როცა საქმე გვაქვს არასრულწლოვანებთან.

(საქ. სსკ მე-80 მ.)

7) უნდა დასაბუთებული იქნეს დამატებითი სასჯელები და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები

ნივთების ჩამორთმევა

სამედიცინო დაწესებულებებში მოთავსება და ა.შ.

8) ხარჯები

9) გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების შესახებ

საპროცესო შეთანხმება

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დამკვიდრებული პრინციპები კანონიერების, გამოძიების, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შესახებ ადგილს აღარ უტოვებს საპროცესო შეთანხმებას, იმავე საპროცესო კანონმდებლობამ ის დასაშვებად გამოაცხადა. თუმცა, კანონი საპროცესო შეთანხმების შესახებ იმთავითვე მწვავე სამართლებრივი დისკუსიების საგანი გახდა. ჩვენი კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლის პროცესი⁴ მეტად ნელია და

⁴ ჟან პრადელი, „შედარებითი სისხლის სამართალი“, თბილისი, 1999, გვ. 393.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ უკანასკნელ პერიოდში სისხლის სამართლის საქმეები უფრო გართულდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროცესის დაჩქარება. ჩვენს კოდექსში მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღებისთანავე დაწესებული იყო ზუსტი ვადები წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვისათვის ე.ი. პროცესის მიმდინარეობის ვადები (სსსკ-ის 162-ე მუხლი) 25 მარტის კანონით ზემოთ მითითებული ვადები მკვეთრად შემცირდა და დაჩქარებული სისხლის სამართლის პროცესის პრინციპი ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებით კიდევ უფრო გაფართოვდა. „კონსენსუსის მნიშვნელობა, რაც პროკურატურის, ბრალდებულის და მოსამართლის შეკავშირების იდეას უკავშირდება, მაცდუნებელია.“ აღნიშნული მნიშვნელოვან ეკონომიას წარმოადგენს და ამავდროულად, ლიკვიდირებულია საჯარო დებატები⁵. დაჩქარებული პროცესის თავდაპირველი იდეა საერთო სამართლის ქვეყნებს ეკუთვნით. პირველი ელემენტარული ფორმა დაჩქარებული პროცესისა – ბრალეულობის დამტკიცება (guilty plea) ჩვენს საპროცესო კანონმდებლობაში შეკვეცილი წარმოების სახით არსებობდა სსსკ-ის 473-ე მუხლი, რაც 25 მარტის კანონით საპროცესო კანონმდებლობაში შემოთავაზებული ცვლილებით უფრო სრულყოფილი სახით წარმოჩნდა. ცვლილებებით შემოთავაზებული სასჯელის შემცირების მოლოდინი ადვოკატსაც უბიძგებს თავის კლიენტს ურჩიოს სასამართლოში ბრალის აღიარება, სერიოზული (სამხილების), პირდაპირი მტიკებულებების არსებობის შემთხვევაში. რაც შეეხება ამერიკულ სამართალში ბრალეულობის აღიარების შედეგს – plea bargaining-ს – ეს არის შეთანხმების ის ფორმა, როცა ბრალდებული ცალმხრივად, საკუთარი შეცდომის აღიარების სანაცვლოდ (სასჯელის შემცირების მიზნით), უთანხმდება პროკურატურას ბრალდების მოცულობაზე. ჩრდილოეთ ამერიკაში გამამტყუნებელ განაჩენთა 80%-ზე მეტი plea bargaining-ის საფუძველზეა მიღებული. ყველაზე მყარი არგუმენტი ამ ინსტიტუტის სასარგებლოდ დამნაშავეობის მკვეთრ მატებასთან ერთად, არის სასამართლო განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილება. აშშ-ს უზენაესი სასამართლო ამ პრაქტიკის თაობაზე აცხადებს, რომ „ეს არის სისხლის სამარ-

⁵ იგივე, გვ. 397

თაღწარმოების აღსრულების ძირითადი შემადგენელი ნაწილი“ და როდესაც ის ადმინისტრაციული ხასიათისაა, უნდა წახალისდეს“.⁶ თუმცა, არიან ამ იდეის მონინალმდეგენიც. კანადის სასამართლოს სარეფორმო კომისიამ plea bargaining-ს უწოდა „შეთანხმება სასამართლოში წარმოთქმული სიტყვის“ თაობაზე.⁷ კომისიის აზრით, ეს არის „ყოველგვარი შეთანხმება, რომლის შედეგად ბრალდებული თანხმდება ბრალის აღიარებას, ხოლო ბრალმდებელი ან თანხმდება მოქმედების მოცემულ გეგმას, ან არა. პრაქტიკული თვალსაზრისით შეთანხმება შეეხება: 1. ბრალდებას (კვალიფიკაციის შეცვლა, გარკვეულ ბრალდებათა გამორიცხვა ან პირობას, არ მოხდეს სასამართლო წესით დენის განხორციელება დანაშაულისათვის, რომლის თაობაზე სამხილების მოპოვება შესაძლებელია, ან დაპირება, არ აღიძრას საქმე ბრალდებულის მეგობრების ან ოჯახის წინააღმდეგ); 2. განაჩენს (ბრალმდებლის დაპირება, არ დაუპირისპირდეს დაცვის მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტილებას, წარუდგინოს ბრალდებული მოსამართლეს) 3. დანაშაულის შემადგენელ ქმედებებს (დაპირება სხდომის დროს იმ ფაქტების გაუმჟღავნებლობისა, რომლებიც მოსამართლემ შესაძლოა დამამძიმებელ გარემოებად ჩათვალოს, მაგალითად არ მოხდეს წარსული წასამართლობის ფაქტის გამხელა. რა თქმა უნდა, მოსამართლეს არავითარი კავშირი არა აქვს მსგავს შეთანხმებასთან და ბრალდებულს შეუძლია დაუბრუნდეს დანაპირებს).

plea bargaining-ს პრინციპის კრიტიკისას ხშირად მას მიუღებელ გარიგებად მოიხსენიებენ. რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში ბრალდებული ბრალს აღიარებს და თავს დამნაშავედ ცნობს გარკვეული უპირატესობის მიღების მიზნით. ვაჭრობის შედეგები იცვლება მხარეთა მოხერხებულობის მიხედვით.

რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების ეს ფორმა ევროპული ქვეყნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს plea bargaining-ის დადების არაფორმალური გზები, ინგლისისა და უელსის სასამართლოები, ლორდ სკარმანის განცხადების შემდეგ იმის თაობაზე, რომ „ბრალის აღიარებით გარიგების ინსტიტუტს არ აქვს ადგილი ინგლი-

⁶ ჟან პრადელი, „შედარებითი სისხლის სამართალი“, თბილისი, 1999, გვ.398

⁷ ჟან პრადელი, „შედარებითი სისხლის სამართალი“, თბილისი, 1999, გვ.397

სურ სისხლის სამართლებრივ სისტემაში“, მას საკმაოდ ნეგატიურად უყურებენ. პროცესის ერთ-ერთი მხარე – დაცვა წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების გამართვისას სთავაზობს ნაკლებად მძიმე დანაშაულში თავის დამნაშავედ ცნობას, ან პირიქით, ბრალდება სთავაზობს დაცვას ნაკლებად მძიმე დანაშაულის აღიარებას, ან ბრალდების მოხსნას ზოგ ნაწილში. თუმცა, ამგვარი გარიგების შედეგები მთლიანად მხარეებზე არ არის დამოკიდებული. თუ ბრალის აღიარების შემთხვევაში მხარეებს შორის საუბარია სასჯელის შემცირებაზე, სასამართლოს უფლება აქვს არ მიიღოს ის. ამასთან, სასჯელის დანიშვნის საკითხი სასამართლოს კომპეტენციაა და ბრალდების ნების გამოვლენას არ ექვემდებარება, რაც შესაბამისად სასჯელის ზომაზე გარიგებას თითქმის გამორიცხავს. რაც შეეხება ბრალის აღიარებას ბრალდების წარდგენის შემდეგ, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა სასჯელის ზომაზე პოზიციის გამოხატვისა. ადრეულ ეტაპზე ბრალის აღიარებას სასჯელის შემცირების შესახებ – არსებული სისტემის მიხედვით უფრო მეტ შეღავათს ითვალისწინებდა.⁸

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა ანგლოსაქსურ plea bargaining-ის არ იცნობს, თუმცა აქვს მსგავსი ინსტიტუტები. ზოგიერთ დანაშაულზე, კანონი იძლევა საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას, საგადასახადო საქმეზე შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეჭვმიტანილისათვის ფაქტების აღიარება და ფიქსირებული თანხის გადახდა, საქმის შეწყვეტის სანაცვლოდ. ამ და სხვა უმეტეს შემთხვევაში გარიგებასა და plea bargaining-ის შორის განსხვავება ისაა, რომ სასამართლოს მონაწილეობა პროცესში შეიძლება საერთოდ გამოირიცხოს. მაგალითად, თუ წარკომანი დაეთანხმება პროკურორის წინადადებას ჩაიტაროს მკურნალობა, ან დაემორჩილოს სამედიცინო მეთვალყურეობას და მიიღოს ექიმის მითითებები, ის თავისუფლდება დევნისაგან.

რაც შეეხება გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაში არსებულ ზოგიერთი ფორმის გარიგებებს, რომელსაც ე.წ. „არაფორმალური გარიგებები“ ჰქვია, დისკუსიების საგანია გერმანიაში. განსაკუთრებით

⁸ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბილისი, 2002, გვ.115.

რთულ საქმეებზე, სადაც დასაკითხია ბევრი მოწმე, დაცვის ადვოკატების მიერ განვითარდა პრაქტიკა საქმის შესახებ წინასწარ მოელაპარაკონ ბრალდებულს და მოსამართლეს. მაგალითად, იმის თაობაზე, რომ მისი კლიენტი თავს ნაწილობრივ, ან მთლიანად ცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, რის სანაცვლოდაც სასამართლოს მიერ შეფარდებულმა სასჯელმა გარკვეულ ზომას არ უნდა გადააჭარბოს. ამ შემთხვევაში გარიგება ხორციელდება კერძო მოლაპარაკებების გზით, ფორმალური პროცესის ფარგლებს გარეთ, რაც სახიფათოა.⁹

საბერძნეთში შემოკლებული პროცესის ფორმა plea bargaining-ის არ გულისხმობს. ირლანდიაში ბრალდებულმა შეიძლება აღიაროს ბრალი მის მიმართ წარდგენილ, ნაკლებად მძიმე ბრალდებაში იმის სანაცვლოდ, თუ მას მოეხსნება უფრო მძიმე ბრალდებები. თუმცა, დარჩენილ ბრალდებაზე მოსალოდნელი სასჯელი მოსამართლის პრეროგატივაა და როგორც წესი, ბრალის აღიარებისას (guilty plea) სასჯელს ამცირებენ. plea bargaining-ის დროს ბრალდებული არ უნდა მოექცეს ბრალმდებლისა და ადვოკატის გავლენის ქვეშ, ადვოკატის მიერ ამგვარი ინიციატივის გამოჩენა არაეთიკურია. საქმის განმხილველი მოსამართლე არ აკეთებს პირდაპირ მინიშნებას ბრალის აღიარების შემთხვევაში სასჯელის შესაძლო ჩამოკლების შესახებ.

შოტლანდიაში plea bargaining-ის ინსტიტუტი გულისხმობს პროკურორის სრულ თავისუფლებას აწარმოოს გარიგებანი დაცვის მხარესთან ბრალის აღიარების შესახებ. აღნიშნული განპირობებულია წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვისას პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილებით.¹⁰

⁹ იგივე, გვ.171.

¹⁰ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, თბილისი, 2002, გვ.384.

II. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი

ევროგაერთიანების რამდენიმე ქვეყნის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტების ზოგადი დახასიათების შემდეგ, საქართველოში 2004 წლის 13 თებერვლის კანონით დამკვიდრებულ საპროცესო შეთანხმების მოდელის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს იმ პრობლემებს, რომლებმაც ამ ინსტიტუტის ამოქმედების შემდეგ იჩინა თავი.

სისხლის სამართალში საპროცესო შეთანხმების შექმნის იდეა უკავშირდება სისხლის სამართლის პროცესის გამარტივებასა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ დანაშაულის ფაქტზე სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. პირველადი სახით ჩამოყალიბებულ კანონში საპროცესო შეთანხმების მიზნად სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა იქნა მიჩნეული (სსსკ-ის მე-151 მუხლი). საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი LXIV¹ თავის (საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება) 679¹-ე მუხლი (საპროცესო შეთანხმების არსს) საპროცესო შეთანხმების საფუძველად ბრალზე ან სასჯელზე შეთანხმებას მიიჩნევს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანით. კანონის ბოლო რედაქციამ (2005 წლის 25 მარტი) ძველი (2004 წლის 13 თებერვალი) რედაქციისაგან განსხვავებით არ დათქვა სავალდებულოდ ბრალდებულის მიერ ბრალდების მხარესთან თანამშრომლობის საკითხი, რაც დანაშაულის აღიარებასა და საგამოძიებო ორგანოებისათვის ისეთი უტყუარი ინფორმაციის, ან/და მტკიცებულებების, ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ ცნობების მიწოდებაში გამოიხატებოდა, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის გახსნას. კანონის პირველ რედაქციაში საპროცესო შეთანხმების დადებისას მხედველობაში მიიღებოდა ბრალდებულის ნება დახმარებოდა და ეთანამშრომლა გამოძიებასთან. გამოძიებასთან თანამშრომლობა კანონის განმარტებითი ბარათის მეშვეობით ნიშნავდა: გამოძიებისათვის სხვა უფრო მძიმე დანაშაულის, ან უფრო მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას. ასეთი პირობების შესრულების შემთხვევაში პროკურორს უფლება ჰქონდა

მოეთხოვა ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირება, ან დანაშაულთა ერთობლიობის დროს მიეღო გადაწყვეტილება ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის მოთხოვნის თაობაზე. თუმცა, კანონის ამოქმედებიდან რამდენიმე თვის შემდეგ (2004 წლის 24 ივნისის კანონი) სისხლის სამართლოს საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით, საპროცესო შეთანხმების საფუძველი ორად გაიყო და მითითებულ იქნა ბრალზე გარიგება, ან სასჯელზე შეთანხმება (იხ. სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები, 2004 წლის 24 ივლისის კანონის რედაქციით). ბრალზე გარიგების შემთხვევაში ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების სავალდებულო მოთხოვნასთან ერთად შენარჩუნდა და\ან გამოძიებასთან თანამშრომლობის პირობა. რაც შეეხება სასჯელზე შეთანხმებას, ამ შემთხვევაში ბრალდებულს არ მოეთხოვებოდა დანაშაულის აღიარება, ხოლო გამოძიებასთან თანამშრომლობა – სავალდებულო მოთხოვნად რჩებოდა, სასჯელის ზომაზე პროკურორთან ბრალდებულის დასათანხმებლად. თუ ამ პერიოდის სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენით დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებები – იქნებოდა ეს ბრალზე გარიგების, თუ სასჯელზე შეთანხმების საფუძველით, საერთოდ არ ან დაუსაბუთებლად მიუთითებდნენ ბრალდებულის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობის პირობის დაცვაზე. საპროცესო შეთანხმების დადებისას ბრალდებულის ნება ეთანამშრომლა და დახმარებოდა გამოძიებას, პროკურატურის ორგანოების მიერ იმთავითვე იქნა იგნორირებული. კანონის ამ ნორმის არასწორმა ინტერპრეტაციამ საზოგადოებაში ბევრი კითხვა გააჩინა. აღნიშნული საკანონმდებლო პირობის შესრულების გარეშე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებების თაობაზე მიღებული სასამართლო განაჩენები კანონის მიხედვით, გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა წინასწარი გამოძიებისა და შემდგომ სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად, საპროცესო შეთანხმების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში.

III. საპროცესო შეთანხმების ახალი მოდელი

საპროცესო კანონმდებლობაში, 2005 წლის 25 მარტის კანონით, შეტანილი ძირეული ცვლილებები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის ახლებურ მოდელს გვთავაზობს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი მიუთითებს, რომ საპროცესო შეთანხმება ხორციელდება სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. საპროცესო შეთანხმების სპეციალური LXIV¹-ე თავი მოქმედი რედაქციით გვთავაზობს საპროცესო შეთანხმებას და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების განსხვავებულ მოდელს. კერძოდ: სსკ-ის 679¹-ე მუხლი საპროცესო შეთანხმების არსს, ანუ სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოტანილი განაჩენით დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების საფუძვლად ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებას მიიჩნევს და 679⁹-ე მუხლის თანახმად, ცალკე ინსტიტუტად მოიაზრებს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ინსტიტუტს. მისი მთავარი არსი ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა და ამ თანამშრომლობის შედეგად თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის გამოვლენა, ან მისი უშუალო ხელშეწყობით დანაშაულის გახსნისათვის რეალური პირობების შექმნაა. საპროცესო კანონის ძველი რედაქციისაგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების მოქმედი ინსტიტუტი მისი ორივე საფუძვლით (შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე) გათავისუფლდა ისეთი პირობისაგან, როგორც იყო გამოძიებასთან თანამშრომლობა და დახმარება. დღეისათვის აღნიშნული საკანონმდებლო პირობა სავალდებულოა ისეთი ახალი ინსტიტუტისათვის, როგორცაა ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება. თუმცა, ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ვერ მოხსნა ყველა მანამდე არსებული საკანონმდებლო ხარვეზი და სასამართლო პრაქტიკა ვერ იხსნა შეცდომებისაგან. 2004 წლის 25 ივნისს საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმების ორი საფუძველი – ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება ფორმალური გაყოფა აღმოჩნდა და ისედაც არაერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას, კიდევ უფრო მეტი პრობლემა

შეუქმნა. აღნიშნული კი განპირობებულია იმით, რომ ბრალზე გარიგება თავისთავად გულისხმობს სასჯელზე შეთანხმებისას კანონში ბრალდებულისათვის არსებულ ისეთ შეღავათს, როგორცაა სასჯელის შემცირება, ან დანაშაულთა ერთობლიობისას ბრალდების შემსუბუქება ან ნაწილობრივი მოხსნის შესაძლებლობა. აღნიშნული კანონის 679¹-ე მუხლის მე-5 ნაწილიდანაც გამომდინარეობს, რომლის რედაქცია უცვლელი სახით მოყვება კანონს 2004 წლის 13 თებერვლიდან, ანუ იმ დროიდან, როცა საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების საფუძვლად მითითებულ იქნა პროკურორისა და ბრალდებულის თანამშრომლობა დანაშაულის აღიარებით და გამოძიებასთან თანამშრომლობით. დღეს მოქმედი 679¹-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო შეთანხმების (ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმების) დადებისას პროკურორს უფლება აქვს მოითხოვოს ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირება, ან დანაშაულთა ერთობლიობისას მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე. აღნიშნული ნორმა, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში, ადგენს ანალოგიურ შეღავათებს, რაც რაიმე განსხვავებას საპროცესო შეთანხმების ამ ორ საფუძველს (ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებას) შორის აბსოლუტურად შლის. თუ დაუკვირდებით ამ მუხლის მე-2 ნაწილის დებულებას, რომელიც სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში ბრალდებულს უფლებას აძლევს დაეთანხმოს პროკურორს სასჯელის ზომაზე, ისე, რომ არ აღიაროს დანაშაული – გაუგებარს ხდის საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის არსს და მის მიზანს. აღნიშნული საფუძვლით შეთანხმება ლოგიკას მოკლებულია და მისი კრიტიკა მიზანშეუწონელი. განსხვავებულია სსსკ-ის 679¹-ე მუხლის ამავე ნაწილის დებულება სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით საპროცესო შეთანხმების დადებისას, ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ, რომელიც, ჩვენი აზრით, მხოლოდ სსსკ-ის 679²-ე მუხლით გათვალისწინებული პირობებისას მოქმედებს. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების სპეციალური 679²-ე მუხლი კი, საერთოდ არ უთითებს მხოლოდ სასჯელზე შეთანხმების საფუძველს. აღნიშნული მუხლი არ აკეთებს დათქმას იმის

თაობაზე, რომ გენერალურ პროკურორსა და ბრალდებულს შორის საპროცესო შეთანხმება კანონით დადგენილი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობისას იდება მხოლოდ სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით. აღნიშნული არ გამორიცხავს ბრალზე გარიგების საფუძვლით დადებული საპროცესო შეთანხმებისას გენერალური პროკურორის უფლებას, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ. ვფიქრობთ, ასეთი შეზღუდვა გენერალური პროკურორის უფლებისა განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები — ვერ ასახავს საპროცესო შეთანხმების არსს.

საპროცესო შეთანხმების შეთავაზება მოქმედი კანონის შესაბამისად, როგორც პროკურორის, ასევე, ბრალდებულის და მოსამართლის უფლებაა. სასამართლო უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი, თუ არსებობს შეთანხმება ბრალზე ან სასჯელზე. საპროცესო შეთანხმება ფორმდება წერილობით და მტკიცდება სასამართლო სხდომაზე. კანონის ბოლო რედაქციით განიმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების დადება შესაძლებელია, როგორც წინასწარი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე, საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის სტადიაზე, სასამართლო კამათის დაწყებამდე, როდესაც სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმება.

IV. საპროცესო შეთანხმების საფუძვლები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საპროცესო შეთანხმების დადების საფუძვლად რჩება შეთანხმება ბრალზე, როცა ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს, ან – შეთანხმება სასჯელზე, როცა ბრალდებული (განსასჯელი) არ აღიარებს დანაშაულს, თუმცა ეთანხ-

მება პროკურორს სასჯელის ზომაზე ან მისგან სრულად გათავისუფლებზე. რაც შეეხება სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას — თუ გულისხმობს სსსკ-ის 679¹-ე მუხლისაგან განსხვავებულ პროკურორის (და სასამართლოს) ზოგად უფლებას, რომელიც საპროცესო შეთანხმების დადების სავალდებულო პირობად ბრალდებულისათვის არ ითვალისწინებს გამოძიებასთან თანამშრომლობას, ან მის დახმარებას, მოითხოვს დეტალურ საკანონმდებლო რეგულირებას).

კანონმდებელი სსსკ-ის 679¹-ე მუხლში ჩამოთვლის საპროცესო შეთანხმების დადების შემდეგ აუცილებელ პირობებს:

ა) საჯარო ინტერესი, ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობის ხარისხი (679¹-ე მუხ. მე-6 ნაწ.);

ბ) ბრალდებულის (განსასჯელის) გაფრთხილება სამოქალაქო, ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობაზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა (679¹-ე მუხ. მე-6 და მე-9 ნაწ.);

გ) დამცველის სავალდებულო მონაწილეობა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა (679¹-ე მუხ. მე-7 ნაწ.);

დ) ზემდგომი პროკურორის წინასწარი წერილობითი თანხმობა. (679¹-ე მუხ. მე-4 ნაწ.).

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმების დადება დაიშვება როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ. თუმცა, გარკვეულ შეზღუდვას გვთავაზობს კანონმდებელი, როცა ბრალზე, ან სასჯელზე შეთანხმებისას ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირების, ან ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებისას პროკურორს იმპერატიულად სთხოვს გაითვალისწინოს ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხი. ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელი. რაც პირდაპირ მიანიშნებს დანაშაულთა კატეგორიაზე და სთხოვს პროკურორს მეტ წინდახედულებასა და ქვეყანაში სისხლის სამართლის პო-

ლიტიკის არჩეული კურსის სწორად განხორციელებას, საჯარო ინტერესებთან მიმართებაში. ასევე იმპერატიული მოთხოვნაა საპროცესო შეთანხმების დადებისას ზემდგომი პროკურორის წერილობითი შეთანხმების არსებობა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პროკურატურის საპროცესო ზედამხედველობის ფუნქციას. აქვე უნდა მივუნიშნოთ, დაზარალებულის შეზღუდულ საპროცესო უფლებაზე. სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის პირველი ნაწილი ავალდებულებს პროკურორს შეატყობინოს დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ და განუმარტოს სამოქალაქო სარჩელის უფლება. ვფიქრობთ, აღნიშნული უნდა იქნეს დაფიქსირებული სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმაში და კანონმდებელმა სსსკ-ის 679^ბ-ე მუხლის პირველ ნაწილში ერთ-ერთ პუნქტად უნდა მიუთითოს. მით უმეტეს, რომ ამავე მუხლის იმპერატიულ მოთხოვნას წარმოადგენს ბრალდებულის (განსასჯელის) გაფრთხილება სამოქალაქო, ან სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობაზე. რაც შეეხება სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა გენერალურ პროკურორს, ან მის მოადგილეს უფლება აქვთ იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე ბრალდებულის (განსასჯელის) სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე, დაზარალებულს უნარჩუნებს უფლებას სახელმწიფოს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის მე-7 ნაწილის მოთხოვნა დამცველის სავალდებულო მონაწილეობა და შეთანხმების შესახებ ბრალდებულის წინასწარი წერილობითი თანხმობა, სსსკ-ის 679^ბ-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა არსებობდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის მომზადებამდე. ბრალდებულის (განსასჯელის) წერილობითი განცხადება იმის თაობაზე, რომ დამცველისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ნებაყოფლობით აცხადებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობას, სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო შეთანხმების შეთავაზება ხდება პროკურორის მიერ. აღნიშნული განსხვავ-

დება თვით ბრალდებულის ინიციატივისაგან (რაც კანონში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებით განხორციელდა), როცა საპროცესო შეთანხმებას პროკურორს ის სთავაზობს. ასეთ შემთხვევაში გვექნება არა თანხმობის, არამედ სურვილის შესახებ განცხადება. ორივე შემთხვევაში ბრალდებული (განსასჯელი) სრულყოფილად უნდა აღიქვამდეს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის მიერ შედგენილი შუამდგომლობის შინაარსსა და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს.

V. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად პროკურორის მიერ შუამდგომლობის შედგენა

სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად პროკურორის მიერ შედგენილი შუამდგომლობის სასამართლოში განხილვის საკითხის განხილვამდე, საინტერესოა საპროცესო შეთანხმების შესახებ თვით ამ შუამდგომლობაზე მსჯელობა და მისი შემადგენელი ნაწილების განხილვა. შუამდგომლობა ძირითადად ღია დოკუმენტია (გარდა, სსსკ-ის 679²-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული, იმ ნაწილისა სადაც მითითებულია ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაცია.) და რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 679²-ე მუხლის პირველი ნაწილი გვთავაზობს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის სავალდებულო შემდეგ მონაცემებს:

ა) ბრალდებულის (განსასჯელის) სახელი, გვარი, დაბადების რიცხვი, თვე და წელი;

ბ) ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით;

გ) მტკიცებულებანი, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა;

დ) სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, მუხლის ნაწილი და ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული;

ე) პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა;

ვ) მითითება 679¹-ე მუხლის მე-11 ნაწილით გათვალისწინებული გაფრთხილების შესახებ, ან ამავე მუხლით გათვალისწინებული გენერალური პროკურორის, ან მისი მოადგილის დასაბუთებული გადანაცვეტილება.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის ფორმის შესადგენად ზემოთ მითითებული სავალდებულო მონაცემები ფაქტობრივად, შუამდგომლობას ამსგავსებს საბრალდებო დასკვნას. ყოველივე მიგვანიშნებს იმას, რომ შუამდგომლობა წარმოადგენს ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე აღწერას, მაგრამ არა ბრალდებულის სამართალში მიცემის, არამედ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს. საბრალდებო დასკვნისაგან განსხვავებით შუამდგომლობაში მიეთითება პროკურატურის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული შუამდგომლობის ისეთი მთავარი ნაწილი – შეთანხმების შინაარსი, რომელიც შემდგომ სსსკ-ის 679²-ე მუხლის მეორე ნაწილის და 679⁴-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების შესაბამისად, დეტალურად უნდა შეამონმოს სასამართლომ. შეთანხმების შინაარსი, ბრალზე შეთანხმების შემთხვევაში, გულისხმობს ბრალდებულის მიერ ბრალდების იმ ფორმულირების სრულ აღიარებას, რომელიც მოცემულია 679²-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში (ბრალდების ფორმულირება, ესე იგი ინკრიმინირებული ქმედების აღწერა მისი ჩადენის ადგილის, დროის, ხერხისა თუ საშუალების, იარაღის, აგრეთვე, ამ ქმედებით გამოწვეული შედეგის მითითებით). ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ ბრალზე შეთანხმების შემთხვევაში, შეთანხმების შინაარსში დეტალურად უნდა იქნეს გადმოცემული ბრალდებულის პოზიცია და ასევე, პროკურორის მოტივაცია მის მიერ მისაღებ გადანაცვეტილებასთან, მაგალითად, ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) სასჯელის შემცირებასთან დაკავშირებით. შუამდგომლობის ფორმა ასევე მოითხოვს დასკვნით ნა-

წილს, რომელშიც საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლზე მითითებით აღინიშნება საპროცესო შეთანხმების საფუძველი და ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სასჯელზე შეთანხმებისას შეთანხმების შინაარსში მოტივირებულად უნდა გადმოიცეს ბრალდებულის (განსასჯელის) პოზიცია და თანხმობა პროკურორის მიერ შეთავაზებულ სასჯელის ზომაზე.

ამასთან, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევაში გენერალური პროკურორს, ან მის მოადგილეს სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, უფლება აქვთ მოითხოვონ პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი არ ჩამოთვლის იმ განსაკუთრებულ შემთხვევებს, რომელთა გათვალისწინებით გენერალურ პროკურორს და მის მოადგილეს აქვთ ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება, ამ უფლების გამოყენებისას აუცილებელია არსებული განსაკუთრებული შემთხვევის მოტივირება და დასაბუთება იმისა, თუ რატომ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა სახელმწიფომ. (ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში კანონმდებელი გულისხმობს ცალკე შუამდგომლობას პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელსაც გენერალური პროკურორი ან მისი მოადგილე პირდაპირ წარუდგენს სასამართლოს. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა გარკვეულ დაბნეულობას შექნის სასამართლო პრაქტიკაში, კერძოდ: სსსკ-ის 679¹-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო კამათის დაწყებამდე მოსამართლე უფლებამოსილია მხარეებს შესთავაზოს წერილობითი საპროცესო შეთანხმების დადება. ამ შემთხვევაში, შუამდგომლობაში (რომელსაც არ დასჭირდება ზემდგომი პროკურორის თანხმობა) მითითებულ უნდა იქნეს გენერალური პროკურორის, ან მისი მოადგილის მოთხოვნა ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ მას უნდა დაერთოს ცალკე შუამდგომლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან ბრალდებულის გათავისუფლების შესახებ. ვფიქრობთ, რომ სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ

შემთხვევად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის, ანუ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების (სსსკ-ის 679⁰-ე მუხლით გათვალისწინებული) შემთხვევა.

რაც შეეხება სასჯელზე შეთანხმებისას, სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების პირობას, კანონმდებელი, მხოლოდ სსსკ-ის 679⁰-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს გულისხმობს, როცა ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად, გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები. ამ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობაში აღინიშნება, ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის, მტკიცებულებების, ან თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობის შესახებ ასევე, სხვა არსებითი პირობების შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა დანაშაულის გახსნა. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შეთანხმების შესახებ შუამდგომლობაში აუცილებელია პუნქტი იმ შენიშვნის გასაკეთებლად, რაც ამ მუხლის მე-3 ნაწილშია გადმოცემული. კერძოდ, ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი ინვესტ შეთანხმების პირობების ბათილობას. როგორც 679⁰-ე მუხლითაა გათვალისწინებული, შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს გენერალური პროკურორის მოთხოვნა ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ, რაც შუამდგომლობის დასკვნით ნაწილში მოითხოვს მითითებას სისხლის სამართლის კოდექსის 701-ე მუხლზე და საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტზე. ამასთან, გენერალური პროკურორის მიერ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაში, თუ იქნება მოთხოვნა სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-9 ნაწილით მინიჭებული უფლებების განხორციელების ე.ი. ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ, უნდა მიუნიშნოს ამ უკანასკნელ ნორმაზე.

სსსკ-ის 679²-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობაზე პროკურორის, ბრალდებულის (განსასჯელის) და მისი დამცველის ხელის მოწერის შესახებ ასევე, გულისხმობს ზემდგომი პროკურორის ხელმოწერას, რაც მითითებულია სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-4 ნაწილში და მიანიშნებს ზემდგომ პროკურორთან შეთანხმებაზე. (სხვა შემთხვევაში, საჭირო იქნება დამატებითი წერილობითი დოკუმენტი ზემდგომ პროკურორთან შეთანხმების თაობაზე). რაც შეეხება ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას, ესაჭიროება მხოლოდ გენერალური პროკურორისა და ბრალდებულის ხელმოწერა. სსსკ-ის 679⁹-ე მუხლის მე-2 ნაწილში ბრალდებულის (განსასჯელის) დამცველის მიერ შეთანხმების ხელმოწერაზე მითითება არ არის. ვფიქრობთ, აღნიშნული კანონმდებლობის ხარვეზია, რაც უნდა გამოსწორდეს.

VI. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის დამდგენი სასამართლოები და განსჯადი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვა.

სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 679⁹-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია განსჯადობა. კერძოდ: სსსკ-ის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საკითხს იხილავს სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განსჯადობის მიხედვით. გამონაკლისია ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შემთხვევა, როცა გენერალური პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს საოლქო სასამართლოს, რომელიც საქმის არსებითი განხილვის გარეშე წყვეტს განაჩენის გამოტანის საკითხს.

სსსკ-ის 679³-ე მუხლი საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვის განსხვავებულ სასამართლო პროცედურას ადგენს. კანონი

არ უთითებს ზოგადსამართლებრივ პრინციპებზე (თანასწორობა კანონისა და სამართლის წინაშე, უდანაშაულობის პრეზუმფცია) და პირველი ინტანციის სასამართლოში წარმოების კოდექსით დადგენილ ზოგად წესზე, რომელიც გულისხმობს სასამართლო მთავარი სხდომის გამართვამდე ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების (განჩინების) გამოტანას, სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობას და ა.შ. მთავარი პრინციპი, რომლის დაცვასაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი ითხოვს სსსკ-ის მე-151 მუხლის შესაბამისად, არის სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვა. საქართველოს საპროცესო კოდექსის ზოგადსამართლებრივი პრინციპი, სისხლის სამართლის პროცესის უშუალობისა და (რომლის სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით) საქმის არსებითი განხილვის შესახებ პირდაპირ არის უგულებელყოფილი პროკურორის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას. ამდენად, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საქმის არსებითი განხილვის გარეშე.

რაც შეეხება სასამართლოში საპროცესო შეთანხმების თაობაზე, პროკურორის შუამდგომლობის საჯარო სხდომაზე განხილვის კანონისეულ მოთხოვნას (სსსკ-ის 679^ა-ე მუხლს), ისევე როგორც სისხლის-სამართლებრივ ზოგად პრინციპს სისხლის სამართლის პროცესის საქვეყნობის შესახებ (სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილი), მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. თუ ჩავთვლით, რომ მნიშვნელოვან საფუძველში კანონმდებელი გულისხმობს მხოლოდ სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ მთლიანად, ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომის შემთხვევებს (სახელმწიფო, სამსახურებრივი, ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; პირადი მომონერისა და სატელეფონო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამის თანახმა არ არის პირი, ბრალდებულის სამართალში მიცემისას. აგრეთვე მხარის მოთხოვნით არასრულწლოვანის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულისა და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ გახმაურდეს ცნობები საქმეში მონაწილე

პირის ინტიმური, ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ, როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილისა და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა), მაშინ საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის პირველი ნაწილი ხარვეზიანია. ვფიქრობთ, „მნიშვნელოვანი საფუძველი“ უფრო ფართო ცნებაა და ამ შემთხვევაში სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილში დახურული სასამართლო სხდომის შემთხვევების ჩამონათვალი ალბათ სანიმუშოა. აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა, ბრალდებულის სასჯელის მოხდისაგან სრულად გათავისუფლების შემთხვევა, როცა ბრალდებული საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობს და მის შედეგად გამოვლინდება თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა, რაც ვფიქრობთ ასევე, წარმოადგენს დახურული სასამართლო სხდომის ჩატარების მნიშვნელოვან საფუძველს.

საჯარო სხდომის უპირატესობაა ის, რომ უზრუნველყოფილია სსსკ-ის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილით, გათვალისწინებული უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ სასამართლო პროცესის მიმდინარეობის და შედეგების გაშუქების, ასევე, სხვა პირების (იგულისხმება დაზარალებული, რომელსაც უფლება აქვს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი) სასამართლო განხილვაზე დასწრებისა.

სსსკ-ის 679^ა-ე მუხლში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მოსამართლეს, საქმის არსებითი განხილვისას სასამართლო კამათის დაწყებამდე, მიეცა უფლებამოსილება მხარეებს შესთავაზოს წერილობითი საპროცესო შეთანხმება. აღნიშნული ნოვაცია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ამსგავსებს შეკვეცილი სასამართლო წარმოების ქართულ ვარიანტს, რომელიც სსსკ-ის 473-ე მუხლითაა დადგენილი და განსასჯელის მიერ ბრალის აღიარება ედება საფუძველად. საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებით ბრალზე გარჩევის საფუძველით, თითქმის არ განსხვავდება შეკვეცილი სასამართლო წარმოებისაგან. მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის განხილვისას მხარეებისათვის ამ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების დადების შეთავაზების საფუძველზე წარმოდგენილი წერილობითი

შუამდგომლობა, ისევე როგორც სასამართლო გამოძიების შეკვეცა ან ჩაუტარებლობა განსასჯელის მიერ თავის დამნაშავედ ცნობის დროს უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არ იწვევდეს სასამართლო ეჭვს. ორივე შემთხვევაში, ბრალდებული თავისი ნებით ამბობს უარს საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებულ უფლებაზე არ მისცეს ჩვენება თავის საწინააღმდეგოდ და საქმე განხილულ იქნას არასრული სასამართლო პროცედურით. ერთ შემთხვევაში – საქმის არსებითი განხილვის გარეშე, მეორე შემთხვევაში, სასამართლო გამოძიების გაუქმების, ან შეკვეცის გზით. მსგავსებაა ასევე ის, რომ ორივე შემთხვევაში კანონმდებელი სასჯელის დანიშნისას მოსამართლეს აძლევს მისი შემსუბუქების შესაძლებლობას. კერძოდ, საპროცესო შეთანხმების დროს, მას შეუძლია არ დაეთანხმოს პროკურორის მიერ შემოთავაზებულ სასჯელს და განსასჯელის სასარგებლოდ შეამციროს ის, ხოლო შეკვეცილი სამართალწარმოებისას კონკრეტული დანაშაულისათვის მისჯილი სასჯელი ერთი მესამედით შეამციროს.

საპროცესო შეთანხმებისას (ბრალზე გარიგების საფუძველით) ბრალდებული (განსასჯელი) უარს ამბობს საპროცესო კანონით დადგენილ მთელ რიგ უფლებებზე (არ მისცეს თავისი საწინააღმდეგო ჩვენება, მისი საქმე არსებითად, მხარეთა მონაწილეობით, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით და ა.შ. განხილული იქნას სასამართლოს მიერ), რაც განაპირობებს საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობის განხილვისას კანონის რიგი მოთხოვნების დაცვას. კერძოდ: შეთანხმება დადებულ იქნეს კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ, ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე, ნებაყოფლობით. სსსკ-ის 679³-ე მუხლით, იგივე პირობები სავალდებულოდ უნდა იქნეს დაცული სასჯელზე შეთანხმების საფუძველით საპროცესო შეთანხმების დადებისას. ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის, (განსასჯელის) მიერ არ ხდება დანაშაულის აღიარება, მაგრამ პროკურორის მიერ შემოთავაზებულ სასჯელის ზომას ეთანხმება, ამ შემთხვევაში კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნების გადამონმება აზრს კარგავს, რამდენადაც რაიმე პირობა (მაგალითად, გამოძიებასთან თანამშრომლობა) ბრალდებულის, (განსასჯელის) მხრიდან არ არსებობს. აღნიშნულის

გამო, შუძლებელია რაიმე მიზნის დასაბუთება, (გარდა პროკურორის მიერ საჯარო ინტერესის გათვალისწინება ან შეკვეცილი სამართალ-წარმოება), რაც ზოგადად საპროცესო შეთანხმების დადებას გაამართლებს. აქ, ცალსახად სასჯელის შემცირების გზით, ბრალდებულის (განსასჯელის) მდგომარეობა მსუბუქდება, მოხდება ეს ბრალდების შემსუბუქების, თუ ნაწილობრივი მოხსნის საფუძველზე. (აღნიშნული კიდევ ერთხელ აყენებს ეჭვქვეშ საპროცესო შეთანხმების ცალკე საფუძველად სასჯელზე შეთანხმების არსებობას).

სსსკ-ის 679²-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლოს მიერ უნდა შემოწმდეს, რომ:

ა) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაში მას ედება ბრალი;

ბ) ბრალდებული (განსასჯელი) სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს;

გ) ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ;

დ) ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიიწვედის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას;

ე) ბრალდებული აცნობიერებს, რომ მას აქვს შემდეგი კონსტიტუციური უფლებები: დაცვის უფლება, ბრალის აღიარების შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება; საქმის არსებითი განხილვის მოთხოვნის უფლება;

ვ) საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს;

ზ) ბრალდებული (განსასჯელი) ეთანხმება საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს;

თ) ბრალდებულისა და პროკურორს შორის შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში;

ი) ბრალდებული და მისი დამცველი სრულად იცნობენ საქმის მასალებს.

განსჯადი სასამართლოს მიერ შესამონმებელ ზემოთ მითითებულ საკითხთა შორის საყურადღებოა ბრალდებულისათვის (განსასჯელისათვის) საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა იმ მოთხოვნის გაცნობა, რომელიც უკავშირდება ბრალის აღიარებას. აღნიშნული საკითხის გადამონმება ხდება ბრალზე შეთანხმების საფუძვლით დადებულ წერილობით შეთანხმებაში და უპირველესად, მოითხოვს მოსამართლისაგან იმ საკითხის შემონმებას, რაც ამ მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული, კერძოდ, სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ საპროცესო შეთანხმება ანუ, ბრალის აღიარება მოხდა ნებაყოფლობით. სხვა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომელიც ალბათ, მხოლოდ საპროცესო შეთანხმების ნორმებს გულისხმობს ისევე, ამ მუხლის პირველ ნაწილშია მითითებული, კერძოდ, კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების გზით – შეთანხმების დადება ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან სხვა რაიმე უკანონო დაპირების გარეშე. თუმცა, უნდა მივუთითოთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების შესახებ განმეორებით მითითებულია ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში, სადაც სასამართლოს განმეორებით ევალება დარწმუნდეს, რომ: საპროცესო შეთანხმება არ არის შედეგი ბრალდებულის (განსასჯელის) იძულების, დაშინების, ან ისეთი დაპირებისა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს. თვალნათელია, რომ სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილების „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები ერთი და იმავე საკითხის შემონმებას სთხოვენ სასამართლოს. ვფიქრობთ, ეს კანონმდებლობის ხარვეზია და ის უდა აღმოიფხვრას. აქვე უნდა განვიხილოთ, მე-2 ნაწილის „ე.ბ“ ქვეპუნქტით განმარტებული უფლება ბრალდებულისა (განსასჯელისა) უარი თქვას ბრალზე შეთანხმებით დადებულ საპროცესო შეთანხმებაზე. ამ ქვეპუნქტში კანონმდებელი მხოლოდ ბრალის აღიარებაზე და არა საერთოდ საპროცესო შეთანხმებაზე უარის უფლებას უთითებს, რამდენადაც, ამ ქვეპუნქტში

მხოლოდ კონსტიტუციურ უფლებებზეა საუბარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელი განმეორებით, სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-5 ნაწილში, აკონკრეტებს ბრალდებულის (განსასჯელის) უფლებას სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გასვლამდე საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის შესახებ. კონსტიტუციურ უფლებათა ჩამონათვალშია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ მოთხოვნის უფლება. (სსსკ-ის 679³-ე მუხ. მე-2 ნაწ. „ე.“ ქვეპუნქტი.)

ეს უფლება უკავშირდება ბრალდებულის (განსასჯელის) მიერ სასამართლოში საქმის განხილვის დროს, განაჩენის გამოსატანად სათათბირო ოთახში გასვლამდე, ნებისმიერ ეტაპზე, საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლებას. ისევე, როგორც სისხლისამართლებრივი დევნისას, ასევე პროკურორის მიერ საპროცესო შეთანხმების შესახებ წერილობითი შუამდგომლობის მომზადების და მისი სასამართლოში შეტანის, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის ნებისმიერ ეტაპზე განაჩენის გამოტანამდე ბრალდებულს (განსასჯელს) შეუძლია მოითხოვოს საპროცესო შეთანხმების უარყოფა და სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვა. ამ უფლების გამოყენების შემთხვევაში, თუ საქმე წინასწარ გამოძიებაშია, ბრალდებულის მიმართ გრძელდება გამოძიება და სისხლისამართლებრივი დევნა და მთავრდება პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენითა და საქმის განსჯად სასამართლოში წარმართვით. თუ საქმე სასამართლოშია და არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს არ დაუწყია პროკურორის შუამდგომლობის განხილვა, სასამართლო დადგენილებით (განჩინებით) საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობას ტოვებს განუხილველად და საქმეს უბრუნებს პროკურორს. თუ სასამართლოს, საქმის არსებითი განხილვის გარეშე დაწყებული აქვს საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვა, წყვეტს სასამართლო განხილვას და საქმეს უბრუნებს პროკურორს საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხის გადასაწყვეტად. აქვე დგება 679⁷-ე მუხლის მე-21 ნაწილით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე სასამართლოს უარის შესახებ მიღებული გადაწ-

ყვეტილების მხარის მიერ გასაჩივრების უფლების საკითხი. შეუძლია თუ არა პროკურორმა გაასაჩივროს განსასჯელის მოთხოვნით უარყოფილი საპროცესო შეთანხმების თაობაზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, თეორიულად ამ მუხლის მიხედვით, პროკურორს ამის უფლება აქვს, რაც კანონის ხარვეზს წარმოადგენს. ამასთან, კანონი არ განიხილავს, აღნიშნული საფუძველით უარყოფილი საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებით პროკურორის მიერ ბრალდებულისათვის ხელახლა შეთავაზების და მისი სასამართლოში განხილვის შემთხვევის საკითხს. ვფიქრობთ, ამის შესაძლებლობა მოქმედი კანონით არსებობს.

სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-3 ნაწილის ნორმა ეხება ბრალის აღიარების საფუძველზე დადებულ საპროცესო შეთანხმებისას სასამართლოს მიერ შესამონმებელ იმ საკითხს, რომელიც მოიცავს ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ წარდგენილი ბრალდების დასაბუთებულობასა და კანონიერებისას, ასევე პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს (აღარაფერს ვამბობთ ამავე ნაწილით მერამდენედ მოთხოვნილ ბრალის აღიარების ნებაყოფლობითობის საკითხის შემონმებაზე). გაუგებარია კანონმდებელმა რატომ გადაიტანა ეს საკითხი მომდევნო მუხლში და რატომ არ მიუთითა ის საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე სასამართლოს მიერ სსსკ-ის 679³-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ შესამონმებელ საკითხებში.

რაც შეეხება სსსკ-ის 679³-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასამართლოს მიერ შესამონმებელ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ბრალდებული (განსასჯელი) აცნობიერებს, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დაამტკიცებაზე უარის თქმის შედეგებს ანუ იმას, რომ დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიანვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას, ეხება ბრალის აღიარებით ჩვენებაში გაცხადებულ ინფორმაციას და სასჯელზე შეთანხმების შემთხვევას – სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებით, როცა ბრალდებული საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობს. აქვე, საინტერესოა სსსკ-ის 679⁵-ე მუხლის დებულება იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის უარი შეთანხმებაზე გამორიცხავს მისი

მიცემული ჩვენების მის საინააღმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მუხლი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობის საკითხს ეხება, კანონმდებელი მხოლოდ ამ შემთხვევის რეგლამენტაციით არ ამოიწურება და დამატებით უთითებს ბრალდებულის უფლებაზე.

2005 წლის 25 მარტის კანონის ნოვაციაა სსკ-ის 679²-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის შესახებ სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას ითხოვს სიტყვასიტყვით შედგენილ ოქმს. ვფიქრობთ, საოქმო ფორმა პროცესის მიმდინარეობის შესახებ საჭიროა, მაგრამ ზედმეტია მითითება „სიტყვასიტყვითობაზე“.

სსკ-ის 679⁴-ე მუხლი ჩამოთვლის იმ გადაწყვეტილებებს, რომელიც შეიძლება სასამართლომ მიიღოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე, კერძოდ:

ა) განაჩენი;

ბ) საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად საქმის პროკურორისათვის დაბრუნება.

VII. საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლო განაჩენი

საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვა საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე მიმდინარეობს, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სასამართლოში საქმის წარმოების საერთო წესებით (გარკვეული შეზღუდვებით), თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ სსსკ-ის LXIV თავში. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, სამართალში მიცემის ეტაპი საჭირო არ არის. განსჯადი სასამართლო, პროკურორის

მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვის დაწყებამდე, იღებს ზომებს სასამართლო სდომის მოსამზადებლად. მოსამართლე ნიშნავს საქმის განხილვას, მხარეებს (პროკურორს, ბრალდებულსა და მის დამცველს) აცნობებს სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. პროკურორის შუამდგომლობა საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს გადაწყვეტილებით საპროცესო შეთანხმებაზე განხილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსჯადობის შესაბამისად, ერთი მოსამართლის შემადგენლობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და საოლქო სასამართლოში – კოლეგიალურად, სამი მოსამართლის შემადგენლობით. სასამართლო განხილვა იწყება კოდექსით დადგენილი სასამართლო წარმოების ზოგადი ნორმების შესაბამისად, სასამართლო უპირველესად, ამონ-

ა) დამცველის დანიშვნის კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს;

ბ) დახურული სასამართლო სხდომის სსსკ-ის მე-16 მუხლით და საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ სსსკ-ის LXIV¹ თავით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებს;

გ) თარჯიმნის მონაწილეობას.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილის შემდეგ (სსსკ-ის 457-ე, 458-ე, 459-ე, 461-ე, 462-ე, 463-ე, 464-ე, მუხლებით დადგენილი წესები) სასამართლო ამონებს:

ა) ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ საქმის სრულად გაცნობის საკითხს სსსკ-ის 679³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ბ) არკვევს, რომ ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული ყველა შეთანხმება ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში. სსსკ-ის 679³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

სასამართლო განხილვის დროს დაცული უნდა იქნეს სსსკ-ის 435-437-ე მუხლის მოთხოვნები. (საქმის განმხილველი სასამართლოს უცვლელობის შესახებ, სათადარიგო მოსამართლისა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარის უფლებამოსილების შესახებ.) სასამართლო

განხილვისას უგულებელყოფილია სსსკ-ის 439-ე და 440-ე მუხლით გათვალისწინებული სასამართლო განხილვის შეჯიბრობითობის, სასამართლო განხილვის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპები, ასევე, შეზღუდულია სსსკ-ის 442-ე მუხლში მითითებული სამართალწარმოების სხვა პრინციპების (მაგალითად, დისპოზიციურობა მე-14 მუხ., საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა მე-18 მუხ.) გამოყენება.

VII.1. განსასჯელი

სასამართლო განხილვაში მონაწილეობს განსასჯელი. საინტერესოა განსასჯელის დაუსწრებლად საქმის განხილვის საკითხი. ვრცელდება თუ არა ამ შემთხვევაში საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლით დადგენილი წესები. (მაგალითად, განსასჯელი საქართველოს ფარგლებს გარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. განსასჯელი შუამდგომლობს, საქმე განიხილოს მის დაუსწრებლად, განსასჯელი თანამდებობის პირი ან რეკეტორია.) ვფიქრობთ, სსსკ-ის 679¹-ე მუხლში საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განმხილველი სასამართლოს მიერ შესამონმმებელი საკითხების ჩამონათვალი კატეგორიული დადებითი, ან უარყოფითი პასუხის შესაძლებლობას გამორიცხავს. საკითხის განხილვისას მნიშვნელოვანია – საპროცესო შეთანხმების საფუძველია ბრალზე შეთანხმება, თუ სასჯელზე გარიგება. ბრალზე შეთანხმების დროს განსასჯელის დაუსწრებლად (მხოლოდ დამცველის მონაწილეობით და განსასჯელის წერილობითი თანხმობით) სასამართლოში საქმის განხილვა ვფიქრობთ, შეუძლებელია. სასამართლოს მიერ, ისეთი საკითხები როგორცაა: განსასჯელის მიერ ბრალად შერაცხული და მის მიერ აღიარებული დანაშაულის ხასიათის, დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სრულად გაცნობიერება, საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ბრალის აღიარების შესახებ ყველა მოთხოვნის ცოდნა, ბრალის აღიარების შეთანხმებაზე უარის თქმა და საქმის არსებითი განხილვის უფლება, განსასჯელის პროცესზე უშუალო მონაწილეობის გარეშე ვერ შემონმდება. ასევე შეუძლებელი იქნება განსასჯე-

ლის სასამართლო პროცესზე მონაწილეობის გარეშე სასამართლოს დარწმუნება იმაში, რომ შეთანხმება დადებულია ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე ნებაყოფლობით, კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების გზით.

რაც შეეხება სასჯელზე შეთანხმებას ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით წარმოდგენილი შუამდგომლობის სასამართლოზე განსასჯელის მონაწილეობის გარეშე განხილვას, რომელიც გარდა სსსკ-ის 679³-ე მუხლით დადგენილი საკითხების გარკვევისა, სასამართლოს ავალებს გაარკვიოს ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის დეტალები, უფრო ამტკიცებს ჩვენს პოზიციას განსასჯელის გარეშე სასამართლო პროცესის ჩატარებისა და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შეუძლებლობის შესახებ. აღნიშნული წესიდან შეიძლება დაეუშვათ გამოჩაქლისი, როცა საპროცესო შეთანხმების შესახებ (სასჯელის ზომაზე პროკურორთან გარიგების საფუძველით) შუამდგომლობა შეიძლება განხილულ იქნეს განსასჯელის მონაწილეობის გარეშე. როგორც ზემოთ დავასაბუთეთ, ამ შემთხვევაში ნაკლებად შესაძლებელია ბრალდებულის უფლების დარღვევა და სასამართლოს მიერ უკანონო გადანყვეტილების გამოტანის რისკი (თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სსსკ-ის 679⁶-ე მუხლში მითითებული საფუძვლის არსებობისას მსჯავრდებულს აქვს განაჩენის გასაჩივრების უფლება.).

VII.2. დამცველი

რაც შეეხება დამცველის მონაწილეობის საკითხს თუ გამოძიების ეტაპზე აღნიშნული გულისხმობს იძულებით დაცვას (სსსკ-ის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი, იძულებითი დაცვა), იმუშავენ სსსკ-ის 445-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილით დადგენილი წესები. სსსკ-ის 679⁵-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, განსასჯელთან შეთანხმებით შესაძლებელია შეიცვალოს საპროცესო შეთანხმების პირობა. ამავე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, განსასჯელის მიერ განაჩენის გამოტანამდე საპროცესო შეთანხმებაზე უარს დამცველის თანხმობა არ სჭირდება.

VII.3. პროკურორი

რაც შეეხება სასამართლო პროცესზე პროკურორის მონაწილეობის საკითხს, ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებანი, განსხვავებით სსსკ-ის 446-ე მუხლის მოთხოვნებისაგან პროკურორი სასამართლო განხილვაში მხარს უჭერს საპროცესო შეთანხმების შესახებ შედგენილ შუამდგომლობას და ამასთან, წარმოადგენს იმ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ აღნიშნული დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, გამოთქვამს აზრს სასამართლოს გადასაწყვეტ ყველა საკითხზე. კერძოდ, იმაზე, რომ წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები განსასჯელის ბრალის დასადასტურებლად და მოთხოვნა ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე და მოთხოვნილი სასჯელი შეესაბამება საჯარო ინტერესს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს და ქმედების მართლწინააღმდეგობისა და ბრალეულობის ხარისხს.

განსაკუთრებულია სასჯელზე შეთანხმების საფუძვლით დადებულ საპროცესო შეთანხმების შესახებ გენერალური პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვისას მისი უფლებამოვალეობანი. პროკურორის მიერ სავალდებულოა იმ განსაკუთრებული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის, დოკუმენტაციის ან\და მტკიცებულების წარმოდგენა, რაც ადასტურებს ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობას და მისი უშუალო ხელშეწყობით დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნას; აღნიშნულის სასამართლოზე წარდგენის ვალდებულება ასევე, გამომდინარეობს სსსკ-ის 679²-ე მუხლის მე-4 ნაწილში გაკეთებული დათქმიდან, რომ ბრალდებულის მიერ გამოძიებისათვის მიწოდებული ინფორმაციის გაცნობის უფლება აქვთ მასზე ხელმომწერ პირებსა და სასამართლოს.

სსსკ-ის 679¹-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დროს საპროცესო შეთანხმების განხილვისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს ბრალდებულის სასჯელის სრულად გათავისუფლების მოთხოვნა. ამავდროულად, თუ გენერალურმა პროკურორმა გამოიყენა სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-9 ნაწილით მინიჭებული უფლება და სასა-

მართლოს მიმართა განსასჯელი პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მოთხოვნით, შუამდგომლობა უნდა იყოს მოტივირებული და დასაბუთებული.

აქვე, ყურადღებას გავამახვილებთ, საპროცესო ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით, 2004 წლის 13 თებერვლის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ დამატებაზე, კერძოდ, კოდექსის 711-ე მუხლზე. ამ ნორმით დასაშვებია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის გამო, რისთვისაც კანონი მიუთითებს იმავე განსაკუთრებულ შემთხვევაზე, რაც საპროცესო კანონმდებლობის 679¹-ე მუხლშია მოცემული. (კერძოდ, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან\და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნა.) მაშინ, როცა აღნიშნული ნორმა გაჩნდა მატერიალურ კანონმდებლობაში, საპროცესო შეთანხმების დადების ერთ-ერთ წინაპირობას საპროცესო კანონმდებლობით (კანონის 2004 წლის 13 თებერვლის რედაქცია) საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა წარმოადგენდა. თუმცა, მაშინ მოქმედი კანონის შესაბამისად, მხოლოდ გენერალურ პროკურორს ჰქონდა უფლება საგამოძიებო ორგანოებთან ბრალდებულის თანამშრომლობის განსაკუთრებულ შემთხვევაში მოეთხოვა მისი სისხლის სამართლის (და არა სასჯელისაგან) პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლება (იხ. საქართველოს სსსკ-ში 2004 წლის 24 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილება 679¹-ე მუხლის მე-9 ნაწილში). მას შემდეგ, რაც კანონი შეიცვალა და მხოლოდ სასჯელზე გარიგების საფუძვლით (ე.ი. როცა ბრალდებული არ აღიარებს დანაშაულს, თანამშრომლობს გამოძიებასთან და ეთანხმება სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას) დადებული საპროცესო შეთანხმების შუამდგომლობა აძლევს გენერალურ პროკურორს უფლებას მოითხოვოს სასჯელისაგან გათავისუფლება, გაურკვეველს ხდის მატერიალურ კოდექსში არსებული 711-ე მუხლის უცვლელი სახით არსებობას. აღნიშნული ნორმა ისედაც ხარვეზიანი იყო, რამდენადაც

არ მიუთითებდა საპროცესო შეთანხმების პროცესულურ ნორმებზე და იძლეოდა იმ ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რომ საპროცესო შეთანხმების შესახებ გენერალური პროკურორის შუამდგომლობის გარეშე, დამოუკიდებლად, სასამართლო უფლებამოსილი იყო ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძვლით, ემსჯელა ბრალდებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საკითხზე.

მითითებული ხარვეზების გამო და იმის გათვალისწინებით, რომ სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი, რომლითაც სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს სსსკ-ის 679¹- მუხლის მე-5 ნაწილით და 679²-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გამორიცხავს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებას, ზემოაღნიშნული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ნორმები ერთმანეთთან შესაბამისობაში უნდა მოვიდნენ.

VII.4. დაზარალებული

რაც შეეხება საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლით განსაზღვრულ დაზარალებულის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლებას, საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას უგულებელყოფილია. დაზარალებულს, რომელსაც პროკურორი სსსკ-ის 679²-ე მუხლის შესაბამისად, ატყობინებს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, ეკარგება უფლება მონაწილეობა მიიღოს როგორც მხარემ სასამართლო განხილვაში და გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმება. დაზარალებულს საპროცესო შეთანხმება არ ართმევს სამოქალაქო სარჩელის უფლებას. ასევე, უგულებელყოფილია სასამართლო განხილვაში სამოქალაქო მოსარჩელის მონაწილეობა.

VII.5. სასამართლოში საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის განხილვა

სასამართლოში საქმე განიხილება საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში მითითებული ბრალდების ფარგლებში. სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო განიხილისას, მოსამართლის შეთავაზებით, მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს საპროცესო შეთანხმების შედეგად წარმოდგენილი ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. რაც შეეხება სსსკ-ის 679⁷-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სასამართლო სდომის ოქმს, მასზე ასევე, ვრცელდება სსსკ-ის 454-ე, 453-ე მუხლებით გათვალისწინებული ზოგადი მოთხოვნები.

VII.6. სასამართლო გამოძიება

სასამართლო გამოძიების საპროცესო კანონმდებლობის წესები შეზღუდულად გამოიყენება საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის განხილისას. სასამართლო სხდომაზე პროკურორი წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობას, ან მის სარეზოლუციო ნაწილს, რა დროსაც მოსამართლე არკვევს, რომ ბრალდებულსა და პროკურორს შორის არსებული შეთანხმების ყველა პირობა ასახულია წერილობით საპროცესო შეთანხმებაში.

სასამართლო ეკითხება განსასჯელს, ეთანხმება თუ არა საპროცესო შეთანხმებას და აძლევს განმარტებას, რომ უფლება აქვს სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ მომენტში, უარი თქვას საპროცესო შეთანხმებაზე და რომ მომავალში მის წინააღმდეგ შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი მიანვდის სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილისას, ან შეცვალოს საპროცესო შეთანხმების პირობა (სსსკ-ის 679⁴-ე მე-7 ნაწილი). სასამართლო ეკითხება განსასჯელს, რომ საპროცესო

შეთანხმება მოხდა ნებაყოფლობით, კვალიფიციური იურიდიული დახმარების განევის შემდეგ.

სასამართლო განსასჯელს განუმარტავს მისთვის წაყენებული ბრალდების არსს, რათა სსსკ-ის 679³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დარწმუნდეს, რომ განსასჯელი სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ედება ბრალი. იმ შემთხვევაში, თუ საპროცესო შეთანხმების საფუძველია ბრალზე შეთანხმება, მოსამართლე ამონმებს, რომ განსასჯელი ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს და სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; ასევე მონმდება, რომ მისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შესახებ.

მოსამართლე ისმენს განსასჯელის ბრალის აღიარებას, პროკურორს და დამცველს უფლება აქვთ დაუსვან შეკითხვები განსასჯელს.

შემდგომ სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე ამონმებს დასაბუთებულია თუ არა ბრალდება.

საქმის მასალებში არსებული და დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი განსასჯელის პიროვნების დამახასიათებელი მტკიცებულებების შეფასების შემდეგ, სასამართლო ამონმებს ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმეს და შუამდგომლობაში პროკურორის მიერ მოთხოვნილ სასჯელს. სასამართლო განსასჯელის საბოლოო პოზიციის შემონმების შემდეგ (სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება), განსასჯელის მოსმენის შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად.

VII.7. განაჩენის დადგენა

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვისას სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შეიძლება გამოტანილ იქნეს გამამ-

ტყუნებელი განაჩენი, რომელიც შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ. საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენი დგინდება და ცხადდება საქართველოს სახელით.

რაც შეეხება განაჩენის კანონიერების, დასაბუთებულობისა და სამართლიანობის შესახებ სსსკ-ის 496-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები შეზღუდულად, ფაქტობრივად გაზიარებულია სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში. განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთებულობის კუთხით სხვაობაა ის, რომ სასამართლო დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე საქმის მასალებში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ და (არა სასამართლოს მიერ განხილულ) უტყუარ მტკიცებულებებს, ასევე, განსასჯელის მიერ ბრალის აღიარებას, თუ ეს მტკიცებულებები საკმარისია საპროცესო შეთანხმების შესახებ შემოტანილი შუამდგომლობის დასამტკიცებლად. განაჩენში ჩამოყალიბებული ბრალდება და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

განაჩენის სამართლიანობასთან დაკავშირებით, კანონმდებელი 679⁴-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებში უთითებს მოთხოვნილი სასჯელის კანონიერებას, თუმცა არ განმარტავს ამ ცნებას. 679¹-ე მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულთან დაკავშირებით კანონმდებელი უთითებს, რომ განსასჯელისათვის სასჯელის შემცირების, ან ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას და ვფიქრობთ, შესაბამისად სასჯელის განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს საჯარო ინტერესი ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა, ასევე ზოგადი პრინციპი სასჯელის შესაბამისობა დამნაშავის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან. სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო პროკურორის მოთხოვნილ სასჯელს მკაცრად მიიჩნევს, მას უფლება აქვს შეამსუბუქოს იგი.

საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის დადგენისას სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები სსსკ-ის 498-ე მუხლთან მიმართებაში არის შემდეგი:

ა) ჩაიდინა თუ არა განსასჯელმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება;

ბ) არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
გ) შეერაცხება თუ არა განსასჯელს ბრალად ჩადენილი ქმედება;
დ) რამდენად ნებაყოფლობით მოხდა ბრალის აღიარება;
ე) უნდა დაისაჯოს თუ არა განსასჯელი მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის;

ვ) რა სასჯელი უნდა დაენიშნოს განსასჯელს და რა ზომით;
თ) უნდა მოიხადოს თუ არა განსასჯელმა დანიშნული სასჯელი;
ი) რა სახის სასჯელაღსრულებით დანესებულებაში უნდა მოიხადოს განსასჯელმა თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი;

კ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა გენერალური პროკურორის, ან მისი მოადგილის მოთხოვნა განსასჯელის სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ;

ლ) როგორია ნივთიერი მტკიცებულების ბედი;

მ) საჭიროა თუ არა გაუქმდეს, შეიცვალოს, ან შეირჩეს აღკვეთის ღონისძიება.

რაც შეეხება სსსკ-ის მე-500 მუხლით გათვალისწინებულ მოსამართლეთა თათბირისა და საქმის ცალკეულ საკითხებზე გადანყევტილების მიღების წესი გამოიყენება ამ შემთხვევაში.

VII.8. გამამტყუნებელი განაჩენი

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებანი განსასჯელის ბრალის დასასაბუთებლად საქმის არსებითი განხილვის გარეშე, დგინდება გამამტყუნებელი განაჩენი:

ა) მოსახდელი სასჯელის დანიშვნით;

ბ) სასჯელის დაუნიშნავად.

მოსახდელი სასჯელის დანიშვნით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას სასამართლომ ზუსტად უნდა განსაზღვროს სასჯელის სახე და ზომა, სასჯელის ვადის დანყება. პირის დაკავებისა და წინასწარ პატიმრობაში, აგრეთვე შინაპატიმრობასა და სამედიცინო დანესებულებაში სტაციონარულ ექსპერტიზაზე ყოფნის დრო ითვლება სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ვადაში.

სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად სსსკ-ის 679⁹-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, გენერალური პროკურორის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას.

სსსკ-ის 506-ე მუხლის მოთხოვნები განაჩენის შედგენის შესახებ ვრცელდება საპროცესო შეთანხმებისას საქმის არსებითი განხილვის გარეშე მიღებულ განაჩენზეც.

რაც შეხება სსსკ-ის 507-ე (განაჩენის შესავალი ნაწილი), 508-ე (გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი), 509-ე (გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი) და 512-ე (განაჩენის გამოცხადება), 513-ე (განსასჯელის პატიმრობიდან გათავისუფლება) მუხლებით დადგენილი წესები გამოიყენება შეზღუდულად. კერძოდ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების შესახებ განაჩენის შესავალ ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ:

განაჩენი დადგენილია საქართველოს სახელით, განაჩენის დადგენის დრო და ადგილი, განაჩენის დამდგენი სასამართლოს სახელწოდება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, ბრალმძებელი, განსასჯელის სახელი და გვარი, დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ცნობები. დამცველი.

გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დამტკიცებულად ცნო. ამასთან, მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო, ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი, შედეგი. მითითებული უნდა იყოს მტკიცებულება, (ბრალის აღიარების თაობაზე ჩვენება), რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა და მოტივი. აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი. (დასაბუთება ბრალდებულისათვის ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივი მოხსნის თაობაზე) და ა.შ.

სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს სასჯელის სახე და ზომა, პირობითი მსჯავრის გამოყენება, დანაშაულისათვის სისხლის სამართ-

ლის კანონით გათვალისწინებულ უმდაბლეს ზღვარზე დაბალი სასჯელის დანიშვნა და უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლა სსკ-ის 55-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, რაც სპეციალურად საპროცესო შეთანხმებისას სასჯელის სახისა და ზომის გამოყენების განსაკუთრებულ წესს წარმოადგენს.

განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი. განსასჯელის გვარი და სახელი გადაწყვეტილება ჩადენილ დანაშაულში მისი დამნაშავედ ცნობის შესახებ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი, რომლის მიხედვითაც განსასჯელი მიჩნეულია დამნაშავედ.

იმ სასჯელის ზომა, რომელიც განსასჯელს დაენიშნა ყოველი დანაშაულისათვის, მოსახდელი სასჯელის საბოლოო ზომა, შესაბამისი რეჟიმის სასჯელალსრულებითი დაწესებულება, რომელშიც მსჯავრდებულმა უნდა მოიხადოს სასჯელი. გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობა, თუ გამოყენებულია პირობითი მსჯავრი. გადაწყვეტილება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე განსასჯელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტა, განაჩენის გასაჩივრების უფლება, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევისა და საპროცესო კონფისკაციის საკითხის გადაწყვეტა.

სასჯელის ან გათავისუფლების შემთხვევა უნდა აღინიშნოს სარეზოლუციო ნაწილში.

ყველა შემთხვევაში განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ განაჩენის აღსრულებისას არ წარმოიშვას რაიმე ეჭვი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის შესახებ.

სსკ-ის 513-ე მუხლის შესაბამისად, პატიმრობაში მყოფი განსასჯელი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან, თუ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენი დადგინდა, მაგრამ განსასჯელს არ დაუნიშნეს სასჯელი, გაათავისუფლეს სასჯელისაგან, პირობითად დასდეს მსჯავრი, დაუნიშნეს სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან; სასჯელად დაუნიშნეს თავისუფლების აღკვეთა

ისეთი ვადით, რომელიც არ აღემატება წინასწარ პატიმრობაში მსჯავრდებულის ფაქტობრივ ყოფნას.

VIII.საქმის დაბრუნება პროკურატურისათვის საბრალდებო დასკვნის შედგენის საკითხის გადასაწყვეტად

საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლო გადაწყვეტილების მეორე სახეა – საქმის დაბრუნება პროკურატურისათვის საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად.

სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ არ არსებობს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, ან დაადგენს, რომ შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე წარმოდგენილია ამ თავის მოთხოვნათა დარღვევით, იგი საქმეს უბრუნებს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად.

ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების არარსებობა საქმეში არის ერთ-ერთი საფუძველი სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის წარმოდგენილ შუამდგომლობაზე უარის თქმისა. საპროცესო შეთანხმების დასადავად საკმარისი არ არის მხოლოდ მხარეთა (ბრალდებული, მისი დამცველი და ბრალმდებელი) შორის შეთანხმება იქნება ეს ბრალზე თუ სასჯელზე გარიგებით, ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების მოთხოვნით. ამასთან საქმეში უნდა არსებობდეს ბრალდების დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებანი, რაც ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ შუამდგომლობა საბრალდებო დასკვნის მსგავსი დოკუმენტია მცირედი სახესხვაობით. აქვე მივუთითებთ, რომ საპროცესო შეთანხმება ბრალზე შეთანხმების საფუძველით, როცა ბრალდებული (განსასჯელი) აღიარებს დანაშაულს, ვერ იქნება საკმარისი საფუძველი საპროცესო შეთანხმების შესახებ წარმოდგენილი შუამდგომლობის დასამტკიცებლად და საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის დასაადგენად. ბრალდებულის, განსასჯელის აღიარებასთან ერთად საქმეში უნდა არსე-

ბობდეს უტყუარი მტკიცებულებანი, პირის ბრალის დასადასტურებლად, სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

რაც შეეხება საქმის პროკურატურისათვის დაბრუნების მეორე საფუძველს, როცა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმებისა და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ (სსსკ-ის 679⁹-ე მუხლი) თავის მოთხოვნათა დარღვევით — ზოგადია. აღნიშნული თითქოს იძლევა საფუძველს სასამართლომ ამ თავში გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის (მაგალითად, არ არის დაცული სსსკ-ის 679²-ე მუხლით განსაზღვრული შუამდგომლობის ფორმა, კერძოდ, შუამდგომლობაში მითითებლი არ არის ბრალდებულის დაბადების რიცხვი, თვე და წელი, ან სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ქვეპუნქტი, რომლითაც გათვალისწინებულია ეს დანაშაული, ან პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ზომა, ან ზემდგომი პროკურორის წერილობითი თანხმობა, ან პროკურორმა არ გააფრთხილა ბრალდებული სამოქალაქო, ან სხვა სახის პასუხისმგებლობის გარდაუვალობის შესახებ, პროკურორმა არ შეატყობინა დაზარალებულს საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ სსკ-ის 679⁸-ე მუხლი და ა.შ.) დარღვევისას საქმე დაუბრუნოს პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად, რაც თავის მხრივ, უკავშირდება იმავე საქმეზე განმეორებით საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობის საკითხს და სასამართლოში პროკურორის შუამდგომლობის განხილვას (განსაკუთრებით რთულია ის საქმეები, სადაც ბრალდებულის საპატიმრო ვადები იწურება). ყოველივეს გათვალისწინებით, თითქოს, კანონმდებელი სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-5 ნაწილში, იძლევა გამოსავალს, როცა პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნების ნაცვლად მხარეებს სთავაზობს, შუამდგომლობის სასამართლო განხილვისას საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლას. მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია მხარეთა მიერ შესათანხმებელ პირობებზე და არა საპროცესო შეთანხმების შესახებ კოდექსში არსებული მოთხოვნების დარღვევის გამოსწორებაზე. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისას, კანონმდებლობაში ბოლო ცვლილებების შეტანამდე, სადაც სასამართლო განხილვისას

მხარეების მიერ საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლის უფლება არ არსებობდა, საოქმო წარმოების ფორმით სასამართლო პროცესზე ზუსტდებოდა როგორც მხარეთა პოზიციები, ასევე, სწორდებოდა ის საპროცესო ხარვეზები, რომლებიც პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობაში არსებობდა. ამასთან, ძალზე იშვიათი იყო შემთხვევები, როცა სასამართლოები საქმეს უბრუნებდნენ პროკურატურას საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად. ამდენად, ვფიქრობთ, სასამართლომ განხილვისას უნდა მისცეს მხარეებს არა მარტო საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლის საშუალება, არამედ, თუ შუამდგომლობა შედგენილია კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე მოთხოვნის დარღვევით და მისი გამოსწორება შეიძლება სასამართლოზე, მისი გამოსწორების შესაძლებლობა. მაგალითად, სასამართლო პროცესზე, მოხდეს პროკურორის მიერ განსასჯელის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ საპროცესო შეთანხმება არ ათავისუფლებს მას სამოქალაქო თუ სხვა სახის პასუხისმგებლობისაგან. თუ განსასჯელი სასამართლო პროცესზე პროკურორის და მოსამართლის მიერ გაფრთხილებისას თანახმაა შუამდგომლობის პირობებზე და უარს არ ამბობს შეთანხმებაზე, რატომ არ უნდა დამტკიცდეს იგი სასამართლოზე.

რაც შეეხება საპროცესო გადაწყვეტილების სახეს, ან ფორმას პროკურატურისათვის საქმის უკან დაბრუნების თაობაზე საბრალდებო დასკვნის გადასაწყვეტად, საპროცესო კოდექსის სპეციალურ თავში არაფერია მითითებული. ვფიქრობთ, სსსკ-ის 44-ე მუხლის 31-ე ნაწილის შესაბამისად, აღნიშნული საპროცესო გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს დადგენილების, ან განჩინების სახით. რაც შეეხება გადაწყვეტილების ფორმას, ის ანალოგიურია იმ საპროცესო გადაწყვეტილებებისა, რომელიც არსებობს სისხლის სამართლის პროცესში. სავალდებულოა, დადგენილება, ან განჩინება იყოს მოტივირებული.

VIII.1. დადგენილება საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საქმის პროკურატურისათვის უკან დაბრუნების შესახებ

გთავაზობთ, დადგენილების (განჩინების) ნიმუშს: დადგენილება საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საქმის პროკურატურისათვის უკან დაბრუნების შესახებ.

1. დადგენილების (განჩინების) შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი შედეგის დრო და ადგილი, სასამართლოს დასახელება, მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულის (განსასჯელის) და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის გვარი, ცნობები განსახილველი შუამდგომლობის შესახებ.

2. დადგენილების (განჩინების) აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება პროკურატურის მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის შესახებ დასკვნა და მოტივები, რომლებიც ვერ უთითებენ განსასჯელის ბრალდების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებებს, ან მითითება იმ კონკრეტული მოთხოვნების დარღვევის შესახებ, რაც საპროცესო შეთანხმების თავშია მოცემული.

3. დადგენილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილში ყალიბდება მოსამართლის გადაწყვეტილება საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საქმის პროკურატურისათვის უკან დაბრუნების შესახებ.

4. მითითება დადგენილების (განჩინების) გასაჩივრების წესის შესახებ.

რაც შეეხება სასამართლოს უარს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება გასაჩივრდეს ორივე მხარის მიერ ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. ამ შემთხვევაში კოდექსი არაფერს გვეუბნება გასაჩივრების წესსა და პროცედურაზე, რაც გვაიძულებს ანალოგიის პრინციპით ვიმოქმედოთ. კანონმდებელი მხარეს თხუთმეტდღიან გასაჩივრების ვადას აძლევს.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ერთჯერადი გასაჩივრების წესმა უნდა იმუშაოს სსსკ-ის 243-ე მუხლის ანალოგიით.

VIII.2. საქმის არსებითი განხილვის გარეშე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დამკვიდრების დღიდან, როგორც კრიმინალისტიკაში, ასევე, პრაქტიკოს იურისტებსა და საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა ამ სისტემის ინსტიტუტის შესაბამისობისა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. განსაკუთრებით საპროცესო შეთანხმების შესახებ სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების დაუშვებლობის საკითხთან მიმართებაში.

ბოლო პერიოდის ცვლილებებამდე კანონმდებელი არ უშვებდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრებას. საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული საპროცესო შეთანხმება ისე იქნა შემოტანილი საპროცესო კანონმდებლობაში, რომ ის არ შეჯერდა ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნასთან და მის მე-7 ოქმთან. აღნიშნული ხარვეზი კანონმდებლობაში ერთგვარად გამოსწორდა 2005 წლის 25 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრება (სსსკ-ის 679⁶-ე მუხლი) და საბრალდებო დასკვნის საკითხის გადასაწყვეტად სისხლის სამართლის საქმის პროკურატურისათვის უკან დაბრუნების შესახებ დადგენილების (განჩინების) გასაჩივრება (სსსკ-ის 679⁷-ე მუხლის მე-22 ნაწილი).

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გასაჩივრება.

მიუხედავად ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნისა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულს აქვს უფლება მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადასინჯოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, კანონმდებელმა განაჩენის გასაჩივრების საერთო წესზე უარი თქვა და დაანესა შეზღუდვები საქმის არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ განაჩენის გასაჩივრებისათვის. კერძოდ, სსსკ-ის 679⁶-ე მუხლის პირველი ნაწილით, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შე-

სახებ განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს თუ: საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით; ბრალდებულს (განსასჯელს შეეზღუდა დაცვის უფლება; შეთანხმება დაიდო იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; საქმის განმხილველმა სასამართლომ (მოსამართლემ) უგულვებელყო ამ თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა. აღნიშნული საფუძვლებით განაჩენის გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ მსჯავრდებულს, რაც შეეხება პროკურორს, მას უფლება აქვს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში წარადგინოს საჩივარი, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმების თაობაზე, მხოლოდ მაშინ, თუ ბრალდებულმა (განსასჯელმა) დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა (სსსკ-ის 679^ბ-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

როგორც მსჯავრდებულის, ასევე, პროკურორის საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში განაჩენი უქმდება და სისხლის სამართლის საქმე ბრუნდება წინასწარ გამოძიებაში.

კანონმდებლის მიერ მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე განაჩენის გაუქმების ზემოთ დასახელებული ისეთი შემთხვევების დადგენა, როგორცაა მსჯავრდებულის მოტყუება, მის მიმართ იძულება, ძალადობა, მუქარა, ან დაშინება, რომელიც სავარაუდოა მოდიოდეს ბრალდების მხრიდან, გარკვეულ კითხვებს ბადებს. კერძოდ, რა სახის საკმარისი მტკიცებულებები უნდა დაურთოს მსჯავრდებულმა საჩივარს, როგორ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს ისინი სასამართლომ და რა როლი აკისრია ამ შემთხვევაში პროკურორს; რა ფაქტობრივი გარემოებები უნდა დაადგინოს სასამართლომ განაჩენის გაუქმების შემთხვევაში. კანონი არ მიუთითებს გასაჩივრების წესზე და არც სასამართლოს მოქმედების ფარგალს გვთავაზობს, რაც გაართულებს პრაქტიკაში ნორმის გამოყენებას.

რაც შეეხება გასაჩივრებას იმ საფუძველით, როდესაც სასამართლოს მიერ უგულვებელყოფილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით კოდექსში არსებული არსებითი მოთხოვნები, ასევე მოიცავს წინა შემთხვევებს, რამდენადაც 679^ბ-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულის ნებაყოფლობითობა (ძალადობის, დაშინების, მოტყუების, ან რაიმე სხვა უკანონო დაპირების გარეშე) საპ-

როცესო შეთანხმების დადებისას სასამართლოს მიერ შესამონმებელი ისეთივე არსებითი მოთხოვნაა, როგორც სრულყოფილი იურიდიული კონსულტაციით ბრალდებულის უზრუნველყოფის საკითხის გარკვევა, საპროცესო შეთანხმების დადებამდე.

ფიქრობთ, აღნიშნული ჩამონათვალი კანონში ზედმეტია და ერთი საფუძველი, კერძოდ, საპროცესო შეთანხმების თავით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნების უგულვებელყოფა, როგორც ბრალდებლის, ისე, მოსამართლის ან ადვოკატის მხრიდან საკმარისი საფუძველია განაჩენის გაუქმებისათვის.

რაც შეეხება სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის მე-2 ნაწილით პროკურორის მიერ განაჩენის გასაჩივრების უფლებას, თუ ბრალდებულმა დაარღვია საპროცესო შეთანხმებაში ასახული პირობა, შეეხება სსსკ-ის 679^ბ-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთადერთ, განსაკუთრებულ შემთხვევას, როცა ბრალდებული საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობს და ბრალდებასა და ბრალდებულს შორის რაიმე პირობებზეა შეთანხმება. სხვა მხრივ, ბოლო საკანონმდებლო ცვლილებით საპროცესო შეთანხმების მიღწევას, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმებისას კანონმდებლობით გათვალისწინებული არავითარი პირობის დათქმა არ სჭირდება, რომლის შემდგომი შეუსრულებლობა განაჩენის გაუქმების საკითხს წამოჭრიდა. ამ საკითხზე უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განაჩენის გაუქმების შემთხვევაში, საქმე ბრუნდება წინასწარ გამოძიებაში და მოსამართლე ამ შემთხვევაში არ უთითებს საბრალდებო დასკვნის საკითხზე. აღნიშნული იძლევა შესაძლებლობას სასამართლოში კვლავ შემოვიდეს განსახილველად საპროცესო შეთანხმების შესახებ პროკურორის შუამდგომლობა.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება წინასწარ გამოძიებაში განსხვავებულია სსსკ-ის 426-ე მუხლით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების ინსტიტუტისაგან. თუმცა ფიქრობთ, გასარკვევია საკითხი აღკვეთის

ლონისძიების – დაპატიმრების ვადებთან დაკავშირებით. სადავოა, საკითხი წინასწარ გამოძიებაში საქმის დაბრუნების შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ვერ იმუშავენ სსსკ-ის 162-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა – გამოძიების ადგილის მიხედვით, პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობით, ბრალდებულის პატიმრობის ვადის 60 დღემდე გაგრძელების შესახებ. კონკრეტულ შემთხვევაში, წინასწარ გამოძიებაში იმუშავენ წ/პატიმრობის საერთო ვადა, რაც სსსკ-ის 162-ე მუხლითაა დადგენილი.

რაც შეეხება განაჩენის გადასინჯვას ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, სსსკ-ის 679⁷-ე მუხლში მითითებულია საპროცესო კანონის 593-ე და 601-ე მუხლებით დადგენილ საერთო წესზე.

IX. ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება

სსსკ-ის 679⁹-ე მუხლის სახით შემოტანილი ნოვაცია (ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება) საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტის კანონით დამკვიდრდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნორმა საპროცესო შეთანხმების თავში მოიაზრება, თავის სათაურიდანაც (თავი – საპროცესო შეთანხმება და სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება) აშკარად ჩანს, რომ საპროცესო შეთანხმების, როგორც ბრალზე, ისე სასჯელზე შეთანხმების შემთხვევისგან განსხვავებულ ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის საპროცესო ურთიერთობასთან გვაქვს საქმე. თუ ნორმის შექმნის ისტორიას გადავხედავთ, გაგვახსენდება, რომ ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის დამკვიდრებისთანავე, ანუ 2004 წლის 13 თებერვლის კანონით, საპროცესო შეთანხმების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა ბრალის აღიარება. იმდროინდელი სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის რედაქციის შესაბამისად, თუ ბრალდებული თანახმა იყო ეთანამშრომლა ბრალდების მხარესთან, აღიარებდა დანაშაულის ჩადენას და საგამოძიებო ორგანოებს

მიანდოდა უტყუარ ინფორმაციას ან/და მტკიცებულებებს მძიმე დანაშაულის ან თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა ამ დანაშაულის გახსნას, პროკურატურას უფლება ჰქონდა, უარი თქვას საბრალდებო დასკვნაზე და სასამართლოსთვის წარედგინა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემოტანის იდეა იმთავითვე ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობა იყო. იმავე მუხლის მე-9 ნაწილი ითვალისწინებდა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდებოდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდებოდა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნა, გენერალური პროკურორს ჰქონდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ბრალდებულის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2004 წლის 13 თებერვლის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ კანონით სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი საფუძველი იქნა დამკვიდრებული სსკ-ის 701-ე მუხლის სახით, კერძოდ: განსაკუთრებულ შემთხვევებში, ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირების) ვინაობის გამოვლენისა და მისი უშუალო ხელშეწყობით ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობების შექმნის შემთხვევაში, სასამართლო უფლებამოსილია სრულად გაათავისუფლოს ბრალდებული სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.

სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლება წარმოადგენს გენერალური პროკურორისა და სასამართლოს დისკრეციულ უფლებას და არა ვალდებულებას¹¹.

¹¹ „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, თსუ გამომცემლობა თბ. 2004 გვ.329)

შემდგომში, 2005 წლის 25 მარტის კანონით სახეცვლილი იქნა სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მეორე და მეცხრე ნაწილები და დამოუკიდებელი ნორმის – სსსკ-ის 679²-ე მუხლის – სახით მივიღეთ ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ ნორმა. კერძოდ: „განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები, საქართველოს გენერალურ პროკურორის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია პირი გაათავისუფლოს სასჯელისაგან“.

მითითებული ნოვაციის გაანალიზებით, თუ მივიღებთ დასკვნამდე, რომ საპროცესო შეთანხმების პროცესი იქნება ეს ბრალზე თუ სასჯელზე შეთანხმება გულისხმობს ბრალდებულის თანამშრომლობას საგამოძიებო ორგანოებთან და სხვა შემთხვევაში საპროცესო შეთანხმების არსი დაკარგულია. მაშინ, რას გულისხმობს სსსკ-ის 679²-ე მუხლში კანონმდებელი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში იგულისხმება თანამშრომლობა, რა დროსაც ბრალდებულის საგამოძიებო ორგანოებთან საპროცესო შეთანხმების შესახებ გარიგების თაობაზე ურთიერთობისას გამოვლინდება საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის განსაკუთრებული შემთხვევა, რასაც არც ბრალზე და არც სასჯელზე შეთანხმების დღევანდელი კანონის რედაქცია არ მოითხოვს და გენერალური პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებით სასამართლოსათვის მიმართვის თაობაზე. საინტერესოა, ამ შემთხვევაში როგორი ფორმით დგება წერილობითი შეთანხმება გენერალურ პროკურორსა და ბრალდებულს შორის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ; მონაწილეობს თუ არა შეთანხმების შექმნის პროცესში უშუალოდ გენერალური პროკურორი, თუ ის მხოლოდ ადასტურებს შეთანხმებას.

სსსკ-ის 679²-ე მუხლის მე-2 ნაწილში კანონმდებელი, როდესაც საუბრობს სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ გენერალური პროკურორის შეთანხმებაზე არ უთითებს, რომ ეს არის საპროცესო შეთანხმების (სასჯელზე შეთანხმების) შესახებ სტანდარტული

შუამდგომლობა, სადაც უნდა მიეთითოს სასჯელზე შეთანხმების საფუძველი. (სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-2 ნაწილით კანონმდებელი არ ითხოვს ბრალდებულისაგან (განსასჯელისაგან) დანაშაულის აღიარებას). ვფიქრობთ, ეს არის რამდენადმე განსხვავებული წერილობითი შეთანხმება სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ, რომელიც არ ემთხვევა სსსკ-ის 679²-ე მუხლით დადგენილ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის ფორმას. ამასთან, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას თვითონ გენერალური პროკურორი და ბრალდებული აწერენ ხელს და მას დადასტურება არ სჭირდება. საგულისხმოა, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმების ფორმაში სავალდებულო რეკვიზიტად 679¹-ე მუხლის მე-3 ნაწილით მითითება შეთანხმების ბათილობაზე, კერძოდ: „თუ პირი არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, შეთანხმების პირობების შესაბამისად, შეთანხმება ჩაითვლება ბათილად“. სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმების ბათილობაზე და ბათილობის პირობაზე კანონმდებელი გარდა ამ სსსკ-ის 679¹-ე მუხლის მე-3 ნაწილში არსებული ზოგადი ჩანაწერისა – არსად საუბრობს. ვფიქრობთ, აღნიშნული ნაწილი წინააღმდეგობაშია ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების საფუძველთან ანუ, სსსკ-ის 679¹-ე მუხლის პირველ ნაწილთან. რამდენადაც ამ ნაწილში კანონმდებელი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ბრალდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი დგება იმ შემთხვევაში, როდესაც საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგი უკვე სახეზეა ე.ი., როცა გამოვლინდა თანამდებობის პირის ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით შეიქმნა ამ დანაშაულის გახსნისათვის არსებითი პირობები. თუ ასეთი გარემოებები უკვე არსებობს, მაშინ პროცესუალურად რა სირთულეები იქმნება და რით არის განპირობებული სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებაში ბრალდებულის მიერ შემდგომ თანამშრომლობაზე უარსა და შეთანხმების ბათილობის თაობაზე მითითება. ამასთან, გაურკვეველია ვის მიერ და რა საპროცესო წესით ხდება სასჯელისაგან სრულ-

ლად გათავისუფლების შესახებ შეთანხმების პირობების ბათილობა, ანდა რა შედეგები მოყვება შეთანხმების ბათილობას ბრალდებული-სათვის.

მეტად ბუნდოვანი და გაურკვეველია სსსკ-ის 679⁹-ე მუხლის მე-4 ნაწილის მითითება სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმების დადების აკრძალვის თაობაზე, მხოლოდ ჯარიმის ან თანხის გადახდის სანაცვლოდ. რას გულისხმობს ამ შემთხვევაში კანონმდებელი. ვფიქრობთ, აღნიშნული აკრძალვის შემოტანა განპირობებულია იმ მცდარი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკით, რომელიც ბოლო პერიოდში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოყენებას უკავშირდება საქართველოში. საკანონმდებლო და იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით რომ აღარაფერი ვთქვათ, სისხლის სამართლის პოლიტიკის ასევე, პროცესუალურ-სამართლებრივი ასპექტებით – მითითებული ნორმა აბსოლუტურად გაუმართავია.

სსსკ-ის 679⁹-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების შესახებ შეთანხმებას გენერალური პროკურორი დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს. ვინაიდან, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს შეთანხმების დამტკიცების საპროცესო წესს, ვფიქრობთ, შეთანხმების განხილვა სასამართლოში უნდა წარიმართოს სსსკ-ის 679³-ე-679⁸-ე მუხლებით დადგენილი წესით. აღნიშნული გულისხმობს საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას და მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლებას.

საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ბრალდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების ნორმა ხარვეზიანია, რაც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებს დიდ სირთულეებს შეუქმნის და პრაქტიკულად, „მკვდრადშობილი“ ნორმის სტატუსს დაიმკვიდრებს.

ჩვენს მიერ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით მოკლე კომენტარით შემოთავაზებული პრობლემების ნათელსაყოფად გთავაზობთ ერთ-ერთ საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილებას.

განჩინება
საქართველოს სახელით

№ 438/აპ

19 მაისი, 2005 წელი
ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

მერაბ ტურავა (თავმჯდომარე),
ნინო გვენეტაძე (მომხსენებელი), მადონა გოგელია

სხდომის მდივანი – გ. შალამბერიძე

სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროკურორი — ჯ. კოპალიანი

მსჯავრდებული — რ. ოქრუაშვილი

ადვოკატი – გ. ძეგნიაური

განიხილა მსჯავრდებულ რევაზ ოქრუაშვილის ინტერესების დამ-
ცველის, ადვოკატ დ. აბესაძის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის
საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო
პალატის 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინებაზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი :

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს განაჩენით
დამტკიცდა 2004 წლის 5 აგვისტოს საპროცესო შეთანხმება შიდა
ქართლის საოლქო პროკურორ დავით წითურს, ბრალდებულ რევაზ
ოქრუაშვილსა და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატ თამარ თედ-
ლიაშვილს შორის.

განაჩენით რევაზ ოქრუაშვილი, – დაბადებული 1949 წლის 7 დეკემბერს, უმაღლესი განათლებით, ცოლშვილიანი, გაზეთ „ხალხის გაზეთის“ მთავარი რედაქტორი, ნასამართლობის არმქონე, მცხოვრები ქ. გორში, მშვიდობის გამზირის №21-ში, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეუბნით, 236-ე მუხლის I ნაწილით და სსკ-ის 55-ე და 59-ე მუხლების საფუძველზე, სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 25 დღიური მინიმალური ანაზღაურება 50 ლარის ოდენობით. რევაზ ოქრუაშვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – დაპატიმრება გაუქმდა და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა პატიმრობიდან.

2004 წლის 6 სექტემბერს რევაზ ოქრუაშვილმა განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების მოთხოვნით იმ მოტივით, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას მას არ გაენია კვალიფიციური იურიდიული დახმარება და საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, მაგრამ ვინაიდან გასული იყო განაჩენის გასაჩივრების 14-დღიანი ვადა, ითხოვა სააპელაციო გასაჩივრების გაშვებული ვადის საპატიოდ ჩათვლა, რათა მას ესარგებლა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 სექტემბრის დადგენილებით არ დაკმაყოფილდა რევაზ ოქრუაშვილის განცხადება სააპელაციო საჩივრის გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ დაუშვებლობის მოტივით. თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატამ 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინებით აღნიშნული დადგენილება უცვლელად დატოვა. სააპელაციო პალატამ, მართალია, დაადასტურა მსჯავრდებულის უფლება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, გაასაჩივროს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ საპროცესო გარიგების დროს გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ასეთ საშუალებად მიიჩნია ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობა, საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

კასატორმა საკასაციო საჩივრით მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინების გაუქმება მსჯავრდებულ რევაზ ოქრუაშვილისათვის გასაჩივრების ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ და გაცდენილი გასაჩივრების ვადის მსჯავრდებულისათვის საპატიოდ ჩათვლა.

დაცვის მხარის პოზიციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მათი დაცვის ქვეშ მყოფს უფლება აქვს, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, ვინაიდან საპროცესო შეთანხმება დაიდო სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებით მოთხოვნათა უგულვებლყოფით, რითაც მან დაკარგა საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, რომლის აღდგენასაც იგი ითხოვს მისთვის გასაჩივრების უფლების მიცემით. ადვოკატის პოზიციით, ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა ასეთი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას, არ ნიშნავს იმას, რომ მსჯავრდებულს ასეთი უფლება არ გააჩნია, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან მიმართებით. თვით საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საპროცესო კოდექსი ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შესაბამისად მოქმედებენ ეს ხელშეკრულებები.

პროკურორმა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, პროცესზე გამოსული ადვოკატის პოზიციას და მიიჩნია, რომ სსსკ-ის 679⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა იყო იმპერატიული ხასიათის. იგი მსჯავრდებულს არ აძლევდა საპროცესო შეთანხმების დროს გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლებას; ამასთან, მიიჩნია, რომ საპროცესო შეთანხმება დაიდო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა

დაცვით, რის გამოც მხარი არ დაუჭირა მსჯავრდებულისათვის გასაჩივრების უფლების მიცემას და საკასაციო სასამართლოს წინაშე იმუამდგომლა თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

საკასაციო პალატამ მოუსმინა მხარეებს – მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილს, მისი ინტერესების დამცველს, ადვოკატ გ. ძებნიაურს, პროკურორ ჯ. კოპალიანს, შეისწავლა საქმეში არსებული მასალები და მიაჩნია, რომ კერძო საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ცვლილებით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს განაჩენით, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, დამტკიცდა 2004 წლის 5 აგვისტოს საპროცესო შეთანხმება პროკურორ დ. ნითურს, ბრალდებულ რ. ოქრუაშვილსა და მისი ინტერესების დამცველ ადვოკატ თ. თედლიაშვილს შორის. განაჩენით რ. ოქრუაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა 50 ლარის ოდენობით. განაჩენით მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილს განემარტა, რომ განაჩენი არ საჩივრდება და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ხალხის გაზეთის“ რედაქტორი რევაზ ოქრუაშვილი დააკავეს 2004 წლის 2 აგვისტოს, 3 აგვისტოს მიცემულ იქნა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში ნარკოტიკული დანაშაულისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ბრალდებით, 4 აგვისტოს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა, ხოლო 5 აგვისტოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ აღიარებდა დანაშაულს და არც გამოძიებასთან რაიმე თანამშრომლობა გაუწევია, ზემდგომ პროკურორთან, საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურატურის ორგანოებში სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძი-

ების საპროცესო ხელმძღვანელობის უფროსთან შეთანხმებით მოხდა მასთან ბრალზე გარიგება და სასჯელზე შეთანხმება, რის საფუძველზეც 6 აგვისტოს სასამართლოში შევიდა შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. შუამდგომლობის მიხედვით, ბრალდებულმა უარი თქვა სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, მაშინ, როდესაც ბრალდებულის სახით დაკითხვის ოქმში, რომელიც შედგენილია 2004 წლის 3 აგვისტოს, გაკეთებულია შემდეგი შენიშვნა: „ბრალდებულმა რევაზ ოქრუაშვილმა უარი განაცხადა ბრალდებულის დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერაზე იმ მოტივით, რომ თავისი შინაგანი რწმენით იგი თავს ბრალდებულად არ თვლის და შეურაცხმყოფელად მიაჩნია აღნიშნულ ოქმზე ხელის მოწერა და ჩვენების მიცემა“ (იხ. ტ. I, ს.ფ. 98). ტ. I, ს.ფ. 99-ზე მოთავსებულ ოქმში ვკითხულობთ, რომ რ.ოქრუაშვილი „თავს ბრალდებულად არ ცნობს და, აქედან გამომდინარე, არც ერთ დოკუმენტზე, სადაც სიტყვა „ბრალდებული“ ეწერება, არ მოაწერს ხელს. რაც შეეხება ჩვენების მიცემაზე უარის თქმას, განმარტა, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობს წარდგენილ ბრალდებაში“. ასეთ ვითარებაში 5 აგვისტოს, ბრალდებულის დამატებითი დაკითხვის გარეშე, პროკურორ დ. ნითურის მიერ შედგენილ საპროცესო შეთანხმების ოქმში (იხ. ტ. I, ს.ფ. 114) ვკითხულობთ: „ბრალდებულმა რევაზ ოქრუაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ. ამასთან ერთად, ჩვენს შორის მოხდა შეთანხმება მის მიმართ საბოლოოდ თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების თაობაზე“. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროკურორმა საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო ისეთ ვითარებაში, როცა აღკვეთის ღონისძიების შეფარდება მოხდა 4 აგვისტოს და სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ იმყოფებოდა გორის რაიონულ სასამართლოში, რის გამოც შიდა ქართლის საოლქო პროკურორმა აღნიშნული საქმე გამოითხოვა სასამართლოდან და შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე, რომელიც შედგენილია 5 აგვისტოს, გორის რაიონულ სასამართლოში შეიტანა 6 აგვისტოს. შუამდგომლობის განხილვა მოსამართლემ დაიწყო შუამდგომლობის შეს-

ელის დღესვე, 9 საათსა და 40 წუთზე და იხილავდა 10 საათსა 20 წუთამდე, ხოლო იმავე დღეს, 11 საათზე, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება წარმოდგენილი სახით, მაშინ, როდესაც სსსკ-ის 679⁴-ე მუხლის მე-4 ნაწილი ითვალისწინებდა შესაძლებლობას, მხარეთა მიერ საპროცესო შეთანხმების შინაარსის სათანადოდ გააზრებისა და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივი შედეგების სრულყოფილად აღქმის მიზნით, შუამდგომლობა განხილულიყო მისი სასამართლოში წარდგენიდან ერთთვიან ვადაში.

2004 წლის 6 სექტემბერს მსჯავრდებულმა რ. ოქრუაშვილმა განაჩენის დამდგენ სასამართლოს მიმართა განცხადებით, რომელშიც მიუთითა, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას არ გაენია კვალიფიციური იურიდიული დახმარება, რის გამოც საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით და სსსკ-ის 679⁶-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა განაჩენის გასაჩივრება, რათა ესარგებლა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. მსჯავრდებულმა ითხოვა საპატიოდ გაშვებული (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება) სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის აღდგენა.

გორის რაიონული სასამართლოს იმავე წლის 16 სექტემბრის დადგენილებით მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის განცხადება არ დაკმაყოფილდა დაუშვებლობის მოტივით, რასაც შემდგომ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატა მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის კერძო სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმით.

საკასაციო პალატა არ ეთანხმება რაიონული და საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებებს, უკანონოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია მათი მოტივაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილს თითქოს არ ჰქონდა მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება. სასამართლოებმა ყურადღება არ გაამახვილეს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, საპროცესო გარიგება მხარეებს შორის დადებულია საპროცესო კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. მართალია, იმ დროს მოქმედი სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 679⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილი იმპერატიულად მიუთითებდა, რომ საპროცესო შეთანხმების დროს გამოტანილი „სასამართლო განაჩენი არ ექვემდებარება გასაჩივრებას და კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ასეთი განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას იძლეოდა მხოლოდ საერთო წესით ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესის სფეროში არ ამოიწურება მხოლოდ საპროცესო კოდექსით, იგი აგრეთვე შედგება იერარქიულად მასზე მაღლა მდგომი სამართლებრივი აქტებისაგან, როგორცაა საქართველოს კონსტიტუცია, ასევე, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და აქვთ პირდაპირი მოქმედების ძალა.

კერძო საკასაციო საჩივრის განხილვისას რ. ოქრუაშვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე, რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-6 მუხლიდან, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლიდან.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, განსაკუთრებით მისი მე-40 და 42-ე მუხლებიდან, ასევე, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან. ამ უფლებაზე ბრალდებულის უარი შეიძლება მიღებულ იქნეს კანონით მკაცრად განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ნებაყოფლობითობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, ასევე არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ იგი დადებულია ყოველგვარი ზენოლისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების გარეშე. ამასთან, ბრალდებულს და მის ადვოკატს უნდა ჰქონდეთ საკმარისი დრო და საშუალება მათთვის შეთავაზებული საპროცესო შეთანხმების პირობებისა და მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების გასაანალიზებლად და

შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. სწორედ ამიტომ ითვალისწინებს საპროცესო კანონი გარკვეულ ვადას შუამდგომლობის შეტანიდან განაჩენის გამოტანამდე.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, კონკრეტულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილთან საპროცესო შეთანხმება დაიდო არამართლზომიერად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს, რათა მის მიმართ განხორციელდეს სამართლიანი სამართალწარმოება იმ ძირითადი საპროცესო უფლებების დაცვით, რაც გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპროცესო კოდექსი საპროცესო შეთანხმების დროს გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას ფორმალურად არ იძლეოდა, საკასაციო პალატას აქვს მყარი იურიდიული საფუძველი, მიიღოს სამართლებრივი გადაწყვეტილება ამ განაჩენის კანონიერების თაობაზე. პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულის ადვოკატებმა კერძო საკასაციო საჩივარსა და საკასაციო პალატის სხდომაზე ასეთ საფუძველად სწორად მიუთითეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლზე, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტზე და ამ საფუძველით სწორად მოითხოვეს რაიონული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლება. ეს ნორმები, რომლებიც იერარქიულად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლზე მალა მდგომი სამართლებრივი ნორმებია, მოიცავს და გულისხმობს მსჯავრდებულის უფლებას, მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გადასინჯოს უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლომ. მსჯავრდებული რ. ოქრუაშვილი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში ზოგადი ნორმის (სსსკ-ის 236-ე მუხლი) სახით არსებული განაჩენის გასაჩივრების ვადის აღდგენის უფლებით ითხოვდა იმ ძირითადი უფლების რეალიზაციას, რომელიც მას საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით მოუსპო განაჩე-

ნის დამდგენმა სასამართლომ. სამართლიანი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებაა და, მიუხედავად ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე არსებული აკრძალვისა, რაც სსსკ-ის 679⁷-ე მუხლის (კანონის 2004 წლის 24 ივნისის რედაქცია) მე-2 ნაწილის შესაბამისად, განაჩენის გასაჩივრების დაუშვებლობას გულისხმობს, რეალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტითა და ამ კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით.

გორის რაიონული სასამართლოს დადგენილებით და შემდგომ – თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინებით რ. ოქრუაშვილის მოთხოვნა საქმის სამართლიანი განხილვის შესახებ უარყოფილ იქნა სსსკ-ის 679⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მიუხედავად ამ ნორმის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 ოქმთან წინააღმდეგობისა. ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა განაჩენის ზემდგომი სასამართლოს მიერ გადასინჯვის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გააიგივა საპროცესო კოდექსით ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენისა და სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვის ზოგად წესთან. აღნიშნულს საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული განაჩენის გადასინჯვის პროცედურა, რომელიც პროკურატურაში მსჯავრდებულის მიმართვის შემთხვევაში დაწყებულ სისხლის სამართლის განსაკუთრებულ წარმოებას წარმოადგენს, სცდება ევროპული კონვენციის მე-7 ოქმით გარანტირებულ განაჩენის გასაჩივრების უფლებას. კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნა ერთმნიშვნელოვნად შეეხება დანაშაულისათვის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულის გამამტყუნებელი განაჩენის გასაჩივრების უფლებას. იმის გამო, რომ 2004 წლის 24 ივლისის რედაქციით მოქმედი საპროცესო შეთანხმების ნორმები ეწინააღმდეგებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლისა და ამ კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლის, ასევე გაეროს სამოქალაქო და

პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მოთხოვნებს, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. თვით საქართველოს საპროცესო კოდექსი (2004 წლის 24 ივნისის რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა საქმის არსებითი განხილვის გარეშე, სასამართლოს მიერ პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების შესახებ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების ამკრძალავ ნორმას, ზოგადი ნაწილის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში ახდენს კონსტიტუციის ნორმის ინტერპრეტაციას და იმპერატიულად აცხადებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმის წინააღმდეგობა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან იწვევს ამ უკანასკნელის პირდაპირ მოქმედებას. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების პრიმატი ეროვნულ კანონმდებლობაზე სასამართლოს იმ ეტაპზე აძლევდა შესაძლებლობას, პირდაპირ (საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების დადგენილი ვადების საპატიოდ, თუ არასაპატიო მიზეზებით გასვლის საკითხის გადაწყვეტის გარეშე) მიეცა მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილისათვის განაჩენის გასაჩივრების უფლება. პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილისა და მისი დამცველი ადვოკატების მიერ დაყენებული მოთხოვნა განაჩენის გასაჩივრების კანონით დადგენილი საერთო ვადის აღდგენის თაობაზე, უპირობოდ გულისხმობდა მხარის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციის მოთხოვნას, რაზეც სასამართლოს უცილობლად უნდა ემსჯელა.

საკასაციო პალატის მიერ მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის კერძო საკასაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე, საქართველოს საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ, სსსკ-ის 679^ა-ე მუხლით, რეალიზებულია

მსჯავრდებულის უფლება, გაასაჩივროს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. პალატა ხელმძღვანელობს სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი საპროცესო კანონის ანალოგიის პრინციპით და მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის საჩივრის დაკმაყოფილების მიზნით, სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველსაყოფად, უთითებს სსსკ-ის 679^ბ-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს მსჯავრდებულის მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენის გაუქმების მოთხოვნის უფლებას. აღნიშნული მუხლი მსჯავრდებულს განაჩენის გასაჩივრების უფლებას აძლევს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემდეგ შემთხვევებში: თუ საპროცესო შეთანხმება დაიდო მოტყუებით, იძულებით, ძალადობით, მუქარით ან დაშინებით; ბრალდებულს შეეზღუდა დაცვის უფლება, ან საქმის განმხილველმა სასამართლომ უგულებელყო საპროცესო შეთანხმებისათვის კანონით გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნა.

აუქმებს რა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს განაჩენს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

კონკრეტულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია ის, რომ განაჩენის დამდგენმა სასამართლომ უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის LXIV¹ თავით „საპროცესო შეთანხმება“ გათვალისწინებული არსებითი მოთხოვნები, კერძოდ: სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე შიდა ქართლის პროკურორის 2004 წლის 5 აგვისტოს შუამდგომლობა და გორის რაიონული სასამართლოს იმავე წლის 6 აგვისტოს განაჩენი საპროცესო შეთანხმების საფუძველად უთითებენ იმ დროს მოქმედი საპროცესო შეთანხმების ორივე საფუძველს – ბრალზე გარიგებას და სასჯელზე შეთანხმებას, რაც ეჭვქვეშ აყენებს პროკურატურის მიერ შემოთავაზებული შუამდგომლობისა და შემდგომ – სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმების განაჩენის კანონიერებას. ბრალდებულ რ. ოქრუაშვილსა და ბრალმდებელს შორის გაფორმებული შუამდგომლობა არაფერს ამბობს, თუ რაში გამოიხატა ბრალზე გარიგებისას ბრალდებულის მიერ ჩადენილი და-

ნაშაულის აღიარება, ან გამოძიებასთან თანამშრომლობა და ასევე, სასჯელზე შეთანხმების საფუძველში ვერ უთითებს, თუ რაში გამოიხატა რ. ოქრუაშვილის გამოძიებასთან სავალდებულო თანამშრომლობა.

საქმის მასალების მიხედვით, წინასწარი გამოძიება საქმეზე მიმდინარეობდა 2004 წლის 2-დან 5 აგვისტომდე. ამ პერიოდის განმავლობაში ჩატარდა შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები: რ. ოქრუაშვილის პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისი შარვლის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოღებულ იქნა მოყავისფრო ნივთიერება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, საერთო წონით 0,29 გრამი; იმავე დღეს რ. ოქრუაშვილის სამუშაო ოფისში ჩატარდა ჩხრეკა, რა დროსაც ამოღებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო წონით 0,58 გრამი; ასევე ჩატარდა საცხოვრებელი სახლის ჩხრეკა, რა დროსაც სახლის მეორე სართულზე, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს არსებულ ოთახში, კარადის თავზე მოთავსებულ მუყაოს ყუთში აღმოჩნდა სამი, 7.62 მმ კალიბრიანი კარაბინის ვაზნა და ერთი, 7.62 მმ კალიბრიანი პისტოლეტის ვაზნა, რაც, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, გამოსაყენებლად ვარგისია და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას. არც ერთ ოქმზე რ. ოქრუაშვილი ხელს არ აწერს. რ. ოქრუაშვილი ეჭვმიტანილად ცნეს 2004 წლის 2 აგვისტოს (იხ. ტ. I, ს.ფ. 32). იგი დააკავეს იმავე დღეს, 10 საათსა და 45 წუთზე. რ. ოქრუაშვილი ეჭვმიტანილად დაიკითხა იმავე დღეს. მან უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და ოქმს ხელი არ მოაწერა. ასევე, არ ჩაიბარა ეჭვმიტანილის უფლებამოვალეობათა ნუსხა. 3 აგვისტოს რ. ოქრუაშვილმა აიყვანა დამცველები. ტ. I, ს.ფ. 110-ზე მოთავსებულ, პროკურორის სახელზე დაწერილ განცხადებაში კი პატიმრობაში მყოფი ბრალდებული რ. ოქრუაშვილი წერს: „არ მსურს საპროცესო შეთანხმების პროცედურებს დაესწრონ ჩემი ადვოკატები, გარდა თ. თედლიაშვილისა. სხვა დამცველებთან ამ მომენტიდან ვწყვეტ ურთიერთობას და აღარ მსურს ვიმყოფებოდე მათი დაცვის ქვეშ როგორც გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის დროს“. 3 აგვისტოს ეჭვმიტანილის სახით დამატებით დაკითხვის ოქმში რ. ოქრუაშვილმა კატეგორიულად უარყო მისთვის წაყენებული

ბრალდებები და მიუთითა, რომ მის მიმართ განხორციელებული უკანონო მოქმედებები არის მიზანმიმართული პროვოკაცია და უკავშირდება მის სამსახურებრივ-ჟურნალისტურ მოღვაწეობას (იხ. ტ. I, ს. ფ. 91-93). 3 აგვისტოს რ. ოქრუაშვილის მიმართ გამოტანილ იქნა ბრალდების სახით პასუხისგებაში მიცემის დადგენილება, რომელშიც მან აღნიშნა, რომ თავს ბრალდებულად არ ცნობს, ბრალდებულად დაკითხვაზე უარი განაცხადა და ოქმს ხელი არ მოაწერა. 4 აგვისტოს ბრალდებულ რ. ოქრუაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. 5 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა შიდა ქართლის საოლქო პროკურორს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თხოვნით. პროკურორმა ბრალდებულ რ. ოქრუაშვილის საპროცესო გარიგების დადებასთან დაკავშირებული სურვილის შესახებ იმავე დღეს აცნობა გენერალური პროკურატურის პროკურატურის ორგანოებში სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს უფროსს და შეადგინა ცნობა, რომ მას დაევალა, განეხორციელებინა სათანადო პროცედურები. იმავე დღეს ბრალდებულსა და ბრალმდებელს შორის შედგა შეთანხმება და ოქმი, რომლებშიც მითითებულია, რომ რ. ოქრუაშვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი სრულად ცნო დამნაშავედ და თანხმობა განაცხადა ბრალზე გარიგებასა და სასჯელზე შეთანხმებაზე. თუმცა, იმავე დღეს შედგენილ შუამდგომლობაში არ მითითებულა, თუ რაში გამოიხატა ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარება, ან მისი თანამშრომლობა გამოძიებასთან, რაც სასჯელზე შეთანხმების სავალდებულო პირობა იყო. არც ზემდგომ პროკურორს დაუმტკიცებია საპროცესო შეთანხმების პირობები. ასევე, არ მიუცია აღიარებითი ჩვენება განსასჯელ რ. ოქრუაშვილს 6 აგვისტოს გამართულ სასამართლო პროცესზე და არ გამოკვლევულა გამოძიებასთან მისი თანამშრომლობის საკითხი, გარდა იმ ფორმალური განცხადებისა, რომელიც დაფიქსირებულია სასამართლო სხდომის ოქმში (ტ. I, ს. ფ. 125), რომ ის სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომელშიც ედება ბრალი, ასევე – სასჯელსაც და რომ ორივე ნაწილში თავს დამნაშავედ ცნობს. სასამართლომ არ გამოიკვლია რ. ოქრუაშვილის მიერ სამი დღის წინ წინასწარი გამოძი-

ებისათვის მიცემული კატეგორიული ჩვენება მისი უდანაშაულობის შესახებ და აგრეთვე მისი სათანადო ახსნა-განმარტება (ტ. I, ს.ფ. 191-193).

ზემოაღნიშნული პალატას აძლევს საფუძველს, ეჭვქვეშ დააყენოს რ. ოქრუაშვილთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად გამოტანილი განაჩენის კანონიერების საკითხი. მტკიცება იმისა, რომ ბრალდებული რ. ოქრუაშვილი სრულყოფილად აღიქვამდა შუამდგომლობის შინაარსსა და მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს – დაუსაბუთებელია. ყოველივე ამის შემდეგ სადავო ხდება მსჯავრდებულის ქცევის ნებაყოფლობითობა, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით ბრალდებულის, ან განსასჯელის უზრუნველყოფა და, ამდენად, არ გამოირიცხება დაცვის უფლების შეზღუდვა.

საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი მოთხოვნის უგულებელყოფამ განაპირობა საკასაციო პალატის გადაწყვეტილება, იხელმძღვანელოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და გააუქმოს გორის რაიონული სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის წესით საქმის არსებითი განხილვის გარეშე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განაჩენი რ. ოქრუაშვილის მიმართ და საქმე, სსსკ-ის 679^ა-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დააბრუნოს წინასწარ გამოძიებაში მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის მიერ მოთხოვნილი საქმის სამართლიანი განხილვის უფლების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სასამართლო აუქმებს როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს მსჯავრდებულ რ. ოქრუაშვილის საჩივრების დაუშვებლობის მოტივით განუხილველობის თაობაზე.

საკასაციო პალატის მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე გამოტანილი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება წინასწარ გამოძიებაში არ სცილდება საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებს, ვინაიდან საკასაციო სასამართლომ განაჩენის გაუქმებით გადაწყვიტა ამ გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერების საკითხი, რომელიც სსსკ-ის 243-ე მუხლით გათვალისწინ-

ნებული პროცედურით მოხდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკასაციო სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმსჯელოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ვინაიდან საპროცესო შეთანხმების დროს გამოტანილი განაჩენის ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების პროცედურას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებდა, საკასაციო სასამართლომ, იხელმძღვანელა რა ანალოგიის პრინციპით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებზე დაყრდნობით, მსჯავრდებულის სასარგებლოდ მიიღო განაჩენის გაუქმებისა და საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნების გადაწყვეტილება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი :

პალატამ იხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 ოქმის მე-2 მუხლით, საქართველოს სსსკ-ის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის 'ე' ქვეპუნქტით, 236-ე, 243-ე, 568-ე, 679^ა-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 11 ნოემბრის განჩინება, ასევე, გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 სექტემბრის დადგენილება და გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 6 აგვისტოს განაჩენი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ და საქმე დაბრუნდეს წინასწარ გამოძიებაში.

პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.